619
1998

# დროშა

№ 11-12 1998





■ „გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამუსლიმანო საქართველოს ხელმძღვანელობა მე მარგუნა ბედმა და ხალხიც ყოველთვის დიდი ნდობით და პატივისცემით მეპყრობოდა“, – ეს სიტყვები მემედ აბაშიძეს ეკუთვნის.

მემედ აბაშიძე. მასზე წიგნები უნდა დაიწეროს. განა ერთი და ორი?

ვის შეიძლება იგი შევადაროთ წინაპართა დიდებულ აჩრდილებს შორის, რომელთა სახელებიც ერის თავმოწონების და ღირსების სიმბოლოდ ქცეულა?

მემედ აბაშიძე.

ჩემს წინ იკვეთება უზარმაზარი ფიგურა, თითქოს მოქანდაკის უხილავი ხელი ძერწავს მას – დიდი მამულიშვილის, დიდი ერისკაცისა და ბრძენკაცის ფიგურას.

განსაკუთრებული განსაცდელის ჟამს ჩვენს ქვეყანას ყოველთვის მოევლინებოდა ხოლმე პიროვნება, თავს რომ მოუყრიდა ერის პოტენციურ შესაძლებლობებს, მის ენერგიას, გონს, უნარს და ზნეობრივი გმირობის ნიმუშს მისცემდა თითქოს ბედისგან განწირულ ხალხს, ფენიქსივით ალადგენდა მასში მინავლებულ ეროვნულ მაჯისცემას, ეროვნულ თვითშეგნებას.

ასეთი გმირი იყო ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, ლუარსაბ II, ქეთევანი, ილია ჭავჭავაძე... ამ მამულიშვილთა სული ედგა მემედ აბაშიძესაც.

„გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ გაიარა ჩემს თვალწინ, როგორც კინემატოგრაფის ლენტმა. ბეგობის ტიტულს ფორმალურად ამოფარებულს, არაერთხელ და ორხელ მიმიღია მხურვალე მონაწილეობა ამ მოძრაობაში... როგორც აბდულ ჰამიდის და „მლადოთურქების“ რეჟიმმა, აგრეთვე მეფის რუსეთმა სათანადოდ შეაფასეს ჩემი მოღვაწეობა და თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: დევნა-დატუსაღება, ციხე-კატორღა და სიკვდილის განაჩენი ჩემთვის არ მოუკლიათ“.

დევნა-დატუსაღება, ციხე-კატორღა...

ხან ოსმალეთის მთავრობა სვამდა სატუსაღოში, ხანაც მე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“

ციალა არდაშელია

ფის რუსეთი. თითქოს მართლა შეჯიბრი ჰქონდათ გამართული ერთმანეთში. რუსეთის და ოსმალეთის იმპერიალიზმი მხარდამხარ იდგნენ, როცა საქმე ეხებოდა ქართველი ერის ჩაგვრა-დამონებას.

„სამუსლიმანო საქართველო ორი ძალის ბრძოლის ასპარეზს შეადგენდა და საჭირო იყო უმთავრეს საბედისწერო მომენტში ორ ფრონტზე ბრძოლის წარმოება: პირველი-ოსმალეთის ბნელი ზრახვებისა და მეორე-რუსეთის იმპერიალისტური, დაპყრობითი მონობის წინააღმდეგ, საქართველოს გაერთიანებისათვის. ამ ორ იმპერიალისტურ ქვეყანას ძილს უფრთხობდა მათ მიერ დაპყრობილი და დაქუცმაცებული საქართველოს მთლიანობა, ვინაიდან თუ საქართველოს მთლიანობის იდეა ხორცს შეისხამდა, მაშინ, არცთუ ისე ადვილი იქნებოდა მისი დათრგუნვა, თუნდაც მეფის დიდი რუსეთისთვისაც კი. სწორედ ამიტომ იყო, რომ სოციალური, ეროვნული და რევოლუციური იდეების პირებს ეს ორი იმპერიალისტური სახელმწიფო სასტიკად დევნიდა“, – წერდა მემედ აბაშიძე.

მემედ აბაშიძეს, როგორც პოპულარულ პიროვნებასა და საქართველოს ორიენტაციის კაცს, ერთი ხანობა გადმობირებასაც კი უპირებდა ოსმალეთის სულთანი. სპეციალური ფირმანიც გამოუგზავნა მან მემედ აბაშიძეს. რას არ პირდებოდა ამ ფირმანში, ოღონდ ხელი აეღო ქართველობაზე. მაგრამ მემედ აბაშიძე რჩებოდა ურყევი და მტკიცე თავის ბრძოლაში ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა ერთობისათვის, ერთიანი, მთლიანი საქართველოსათვის.

არაჩვეულებრივი მჭევრმეტყველი, წარმოსადეგი გარეგნობის, მგზნებარე პატრიოტი, უაღრესად განათლებული პიროვნებაც გახლდათ ამავე დროს, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა არაბული, თურქული, სპარსული... მისი თარგმანები ომარ ხაიამიდან დღესაც საყურადღებოა...

1917 წელს მორიგი გადასახლებიდან დაბრუნებულმა მემედმა თავის გარშემო შემოიკრიბა აჭარის პროგრესული ახალგაზრდობა: სულეიმან დიასამიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ზექერია შერვაშიძე, ხასან თხილაიშვილი, რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ქიქავა და სხვა. შექმნა ბათუმის ოლქის ქართველ-მუსლიმანთა კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავდა ბრძოლას პანისლამისტების წინააღმდეგ. კომიტეტის თავმჯდომარედ ყრილობამ მემედ აბაშიძე აირჩია. იმავე წელს შეიქმნა ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც 1918 წ. გაერთიანდა საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებასთან. ამ საზოგადოების თავმჯდომარე მემედ აბაშიძეა.

1918 წლის პირველ აპრილს ბათუმში შემოვიდა ოსმალთა საოკუპაციო ჯარი. ბათუმის საზოგადოების დავალებით მემედმა სიტყვით მიმართა ოსმალთა სარდლობას და მიესალმა მათ, როგორც სტუმრებს:

„ჩვენ, ქართველებმა, ვიცით სტუმრის მიღება და პატივისცემა, მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ სტუმარს უფლებას არ მივცემთ, ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიოს!“

მემედ-ბეგის გაბედული სიტყვა და მისი თავგამოდება თურქთა მიერ დახვრეტილი რამდენიმე აჭარელი ახალგაზრდის გამო, არ მოეწონა ენვერ ფაშას. მემედ აბაშიძე დააპატიმრეს და (უკვე მერამდენედ) მოათავსეს ტრაპიზონის ციხეში.

იმავე წელს ოსმალებმა სცადეს რეფერენდუმის ჩატარება სოფელ ფიჭნარში. მოიწვიეს მოსახლეობის ზედა ფენების წარმომადგენლები. შეკრებას ესწრებოდა თვითონ ვალიფაშა; მოლები და ხოჯები ოსმალთა სასარგებლოდ ეწეოდნენ აგიტაციას. გაზეთი „ერთობა“ ამის თაობაზე წერდა:

„სანამ ხმის მიცემას დაიწყებდნენ, ერთმა შეგნებულმა პირმა მოისურვა ხალხისთვის სიმართლე გაეგებინებინა და კიდევაც შეძლო რამდენიმე პირის მიმხრობა. დღეს აქ, როგორც გუბერნატორი (ფაშა) მოუწოდებს, ისე არ დგას კითხვაო, აქ სარწმუნოება არაფერ შუაშია, აქ არსებობს პოლიტიკური საკითხი და არ მოვსტყუვდეთ და არ მივცეთ ოსმალებს ხმა, ყველამ მივცეთ ხმა ჩვენს ძმებს – ქართველებსო. ეს შეამჩნიეს. გუბერნატორმა მიიწვია თავისთან და შეეკითხა:

– შენ მუსლიმანი ხარ თუ ქრისტიანი?

პასუხი: – მე ქართველი მუსლიმანი ვარ.

გუბერნატორი: – ახლა შენ მუსლიმანობა გინდა თუ ქრისტიანობა?

პასუხი: – მე მუსლიმანობა მინდა, მაგრამ სულთნის ფაშების და ბეგების მონობა არ მინდა.

მაშინ გუბერნატორი განრისხდა და ასკერებს უბრძანა, ეს კაცი ჟანდარმერიის უფროსს მიჰგვარეთო. შემდეგ მიიყვანეს ყუთთან ხმის მისაცემად და მან იმდენი ხალხის წინაშე საქართველოს მისცა ხმა“.

ეს კაცი იყო მემედ აბაშიძის თანამებრძოლი ხასან თხილაიშვილი.

„იგი შეიპყრეს, ტანზე გახადეს და ზარბაზანზე ტიტველი გააკრეს, ოფიცერი ბრძანებას ელოდა, რომ ზარბაზანი გაესროლა. ხალხი ამ დროს აღელვებული გაიძახოდა, არ გაბედოთ, გაგწყვეტთ ყველასო. სედაიმილეთელები კი დაცინვით ამბობდნენ: ზღვაში არ გაისროლოთ, ზღვა არ გაგვისვაროსო.

თავად ხასანი ამბობდა: „მე ერთი წუთითაც წარბი არ შემიხრია. ვიცოდი, რისთვის ვკვდებოდი“.

ვიღაც მაღალი თანამდებობის ოფიცერი ეუბნება ფაშას: ჩვენ აქ სასამართლო კი არა, არჩევნები გვაქვს და არ შეიძლება, ხალხს სიტყვა ავუკრძალოთო.

ხასანი შემთხვევით გადარჩა და ოზურგეთში გადაიმალა. რეფერენდუმი სამარცხვინოდ ჩაიფუშა ხასან თხილაიშვილმა გადამწყვეტ ჟამს თავის განწირვა იკისრა საქართველოსთვის.

ამასობაში ტრაპიზონის ციხიდან ლაზებმა გამოაპარეს მემედბეგ აბაშიძე და ფოთში ჩამოაცილეს ალი ჯაფარიძის დახმარებით. იგი ფოთიდან თბილისში ჩავიდა, სადაც იმ დროს ბათუმიდან დევნილი პროგრესული აჭარლები იყვნენ.

სწორედ აქ დააარსა სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ჰაიდარ აბაშიძე, სულეიმან დიასამიძე, ხასან თხილაიშვილი, ყადირ შერვაშიძე, ზია აბაშიძე, სულეიმან ბეჟანიძე, ქემალ ნოღაიდელი, იუსუფ ქათამაძე და სხვ.

კომიტეტს სათავეში თვითონ მემედ-ბეგი ჩაუდგა.

1919 წ. 31 აგვისტოს მოიწვიეს ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი (საბჭო). მეჯლისმა დაადგინა – საქართველოსთან აჭარის შეერთება ავტონომიის საფუძველზე.

მემედ აბაშიძეს მეჯლისის თავმჯდომარეს, მუდმივი კონფლიქტი აქვს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელ ბენია ჩხიკვიშვილთან. მენშევიკური მთავრობის გაქცევის შემდეგ ბათუმში ფაქტიურად არ არსებობს ხელისუფლება. ამით ისარგებლეს სედაიმილეთელებმა და ქიაზიმ ბეიმ ოსმალეთის მთავრობის სახელით თავი ბათუმის გუბერნატორად გამოაცხადა.

ანგორის დელეგაცია მეჯლისის თავმჯდომარესთან გამოცხადდა და წინადადება მისცა გადაესინჯა საქართველოსთან შეერთების საკითხი და მეჯლისის სახელით გამოეტანა დადგენილება – ავტონომისიის საფუძველზე ბათუმის ოლქი გადასცემოდა ანგორის მთავრობას.

ისტორიული ავბედითობის წყალობით კვლავ დადგა ოსმალეთის დამპყრობლურ ზრახვათა ჟამი, მაგრამ ამჯერად ბედი, რომელიც ასეთი სასტიკი და შეუბრალებელი იყო საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის მიმართ, ხალხისა, რომელსაც გამუდმებით „თვალბედითი სდევდა ყორანი“ – მის სასიკეთოდ შეტრიალდა.

და სამუსლიმანო საქართველოს ერთი პატარა, მაგრამ ურჩეულესი კუთხე, აჭარა თავის დედასამშობლოსთან აღმოჩნდა.

...პოეტ ზურაბ გორგილაძეს აქვს მემედ აბაშიძისადმი მიძღვნილი ერთი შესანიშნავი ლექსი. მინდა ამ ლექსის ფრაგმენტით დავამთავრო ეს წერილი:

„ქოხების ყორყში ამოსული ქართული სულის
დიდო პატრონო,
ვაზის ძირებში მიმალული ქართული ენის
დიდო პატრონო,
ტაძრის ზარებში შეყუჟული ქართული სიტყვის
დიდო პატრონო,
ლოდების ძირში შემოდებულ ქართული ძვლების,
ძველო პატრონო,
დიდება შენდა, დიდება და ცხონება შენდა,
მემედ ბატონო!“

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 11-12 1998 (701)

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# დროშა

## შინაარსი:

ციალა არდაშელია. **„მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ".**
ვახტანგ კოტეტიშვილი. **საქართველო ერთიანდება.**
ანზორ აბჟანდაძე. **დაკარგულის საძებნად.**
ნინო ქუთელია. **უხილავი ვარსკვლავი.**
ია პაპუკაშვილი. **უკანასკნელი მოჰიკანი.**
გოჩა დანელია. **„მხოლოდ ფერფლმა იცის, რას ნიშნავს ბოლომდე წვა".**
ნუნუ მაღრაძე. **რას ფიქრობს ახალგაზრდა დიპლომატი?!**
ელგუჯა ლებანიძე. **გალეული ძაფი.**
რევაზ ჯაფარიძე. **60 წლის ჭაბუკი.**
გიორგი ლეონიძე. **შინმოსულისა (ლექსი).**
ჯემალ მეხრიშვილი. **სასურველი მახარობელი.**
თამაზ ნატროშვილი. **ცრემლი ქაქუცას თვალებში.**
თინათინ კოგალაძე. **მხატვრები ჰგვანან თავიანთ ნახატებს.**
ლარისა ფაცურია. **ირონიის თავისუფლება თუ თავისუფლების ირონია?**
ეკა ჩილაჩავა. **ბედნიერი კერა.**
ნელი გაბრიჩიძე. **ლექსები.**
ანა მარია მატუტე. **ბედნიერება (უცხოური ნოველა).**
მარინე ბულეიშვილი. **წმინდა მარინეს დღესასწაული.**
ლია ჭავჭავაძე. **ლექსები.**
მიხეილ ბეჟუაშვილი. **სული მაღალი.**
მერაბ კალანდაძე. **შილერი და პერიკლე.**
კროსვორდი
ამბები, ამბები, ამბები.

სარედაქციო კოლეგია:

**ჯანსუღ ჩარკვიანი** – თავმჯდომარე,

**გულნარა ბახტაძე**
პასუხისმგებელი რედაქტორი,

**ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია** (მხატვარ-რედაქტორი), **ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.**

## ვახტანგ კოტეტიშვილი

როგორც კერძო კაცის, ისე ერის ცხოვრებაში არის ხოლმე მომენტები, როდესაც გაბრუებულ გონებით, რაღაც მირაჟებს რჩებათ ხოლმე ყოველგვარი ასპარეზი. მაშინ რაღაც ნისლი ადგება ადამიანის შუბლს, ხოლო ერს კი ეკარგება ის ნადული ნებისყოფა, ურომლისოდაც ერი არ ერობს.

ეს სენია, რასაკვირველია, მაგრამ მალეგარდამავალი. ცხოვრება იმდენად მძიმეა, რომ მირაჟები ვერ უძლებენ. ყოველდღიურობა ვერ ითმენს მოხუჭულ თვალს, ხოლო მომავალი კი იმდენად სხივჭარბია, რომ სიფხიზლის გარეშე ყოფნას ვერ ითმენს.

გონებითი გაბრუების ხანაში ჩვენც ვიყავით, ქართველობა, დღესაც ბევრი რამ მოვლენა მიემართება ჩვენი თვალხუჭილობის დროს, ჩვენგან შეუმჩნეველი, მაგრამ უკვე სიფხიზლე იჭრება ჩვენს აზროვნებაში და კვამლისფერი მირაჟები დაუნდობლად წყალდებიან.

აგერ ბათომი, ეს ქართველთა გზათამცდარობის ცოცხალი მხილება. სულ წელიწადი და სამი თვე არის გასული ბათომის დაკარგვის შემდეგ, და ქართული აზროვნება უკვე ნათდება.

ბათომის მხილებას მეტ ხნით ველარ გაუძლო ერთი წლის წინ ზმანებებით ჭირვეულმა საქართველომ. მართლა რომ „ბათომი მისცეს", და მისცა ქართველობამ. ჭოროხის ამპარტავან ხეობებში მტერმა ვერ ნახა რაინდულად გამართული ქართული ხმალი. ბარცხანა, ბურნტაზია და სხვა ფორტები, ბათომს რომ ცხრაკარად ჰქონდა ჩაკეტილი, თვით ჩვენვე ავხსენით, და რაც შემდეგ მოხდა „ჯოჯოხეთია მოსაგონარად". თუმც სტეპანოვკა და ანარია თავდადებით იცავდნენ ბათომს, ამ საქართველოს ზღვის ქალბატონს, მაგრამ შინაგანი გაბრუება მაინც ვერ გადალახეს სასიკვდილოდ გაფიცულებმა.

ბათომის და აჭარის მიდამოები ძმათა ძვლებით მოიკირწყლა.

ქართული სისხლი დაინთხა გაუგებრად. ბათომში ბოსფორის უკბილო ჯადოქარმა ნამგალა მთვარიანი დროშა გადმოჰფინა. ჩვენ წამოვედით და ჩოლოქის ნაპირას გადმოინთხა ქართველ მეომართა მცირე ნაწილის კეთილშობილი შურისძიება.;

ჩოლოქმა მოგვწმინდა ბათომის სირცხვილი, და იქიდანვე იწყება ბათომის სირცხვილი, და იქიდანვე იწყება ქართულ შეგნების გამოფხიზლებაც. სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოში ჩარჩენილმა ძმათა ჩონჩხებმა გამოაღვიძეს ქართული სინდისი. ორი ხელი, ერთმანეთისაკენ გაწვდილი, მტერმა მზაკვრულად რომ დააშორა, აი, დღეს, ისევ ერთმანეთს ეძებენ, და საქრისტიანო საქართველოდან გადაძახილს, სამაჰმადიანო საქართველომ გამოძახილით უპასუხა.

კიდევა ვნახავთ ბათომის კარებს, დავიფიცეთ, და მაჰმადიანმა ძმებმაც იქიდან გვიპასუხეს: – „ჩვენ დიდი შეცდომა ჩავიდინეთ, და ახლა უნდა გამოვასწოროთ, – ჩვენ უნდა შეუერთდეთ ჩვენს ქართველ ძმებ-

# საქართველო ერთიანობა




ს"-ო. „ჩვენს ქვეყანაში ჩვენ უცხონი ვართ, ამას ბოლო უნდა მოეღოს", თორემ „ჩვენი შვილები ჩვენს ძვლებს საფლავიდან ამოიღებენ და ძაღლებს გადაუგდებენ"-ო (მემედ-ბეგ აბაშიძე). ისკანდერ ეფენდი ცივაძის სახით ქობულეთიც ემუქრება მტერს და ჰფიცავს – „ჩვენ თუ ხელი შეგვიშალეს ამ საქმეში, მზად ვართ ქრისტიან ქართველებთან ერთად ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ"-ო, ხოლო ჩაქვის წარმომადგენელი კი, იმ შავრაზმელთა გასაგონად, რომელნიც რუსულ ფარს ჰკიდებენ ბათომის კარებზე, შემდეგს აცხადებს: – „რაც შეეხება რუსეთს, ჩვენთან ყოფნას სიზმარშიაც ვერ იხილავს"-ო.

ასეთია მაჰმადიან საქართველოს ფიცი. ჩვენ ეს ფიცი გვჯერა; ღრმადა გვწამს ქართული სიტყვა საზოგადოდ, და დღეს კი, სიტყვა ძმათა სისხლით განწმენდილი. ჩვენც აქედან ვფიცავთ, რომ ყოველგვარ გველაძუას თავს გავუსრესავთ, ვინც კი ჩვენ მაჰმადიან ძმათა მოსაშხამად შეცურდება. ძრწოდნენ ისინი, ვინც არ ეთხოვება საქართველოს განკვეთის მდაბალ აზრს. იცოდნენ, რომ ქართველთ მრისხანება ჯერ სჯუჩობს, და ვაი იმას, ვისაც იგი თავს დაატყდება. აბა, შეხედონ, როგორ ილვიძებს ერის გენია. და გაღვიძებულ ერს ხომ ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს.

ვერც გაგვყოფენ.

და თუ ბევრი პოლიტიკური არამზადა დღემდე სამაჰმადიანო საქართველოს ეუბნებოდა, რომ საქრისტიანო საქართველო სარწმუნოებას შეგილახავთ და ყურანის ნაცვლად სახარებაზე ძალით გალოცებენო, ჩვენ იმ ბოროტთა გასაგონად, ჩვენ მაჰმადიან ძმებს და მთელ ქვეყანას ვეუბნებით, რომ ვერავითარი სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა ვერ გაჰყოფს საქართველოს და ყოველი ქართველი კრძალვით შევა ყველა სამლოცველოში, სადაც კი აღემართება ქართული ლოცვა. ყურანი ჩვენი საღვთო წერილიცაა, რადგან მასზე ლოცულობს საქართველოს ერთი ნაწილი.

ნურავინ ნუ შეეცდება ჩვენს დაშორებას, ნაცად, უსინდისოების ბილიკს ნუღარავინ ნუ გაჰყვება.

გაჰყვება და იმ ბილიკის თავში მათ დაჰხვდებათ ქართული შურისძიება.

საქართველო თვალებს იფშვნეტს.

საქართველო ერთიანდება.

იწყება ჩვენი ერის რენესანსი.

ორი ძმის მაძიებელი ხელები ერთმანეთს უახლოვდებიან, მალე დადგება ქართული დროშის ქვეშ მთლად საქართველო და ბათომის ფორტებზე სამუდამოდ იფხიზლებს ქართველი დარაჯი. იფხიზლებს, რომ ახალი არგონავტები კიდევ არ დაგვეხსნენ თავს ოქროს ვერძის მოსატაცად.

საქართველოს საღვთო ჭალას, სადაც ქართულ გენიის სიმბოლოს, ოქროს ვერძს ვინახავთ, ერთ მხრიდან ყურანი უდარაჯებს, მეორედან კი – სახარება.

საქართველო ერთიანდება.

ქართველები ფიცსა სდებენ.

შვიდი მნათობი გზას უნათებს თეთრ გიორგის.

**გაზ. „სახალხო საქმე", 1919, 25 ივლისი, №584.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



1944 წელს მესხეთიდან გადასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის პრობლემა, გვინდა თუ არ გვინდა, საქართველოს წინაშე რეალურად არსებობს. ამ საკითხშიც, როგორც საერთოდ ყველაფერში, საქართველოში მკვეთრად განსხვავებულ თვალსაზრისებზე დგანან. ესენია:

1. გადასახლებული მოსახლეობა მთლიანად, მათ შორის წარმოშობით ქართული ნაწილიც, უკვე თურქული ცნობიერებისაა და მათი დაბრუნება საქართველოში ყოვლად გაუმართლებელია ყოველგვარი თვალსაზრისით – დემოგრაფიულით, ეკონომიკურით, პოლიტიკურით... (ერთი უკიდურესობა).

2. რამდენადაც ამ მოსახლეობის გადასახლება უსამართლოდ მოხდა სტალინ-ბერიას რეჟიმის მიერ, მსოფლიო დემოკრატიული მართლწესრიგის საფუძველზე აუცილებელია მათი მთლიანი დაბრუნება, რაც საქართველოს მორალური მოვალეობაცაა. (მეორე უკიდურესობა).

3. კომპრომისული თვალსაზრისი: საქართველოში უნდა დავაბრუნოთ მხოლოდ ის მოსახლეობა, რომელსაც ქართული ცნობიერება აქვს შენარჩუნებული, თანაც არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით (ეკონომიკური შესაძლებლობის მიხედვით) და უნდა განვასახლოთ არა მესხეთში, სადაც შეიძლება ამან გაამწვავოს ვითარება, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქართულ მოსახლეობას შორის.

სხვადასხვა აზრია იმის შესახებაც, გადასახლებული მოსახლეობის რა ნაწილია ეთნიკურად თურქი და ეთნიკურად ქართველი, რამდენს აქვს შენარჩუნებული ქართული ცნობიერება, რამდენი უკვე გათურქებულია და ა.შ.

დღეს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, რამდენი ემხრობა ამა თუ იმ თვალსაზრისს, ან რომელია მათ შორის სწორი და მისაღები. მთავარი, სამწუხაროდ, ისაა, რომ დაპირისპირება ამ პრობლემის ირგვლივ ყოველთვის ძალზე მწვავეა და, პოლიტიკური ვნებათაღელვის დღევანდელ პირობებში, სრულიად უაზრო და საშიშიც კია მასზე მსჯელობა (გავიხსენოთ 1989-90 წლები). ამიტომ დღესდღეობით სჯობია ამ საკითხის ღიად დატოვება, მაგრამ რამდენადაც მისი გადაჭრა მომავალში ასე თუ ისე მაინც მოგვიწევს, შესაძლო მძიმე გართულებების თავიდან ასაცილებლად, დღესვე საჭირო რაღაც გზების ძიება. ამასთან, ზემოთმოყვანილ თვალსაზრისთა შორის შესაძლო არასასურველი დაპირისპირება რომ გამოირიცხოს, აუცილებელია საერთო შეხების წერტილის, საერთო ნიადაგის გამონახვა, რაც, ჩემი აზრით, შესაძლებელია.

რა შეიძლება გამოგვადგეს საერთო ნიადაგად?

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა დავუკვირდეთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენის – ასიმილაციის პრობლემის მიმართ ჩვენი მეზობელი ქვეყნებისა და ჩვენი, ქართველების დამოკიდებულებას, რეალურად განხორციელებულ პოლიტიკას.

ჩვენ, ქართველებს, ამ პრობლემის მიმართ ყველასაგან რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება გვაქვს.

სანამ ქართულ პოლიტიკაზე ვიმსჯელებდეთ ამ საკითხში, ჯერ სხვების პოლიტიკა განვიხილოთ.

დავიწყოთ აფხაზებით. (ამ ეთნიკურ ტერმინს ვხმარობ დღევანდელი და არა ისტორიული გაგებით).

დღეს აფხაზური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართული წარმოშობისაა. ესენია საქართველოს ნებისმიერი კუთხის წარმომადგენლები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო აქ მოუწიათ ცხოვრებამ.

ამ ქართველთა გააფხაზებას, ცხადია, ხელი შეუწყო გარკვეულმა პრივილეგიებმა, რომელსაც აფხაზების მიმართ აწესებდა ხელისუფლება. მაგრამ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, გააფხაზების ამ პროცესს მიესალმებოდნენ და ხელს უწყობდნენ თვით ეთნიკური აფხაზები, რადგან ამით თავიანთ დემოგრაფიულ ხვედრით წილს იმაღლებდნენ რეგიონში.

ახლა სომხურ პოლიტიკას შევეხოთ.

რუსული ცარისტული რეჟიმის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით ქართული სამღვდელოებისაგან დაცლილ ბევრ ქართულ რეგიონში სომეხი გრიგორიანელი მღვდლები ქართველ ბავშვებს არა მარტო გრიგორიანულად ნათლავდნენ, არამედ, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, სომხურ გვარ-სახელს აძლევდნენ, რაშიც აშკარად ჩანს მათი მისწრაფება – ამ გზით ქართული მოსახლეობა სომხურ მოსახლეობად შერაცხულიყო და სომხური ხვედრითი წილი გაზრდილიყო რეგიონში. ასე გაასომხეს მათ უამრავი ქართველი. (საბედნიეროდ, ჩვენი ეროვნული მოღვაწეების ძალისხმევით, ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით 1980-იანი წლებიდან მოყოლებული 200 ათასამდე ასეთმა „სომეხმა" დაიბრუნა ქართველობა (გარკვეული წრეების წინააღმდეგობის მიუხედავად).

აზერბაიჯანელებმა საინგილოს ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი ასეთივე წესით გააააზერბაიჯანელა – მათი გამაჰმადიანების საშუალებით, ე.ი. არა მხოლოდ რელიგია შეუცვალეს, არამედ, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, გვარ-სახელებიც. აქაც აშკარაა მიზანი.

ასევე მოექცნენ თურქები ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებულ საქართველოს მიწაზე მცხოვრებ ქართველებს – ისინი გაათურქეს, ქართული გვარსახელებიც თურქულით შეუცვალეს. მიზანი, ცხადია, აქაც აშკარაა.

ახლა რუსული პოლიტიკა გავიხსენოთ.

რუსმა იმპერიალისტებმა VXII საუკუნეში ახლად დაპყრობილი ტერიტორიების შემომტკიცების მიზნით შეიმუშავეს ასეთი მზაკვრული გეგმა: „სხეული ადგილობრივი, სული რუსული". მათ ქართველებისათვის სარწმუნოების შეცვლა არ დასჭირვებიათ, მაგრამ ქართველებს აიძულებდნენ რუსული ცხოვრების წესით ეცხოვრათ, რუსულ ენაზე ელაპარაკათ, რუსულ ყაიდაზე გადაეკეთებინათ თავიანთი გვარები. ასე მივიღეთ მაგ. ერისტოვი, ჭავჭავაძევი და ა.შ. ისინი სრულიად გამიზნულად ახორციელებდნენ რუსიფიკაციის პროცესს თვით ბოლო ხანებამდე.

როგორც აშკარად ჩანს, სახეზე გვაქვს სრულიად გამიზნული, კარგად გაცნობიერებული და დაგეგმილი ეროვნული პოლიტიკა – დემოგრაფიულ-პოლიტიკურ-ტერიტორიული მდგომარეობის განმტკიცება სხვა ერების ასიმილირების ხარჯზე.

ახლა ვნახოთ, როგორ პოლიტიკას ვატარებთ ჩვენ ამ თვალსაზრისით. სრულიად საწინააღმდეგოს!

ჩვენ არა თუ იმას ვცდილობთ, ქართველობა ძალდატანებით მივაღებინოთ ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველებს, არამედ იმათაც კი სასტიკად ვეწინააღმდეგებით, რომელთაც თავისი ნებით გაუჩნდებათ ამის სურვილი. მეტიც, – რაც მართლაც რომ გასაოცარია, – ქართველობის დაბრუნებაში ვეწინააღმდეგებით წარმოშობით ქართველებსაც კი! (უმეტესად მაჰმადიანი მესხების, ზოგჯერ კი გასომხებული ქართველების შემთხვევაში).

ამასთან, ქართული გვარ-სახელის მქონე გრიგორიანელ ქართველს ვეძახით „სომეხს", მაჰმადიან ქართველებს – „თათრებს", „თურქებს", კათოლიკე ქართველებს – „ფრანგებს" და ა.შ.

აი, ასეთია ჩვენი პოლიტიკა!

არადა, ჩვენი დემოგრაფიული, პოლიტიკური, ტერიტორიული პრობლემების გათვალისწინებით სწორედ ჩვენ გვმართებდა პირველ რიგში იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც ჩვენი მეზობელი ქვეყნები (ჩვენში კი აფხაზები) მიმართავენ. (ბუნებრივი მატებითაც თითქმის ყველას ჩამოვრჩებით!)

იმაზე მსჯელობა, ცუდია თუ კარგი ეს, სასარგებლოა თუ დამღუპველი ერისათვის, კვლავ დაპირისპირებამდე მიგვიყვანს. ამიტომ, სჯობია, ეს საკითხიც ღიად დავტოვოთ და შევთანხმდეთ იმაში, რაც, ვფიქრობთ, არავისთვის არ უნდა იყოს საკამათო:

ორივე პოლიტიკა – ჩვენიც და ჩვენი მეზობლებისაც – არაბუნებრივია!

არაბუნებრივია ის, რომ ერმა თავისი დემოგრაფიულ-პოლიტიკურ-ტერიტორიული მდგომარეობა სხვა ერების ძალადობრივი ასიმილირების ხარჯზე გაიუმჯობესოს.

არაბუნებრივია ისიც, რომ ერმა თავისი დემოგრაფიულ-პოლიტიკურ-ტერიტორიული მდგომარეობა სხვათა მიერ ძალადობით ასიმილირებული საკუთარი ხალხის ხარჯზე არ გაიუმჯობესოს!

სრულიად ბუნებრივია ის, რომ ყოველმა ერმა თავისი დაკარგული შვილები, სხვადასხვა მიზეზით სხვათა მიერ ასიმილირებულები, თავისი

სისხლი და ხორცი, თავისი ჯიში – დაიბრუნოს თავის წიაღში, შეიძლება ითქვას, მოახდინოს მათი უკუასიმილირება.

უკუასიმილირება – სხვათა მიერ ასიმილირებული მოსახლეობის ბუნებრივ, საკუთარ ეროვნულ მდგომარეობაში დაბრუნებაა.

ვინ უნდა იყოს ამის წინააღმდეგი?

ეს გაცილებით მაღალზნეობრივი მეთოდია ჩვენი დემოგრაფიულ-პოლიტიკურ-ტერიტორიული მდგომარეობის განსამტკიცებლად, ვიდრე ის, რასაც ამავე მიზნით სხვები მიმართავენ – სხვათა ასიმილირებას.

ვფიქრობ, სწორედ ეს – უკუასიმილირების მაღალზნეობრივი მეთოდი – შეიძლება გამოდგეს იმ საერთო ნიადაგად, რომლის საფუძველზეც მესხეთიდან გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებისათვის უნდა ვიზრუნოთ. იმედია, ამ საერთო ნიადაგის – უკუასიმილირების – წინააღმდეგნი არ იქნებიან ამ მოსახლეობის მიმართ ყველაზე აგრესიულად განწყობილნი – ზემომოყვანილ პირველ თვალსაზრისზე მდგომნიც კი. (სხვათა შორის, ამ აგრესიული განწყობილების შექმნაში დიდი როლი ითამაშა ზვიად გამსახურდიამ 1989-90 წლებში, როცა გაუთვითცნობიერებელი ხალხის მასას თავი წარმოუდგინა, როგორც „თურქი ურდოებისაგან (ე.ი. მაჰმადიანი მესხებისაგან!) მხსნელი“).

რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი დღეს ამ საერთო ნიადაგის საფუძველზე?

ჩვენ უნდა მოვახდინოთ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო გათურქებული ქართული მაჰმადიანი მოსახლეობის, ჩვენივე სისხლისა და ხორცის, უკუასიმილირება! ოღონდ დღევანდელი მათი განსახლების ადგილებზე, მათი დაბრუნებისა თუ არდაბრუნების საკითხის მიუხედავად... ისინი უნდა დავარწმუნოთ, რომ მათი დაბრუნება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ (ჩვენი მძიმე დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით), როდესაც ისინი დაიბრუნებენ ქართულ ცნობიერებას, გვარებს, შეისწავლიან ქართულ ენას, გაეცნობიან საქართველოს ისტორიას... რაც მთავარია, მათ არ უნდა დავუკარგოთ დაბრუნების იმედი, თუნდაც ოდესმე...

თუ მათი დაბრუნება არასოდეს არ მოხდება, თუ ისინი სამარადჟამოდ საქართველოს გარეთ დარჩებიან, დაე, ქართული ცნობიერება მაინც ჰქონდეთ დაბრუნებული. რა არის ამაში ცუდი? განა ცოტაა ხალხი, სხვათა ქვეყნებში რომ ცხოვრობენ და ეროვნული ცნობიერება აქვთ შენარჩუნებული?

ვისაც ქართული ცნობიერების დაბრუნების სურვილი არ გაუჩნდება ჩვენი მცდელობის მიუხედავად, აი, სწორედ მათზე შეიძლება ავიღოთ ხელი – გულისტკივილით! გულისტკივილით, რადგან, ვინ იცის, მათში დიდი შოთა რუსთველის შთამომავლებიც კი იყვნენ!

უკუასიმილირების – ამ რთული, მაგრამ უაღრესად საჭირო და მაღალზნეობრივი მიზნის მისაღწევად ჩვენმა სახელმწიფომ კარგად, გააზრებულად უნდა დაგეგმოს და განახორციელოს, შეიძლება ითქვას, მისიონერული მოღვაწეობის ორგანიზება ამ მოსახლეობაში (შემსრულებლები გამოჩნდებიან). ამ საქმეში უნდა ჩააბას გადასახლებული მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელთაც ქართული ცნობიერება კარგად აქვთ შენარჩუნებული.

იმ სიძნელეებთან და საშიშროებასთან შედარებით, რაც საქართველოს ამ პრობლემის გადაუწყვეტობის შემთხვევაში მომავალში ემუქრება, ვფიქრობ, ასეთი ინტენსიური მისიონერული ღონისძიებების ჩატარება ჩვენი სახელმწიფოსათვის, თუნდაც დღეს, გაცილებით ადვილი შესასრულებელია.

რაც შეეხება გადასახლებული მოსახლეობის თურქულ ნაწილს, რა თქმა უნდა, მათ დაბრუნებაზე უარი უნდა ვუთხრათ. ამას გაგვიგებს მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი ჩვენი მძიმე დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც.

საქართველოს ყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ ასიმილირების გზაზე დამდგარ ან უკვე ასიმილირებულ ქართველებთან ჩვენს ურთიერთობას მათში ქართული ცნობიერების აღდგენის ან განმტკიცების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფალნი ხელს უშლიან გასაგები მიზეზების გამო. ასეთ ხელის შეშლას ალბათ ადგილი არ ექნება გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის შემთხვევაში, რადგან აქ არ არსებობს ტერიტორიული საკითხები და ადგილობრივი ხელისუფალნი მადლობელნიც კი დარჩებიან მათი სამშობლოში დასაბრუნებლად გამიზნული ამ საქმიანობის გამო.

დასასრულ, უკუასიმილირების მაღალზნეობრივი იდეის გასამართლებლად ჩვენი მაცხოვრის სიტყვების გახსენებაც იკმარებს:

„როგორ გგონიათ, კაცს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთი მათგანი დაეკარგოს, განა არ მიატოვებს მთაში ოთხმოცდაცხრამეტს და არ წავა დაკარგულის საძებნად?

და თუ მოხდა ისე, რომ იპოვა, ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ, მას უფრო მეტად შეჰხარის, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტს, რომლებიც არ დაჰკარგვია“. (მათე, 18, 12-13).

**ანზორ აბჟანდაძე**

# უხილავი ვარსკვლავი



**ნინო ქუთელია, ახლა იგი ექვსი წლისაა, თითქოს აქაა, ჩვენთან, მიწაზე, არა-და, იქაა, თვალშეუდგამ სინათლეში, მე ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, როცა მელაპარაკება, იქიდან მელაპარაკება, იმ ჭეშმარიტებიდან, იმ საუფლოდან: „როცა გულის კარმა დაიძინა, მე გამოვიპარე და დედასთან მივედიო“. ხან ციური სხეულები ესტუმრებიან ხოლმე, ხან ფერადი წვიმებით ერთობა. მე ჩემს ცხოვრებაში ამგვარი ბავშვი არ შემხვედრია, იქნებ, ის ვარსკვლავია, ჯერ კიდევ რომ არა ჩანს ცაზე?**

**„იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო“.**

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

## <u>ნინო ქუთელია</u> ცეროდენები

ადრე, როცა ფანჯარაში გავიხედე, უკვე დამვიწყებოდა, თუ როგორ მიმეძლვნა გულის კარისთვის სიმღერა. მერე საოცრება მომივიდა, გულის კარი ჩემს სახლში მეწვია. როცა წავიდა, მეც გავყევი. დედა როცა დაბრუნდა, აღარ დავხვდი სახლში. იტირა დედიკომ, მაგრამ ვერაფერს გახდა. მერე წავიდა და დაგლეჯილი ქამარი შემოირტყა. მე ამასობაში გულის კართან ვიყავი. იქ ვიცხოვრე დიდხანს. მაგრამ ბოლოს დედა მომენატრა და მწარედ ავტირდი. როცა გულის კარმა დაიძინა, მე გამოვიპარე და დედასთან მივედი. დედამ რომ დამინახა, ძალიან გაეხარდა და ჩამიხუტა. ასე დავრჩით მე და დედიკო.

8 სექტემბერი 1997 წელი
(ნინო 5 წლისაა)

***

ღამით, როცა კოცონი მენთო და ცას ვუყურებდი, შევამჩნიე, რომ ერთი ვარსკვლავი აღარ იყო. მე მინდოდა ავტირებულიყავი, რადგან ვარსკვლავი ვერ დავინახე. უცბად გამოჩნდა და ძალიან გამიხარდა. შემდეგ ხელი ვტაცე და დავიჭირე. შემდეგ დედიკოსთან წავილე. მითხრა, რა ლამაზი ვარსკვლავიაო. შემდეგ ეს ვარსკვლავი გაფრინდა ცაში, მე კი ვიტირე, ბევრი ვიტირე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ერთხელ ისევ მესტუმრა ვარსკვლავი. მე ჩავეხუტე ვარსკვლავს. მან სახე გამინათა. როცა სარკეში ჩავიხედე, მივხვდი, რომ სახე განათებული მქონდა.

***

ერთხელ, როცა მინდორში გავედი, ვნახე, რომ ბევრი ყვავილი იყო. ჩავწექი ყვავილებში. ყვავილებმა არ გამაბრაზეს და ჩამეხუტნენ. მე შევიპარე ბაღში და ვაჭამე ყვავილებს. ერთმა ყვავილმა მითხრა, ვარდებს განახებო... წავედით მე და ყვავილი და ვნახეთ ვარდები. ჩავწექი ვარდებში. ვარდებმა მითხრეს, იის კოკრებს განახებო. მე წავყევი და სულ გავგიჟდი. მან ბევრი სხვა ყვავილი მაჩვენა და მე სულ ყვავილებში ვიწექი. ეს ყვავილთა სამფლობელო იყო.

***

ერთხელ ანი და თეა და-ძმად იქცნენ და წავიდნენ მეგობრის საძებნელად. ტყეში გოგონა დაინახეს. თეამ უთხრა ანის – „ეს გოგონა ჩვენს მეგობრად გამოდგებაო“. მერე გოგონა თავის სახლში წავიდა და გარეთ არ გამოდიოდა. ანიმ და თეამ მოიწყინეს. მერე უცბად გოგონა გამოვიდა გარეთ და ქვევით ჩავიდა. ანი და თეა გაედევნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს. მერე აღმოჩნდა, რომ ეს გოგონა ნინია.

***

ერთხელ, როცა მე რაღაცას ვწერდი, შევამჩნიე, რომ პატარა თოჯინა მიყიდა მამიკომ. მერე მამამ კიდევ ბარბი მიყიდა. მე გამეხარდა და მამიკოს ჩავეხუტე.

ერთხელ ბაბუამ სათამაშო ბაყაყი მიყიდა. ეს ბაყაყი იყო მწვანე და როცა დაქოქავდი, ხან ჭერზე ახტებოდა, ხან ძირს დაეცემოდა და იქ ხტუნავდა. ისეთი სასაცილო ბაყაყი იყო, რომ თვალს ვერ მოაშორებდი.

ერთხელ მე გავასეირნე ბაყაყი. ვიღაცამ წამართვა. მე გავეკიდე და დავიჭირე ბიჭი, წავართვი ბაყაყი და ვუთხარი: „მეტი აღარ წამართვა ჩემი ბაყაყი“. მერე ის ბიჭი სახლში წავიდა დაქანცული და ბევრი იტირა.

### ვუძღვნი დედიკოს

გაზაფხული მოვიდა,
გაილვიძა ბუნებამ,
საყვარელმა ჩიტუნამ
თვალი აახამხამა.
საყვარელო დედიკო,
გაზაფხული მოვიდა.
ხვალ ფერადი წვიმაა
წითელი და ყვითელი.
ყვავილები ამოსულა
დიდი, დიდი ფოთლებით.

31 მაისი 1998 წელი
**6 წლისაა**

### წვიმა

წვიმა მოდის ფერად-ფერად,
ბალახები ირწევიან ქარში,
ულამაზეს ერთ-ერთ ყვავილს,
შემოასხა წვიმამ.
ყვავილი რომ ატირდა,
მოიწყინა ყველამ.

18 აგვისტო 1998 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი მოჰიკანი



## ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 155 წელი

მხოლოდ საერთო საქმისათვის თავგანწირული ადამიანები ამშვენიერებენ და ასახელებენ კაცობრიობას.

ადამიანები „საზოგადოების საქმისათვის უნდა ცხოვრობდნენ და საზოგადო მიზნებისათვის უნდა კვდებოდნენ“ (ნ. ნიკოლაძე).

მარტო ამ ციტატის დედააზრი საკმარისი იქნებოდა გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა ნიკო ნიკოლაძეზე, მის პიროვნებასა და ღვაწლზე, რომ არაფერი ვთქვათ მის პუბლიცისტურ ნაწერებზე...

ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე დაიბადა 1843 წლის 27 სექტემბერს, ქუთაისში. იგი სოფელ სკანდეს მკვიდრი იყო, ამიტომაც თავის ერთ-ერთ საყვარელ ფსევდონიმად სკანდელი აირჩია.

ნ. ნიკოლაძე იყო დიდი ეროვნული, ფართო ერუდიციის საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ღრმად ფილოსოფიური საკაცობრიო იდეებით აღსავსე, მორალურად და ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნება...

ისტორიის მამოძრავებელი ძალა ხალხია და გმირი ის არის, ვინც ხალხის ნებასურვილს გამოხატავს, ის იმარჯვებს, ვინც ხალხის ინტერესებს დღენიადაგ იცავს... მისი პუბლიცისტური ნაწერებიც სწორედ ხალხის ბედ-იღბალზე, მათ უკეთეს მომავალზე ზრუნვითაა გამსჭვალული.

პარიზში ყოფნისას, ნიკო ნიკოლაძემ თავის ორ ამხანაგთან – დ. მიქელაძესთან და პ. იზმაილოვთან ერთად, 1873 წლის I აპრილს დაიწყო ნაბეჭდი ქართული, ოთხგვერდიანი გაზეთის „დროშის“ გამოცემა. ამ გაზეთის 10 ნომერი გამოვიდა.

გაზეთ „დროშის“ წინასიტყვაობიდან, რომელიც ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „ყველგან ისმის გაუმჯობესების სიტყვა, განახლების სურვილი სჩანს, ცხოვრების წინ წამყვანი ძალა მოქმედებს და ახალი წესების დაარსება იწყება...

ახალი თაობა სამკვიდრებლის მისაღებად იმზადება...

ამისთანა დროს ყრუთ და ბრმად დარჩენა შეცდომა კი არა მარტო, მძიმე დანაშაულობაა. შემდეგი თაობებისა და ხალხის წინაშე... თუ დროშის მაგალითი უკვალო და უნაყოფო არ გამოდგა, „დროშის“ მიზანი სრულებით მიღწეული იქნება...“

დიახ, „დროშამ“ შესანიშნავად შეასრულა თავისი მიზანი, ევროპაში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა სოციალ-პოლიტიკური მრწამსით ასაზრდოვა.

ნ. ნიკოლაძეს მტკიცედ სწამდა, რომ „როცა საზოგადო მოქმედება საჭირო ხდება, ყველამ თავისი საკუთარი შეხედულება უნდა დაივიწყოს, საერთო უმრავლესობის აზრის ასრულებაში მოსაყვანად“. 1873 წლის მაისში შეწყდა გაზეთის გამოცემა...

მას შემდეგ 125 წელი გავიდა... მისი პირდაპირი მემკვიდრეა ჟურნალი „დროშა“.

„– პუბლიცისტიკა, – წერდა ნ. ნიკოლაძე, – უსათუოდ მამხილებელი უნდა იყოს, მაგრამ მარტო მხილებით არასდროს არ უნდა დაკმაყოფილდეს, თვითონვე უნდა ცდილობდეს ცხოვრების გაუმჯობესებას, საზოგადოების მდგომარეობისა და მოთხოვნილების მიხედვით უნდა წარმართავდეს საზოგადოებრივ აზრს, ეძებდეს უკეთეს გზას წინსვლისათვის“.

მას წერის თავისებური მანერა გააჩნდა, როგორც თვითონვე წერს, – „უმთავრესი აზრი იყო მისთვის და არა ლამაზი ფრაზა, შინაგანი ლოგიკა და არა სიტყვათა ფეიერვერკი“.

ამიტომაცაა მისი კალამი ესოდენ ბასრი. მთელი სიმკაცრით აშუქებდა ქვეყანაში არსებულ საჭირბოროტო საკითხებს, არ დაუტოვებია არც ერთი სფერო, იგი რომ არ შეხებოდა და არ გამოეტანა სამსჯავროზე.

მეტად აქტიურია მისი სტატიები: „ჩვენი ახალგაზრდობა“, „კრებულის დანიშნულებაზედ“, „საზოგადო საქმეები“, „ახალგაზრდობის აღზრდა“, და ა.შ.

სტატიაში „ბანკის საქმე ჩვენში“ თამამად აშუქებდა იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკის საკითხებს, როგორც ბერკეტს ქვეყნის აღმავლობისა... ქვეყანაში მეურნეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებად კრედიტს (სესხს) და მის „მმართველ ბანკს“ თვლიდა.

ძალზე საინტერესოა მისი მოსაზრებანი ვაჭრობის ფენომენზე, რომელმაც ჩვენში ასე აქტუალურად იჩინა თავი და დღევანდელი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

„ვაჭრობას, ბევრი სპეკულაციასა და მყიდველის მოტყუებას ეძახის, რაც დიდი შეცდომაა“...

ნ. ნიკოლაძე, ესოდენ დიდი განათლების პიროვნება, მოითხოვდა, რომ ვაჭრობის სათავეში ჩამდგარიყვნენ პატიოსანი ადამიანები, რომლებსაც მუდამ ეხსომებოდათ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები. „ასეთი ვაჭრები კი თავის ქვეყნიდან გაიტანდნენ იმას, რასაც ჩვენი ხალხი საჭიროებს“. – ეს მოსაზრებანი არც დღეს კარგავს თავის ცხოველმყოფელობას და მეტად აქტუალურია ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის მწვავე პერიოდშიც.

1880 წელს გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის ნაშრომი „მამულის სიყვარული და მსახურება“, რომელიც მიუთითებდა მის პატრიოტულ მრწამსზე... იგი აშკარად ამხელდა იმ პერიოდში ცარიზმის დამპყრობლურ, დისკრედიტაციულ პოლიტიკას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მისი „კრებული“ რაინდული შემართებით იცავდა ეროვნულ თვითმყოფადობას. პირველ რიგში დედაენის უფლებებს. იმ პერიოდში, როდესაც სასტიკად იდევნებოდა ნაციონალური ენები, როცა რეაქციული პრესა ამ ენების სრულ ლიკვიდაციას მოითხოვდა...

მეტად საინტერესოა მისი ნარკვევი „სხვათა შორის“, რომელშიც დასურათხატებულია იმდროინდელი აჭარის პოლიტიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-კულტურული დახასიათებანი. იგი ნათლად გვაგრძნობინებს მისი განთავისუფლებისა და დედასაქართველოსთან შემოერთების აუცილებლობას. აჭარა, – ხმამაღლა აცხადებდა იგი, – საქართველოს ღვიძლი შვილია, რომელიც თვალის ჩინივით უფრთხილდება დედა ენას.

ნ. ნიკოლაძე მთელი არსებით გრძნობდა მშობლიურ ერთან მის სისხლხორცეულ კავშირს, ამიტომაც ამბობდა: „შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არა ჰქონია და არც ექნებაო...“ ეს ფრაზა დღესაც არ კარგავს თავის ისტორიულ და პოლიტიკურ შინაარსს.

იგი შეეხო მაშინდელი განათლების სისტემას. განსაკუთრებული სიმწვავით დააყენა აღზრდის საკითხები. მხოლოდ დემოკრატიულ-პატრიოტულ აღზრდას შეუძლია ადამიანის ზნეობრივი ამაღლება, რადგან მორალის საფუძველია საზოგადოებრივი მოვალეობის მკაცრი შეგრძნება. ამიტომაც ამბობდა: „რათ ვარგა მარტო თავი გქონდეს „განათლებული“, თუკი ამასთან გულიც არ გინათებს და როგორც კაცი ვერ ვარგიხარ?“

„ამ მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს სკოლა, როცა ყველა ცენზი გაუქმდება და ადამიანი მარტოოდენ პირადი ღირსებით დაფასდება, ახალგაზრდობა ნიადაგ საზოგადოების სიკეთეზე უნდა ფიქრობდესო“... აი, მისი შეხედულება ამ საკითხზე.

იგი თავგამოდებით იბრძოდა ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური გამოყენებისათვის. დიდი ზრუნვა და ამაგი დასდო ტყიბულის ქვანახშირს, ჭიათურის მარგანეცის დამუშავება-ექსპლუატაციის საქმეს... მან შეიმუშავა მთელი რიგი პროგრამა, რომელიც მისივე მოხსენების საფუძველზე, ბაქოში გამართული ნავთის მრეწველთა საერთო კრებამ მიიღო.

აქედან ნათლად ჩანს, რომ მარტო ლიტერატურით არ შემოიფარგლა ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მას ეკუთვნის ხელმძღვანელობა დიდი საქმეების, როგორიცაა თბილისის წყალსადენი, ფოთის ნავსადგური, ამიერკავკასიის რკინიგზა, პროექტი გროზნო-ფოთის ნავთსადენის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები...

უზადოა მისი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება...

ნ. ნიკოლაძე იყო გამომცემლობა „ქართული წიგნის“ დამაარსებელი, არჩეული საქართველოს საზოგადოების გამგეობის საპატიო წევრად.

1928 წლის I აპრილს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე გარდაიცვალა. მადლიერმა ქართველმა ერმა მისი საუკეთესო შვილი მთაწმინდის მიწას მიაბარა... ანდერძად კი დაგვიტოვა ეს სიტყვები: „მწერალმა ის ენა უნდა იხმაროს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობს“...

**ია პაპუკაშვილი**

# „მხოლოდ ფერფლმა იცის, რას ნიშნავს ბოლომდე წვა“

გოჩა დანელია




სათაურში გამოტანილი ი. ბროდსკის სიტყვები კარგად ესადაგება ამ ნარკვევის გმირებს. ყოველ საზოგადოებრივ ეპოქას თავისი დიდი ადამიანი ესაჭიროება, თუ ვერ პოულობს, იგი ქმნის მას. სოციალიზმი წარმოუდგენელია სტალინის გარეშე, რომელიც სიცოცხლეში მითიურ ფიგურად იქცა. მისმა სახემ სიმბოლური და მაგიური მნიშვნელობა შეიძინა. სტალინისდროინდელი მითები დღესაც შემორჩა ცხოვრებას, ბევრიც გაუფერულდა და დავიწყების ფერფლით დაიფარა.

უნდა გვახსოვდეს, რა ქვეყანასთან გვაქვს საქმე. ჯერ კიდევ ივანე მრისხანე ამბობდა: „მე ვარ მხეცი, მაგრამ მხეცებზეც ვმეფობ“. ერთხელ, სახელოვან მწერალ ი. ბუნინისათვის უთქვამს გლეხს: „ჩვენ არ შეგვიძლია თავს თავისუფლება მივცეთ. მე კარგი ვარ, კეთილი ვარ, სანამ თავისუფლებას არ მომანიჭებ. შემდეგ მე ვიქცევი პირველ ყაჩაღად, ქურდად, პირველ ლოთად.“ ამ მონოლოგს ბუნინმა რუსეთის ისტორიის პირველი ფურცელი უწოდა. ის დღესაც პირველია.

ჩვეულებისამებრ, რუსეთი ეძებს სამართალს და არა თავისუფლებას. მეფის რუსეთში სულიერ ხელმძღვანელად ღმერთი იყო მიჩნეული. კომუნისტებმა კი კომინტერნი აღიარეს. 1917 წლიდან რუსთა უდიდესი მასისათვის სოციალიზმი იქცა რელიგიად. დღეს ხალხი ისევ ესწრაფის ღმერთიან სოციალიზმს, რადგანაც სჯერა იმდროინდელი ცხოვრების უფრო მაღალი დონისა. გაუქარწყლეთ ეს რწმენა და სოციალიზმი საბოლოოდ აღესრულება.

ჯერ კიდევ მონტესკიემ იცოდა, რომ ყველაზე ტირანული რეჟიმები, ჩვეულებრივ, ფეხს იკიდებენ დიდ სივრცეებში; მრავალეროვან დიდ სახელმწიფოში დიქტატურაა მთავარი ინსტრუმენტი. ინტერნაციონალიზმმა რუსეთში ჩაკლა სამშობლოსა და პატრიოტიზმის გრძნობა. ეს სტალინის დამსახურებაა. სამაგიეროდ, მან სახელმწიფო შეიყვარა კერპთაყვანისმცემლის ჟინით. მისი კერპი დიდი სოციალისტური სახელმწიფო იყო და სწირავდა კიდეც მას მსხვერპლს. რევოლუცია ხომ მუდამ საჭიროებს სინმინდის იდეალის სადიდებლად ვინმეს თავის მოკვეთას. სტალინი ახერხებდა ბატონობას აზრებსა და გრძნობებზე. მაშინდელი კლასობრივი ეთიკა ამართლებდა ძალადობას. კერპთაყვანისმცემლების აბსტრაქციული მიზანი (კომუნიზმი) ფანატიკოსებს წარმოშობდა. ისინი ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, მაგრამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფიქრობდნენ. გენერალი, მეცნიერი, მუშა, გლეხი შედიოდა რა პარტიაში, იქცეოდა პიონერად, სწევდა ხელს და გაჰყვიროდა – „მზად ვარ!“ თურმე სახელმწიფოები იღუპებიან მაშინ, როცა კარგ ადამიანებს ცუდისგან ვერ ასხვავებენ. ასეთი ცივილიზაციები არ პროგრესირებენ, ვერ გადადიან უფრო მაღალ მდგომარეობაში. ამიტომ წახდა კომუნისტური ცივილიზაციაც. რუსეთში დღეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე ფიქრობენ, მაგრამ ახლა სხვა უბედურება შეეყარათ – დაუმთავრებელ რევოლუციასავით, დაუმთავრებელი დემოკრატიის პროცესი მიიღეს. ამას მოჰყვა სტალინის გაუთავებელი კრიტიკა; სტალინისეული შავი ბრალდებების უმრავლესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყალბი აღმოჩნდა.

ერის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა საკუთარი მეთაურის ღალატი, პატრიოტის უმაღლეს მოვალეობას წარმოადგენს. ამას ვერც რუსები ასცდნენ. ეს არცაა გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ, როგორ ითხზვებოდა ეს ბრალდებები. აი ერთი მაგალითი. ვინმე იაროსლავ გოლოვანოვმა ჟურნალ „ოგონიოკში“ (№5, 1992) გამოაქვეყნა სტატია – „ჯალათები და მსხვერპლნი“. პირველ ჯალათად, ცხადია, სტალინი მოიაზრება. მტკიცებანი კი – გასაკვირველია. ავტორი მოგვითხრობს: „სტალინი ვერ იტანდა ლენინგრადს. მე არც ისტორიკოსი ვარ, არც პოლიტოლოგი, არ მაქვს დოკუმენტები, რომ დავამტკიცო ეს, მაგრამ ერთხელ მე ეს ვიგრძენი შინაგანი გრძნობით“.

ხედავთ? – უგვრძნია კაცს და თავს ვალდებულად თვლის ქვეყანასაც გააგებინოს მრავალმილიონიანი ტირაჟის მქონე ჟურნალით. მაგრამ ხვდება, რომ დამტკიცებაა საჭირო და მოჰყავს არგუმენტები: „ვერ იტანდა 1917 წლის ოქტომბრისათვის, რომელშიც არ მონაწილეობდა, ვერ იტანდა ზინოვიევის გამო, კიროვის გამო, ვერ იტანდა ტუხაჩევსკისათვის“. ავტორი აგრძელებს უფრო მძიმე არგუმენტით: „ლენინგრადის ბლოკადა 900 დღე გაგრძელდა და გაარღვიეს მხოლოდ 1944 წელს. მაგრამ რატომ უფრო ადრე არა? მე არ მასვენებს ეს აზრი და მეჩვენება, იგი (ე.ი. სტალინი) აწამებდა და შიმშილით კლავდა დიდ ქალაქს“. თუ შეამჩნიეთ, გოლოვანოვს კვლავ გამოჰყავს არენაზე ტუხაჩევსკი. მილიონობით ადამიანის გონებაში უნდა აღიბეჭდოს, რომ სტალინმა გაუგრძელა ბლოკადა ლენინგრადს ტუხაჩევსკის გამო. იგი თავადისშვილი იყო მამის მხრიდან. კომუნისტებთან თავი პირველად კრონშტატის აჯანყების დროს გამოიჩინა, ასრულებდა რა ტროცკის დავალებებს. წითელი ტერორის დროს ტამბოვის გუბერნიაში ხალხის წინააღმდეგ მომწამლავი გაზის გამოყენებისათვის ილვწოდა. 42 წლისამ მარშლობას მიაღწია. სამხედრო თეორეტიკოსი გახდა. უყვარდა ქალები და პოლიტიკა; ამას გადაჰყვა კიდეც. მისი ტრაგიკული აღსასრულის ისტორია ცნობილია, მაგრამ დეტალები დღესაც გაურკვეველია. ამიტომ მიდის მისი ისტორიის ექსპლუატაცია.

1937-1938 წლებში სტალინმა მოახდინა მე-5 კოლონის ლიკვიდაცია-გაანადგურა სამხედრო კადრების ტროცკისტული ნაწილი. ამ წლებს ხალხმა „ეჟოვშინა“ შეარქვა. ასე რომ არ მოქცეულიყო, სამამულო ომში გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა. სამხედრო სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა ფინეთის ომმაც დაადასტურა. რეპრესირებულთა მიერ განვრთნილი წითელი არმია დამარცხდა ფინელებთან. არმიის გარდაქმნა კადრებით დაიწყო (1938 წლის ბოლოს მეთაურთა ნაწილი გადასახლებიდან დააბრუნეს, მაგრამ ეჭვიანობის ატმოსფერო სამხედროებში მაინც დარჩა; გადარჩენილების სულიერი ტრავმა დიდი იყო). არმიის გარდაქმნა და გადაიარაღება ომამდე ვერ მოესწრო. ამიტომ იყო განწირული მდგომარეობის მომენტები 41-42 წლებში“ (სტალინი). პირველ სამ თვეში ოთხ მილიონამდე ადამიანი ჩავარდა ტყვედ. მარტო მოღალატე ვლასოვის მოქმედება რად ღირს. ფრონტის ჯარების მართვის დაკარგვისათვის დაისაჯნენ დასავლეთის ფრონტის სარდალი პავლოვი, შტაბის უფროსი – კლიმოვსკიხი, სამხრეთ-აღმოსავლეთი ფრონტის სარდალი კირპონოსი და სხვები. დღეს უკვე დრომ მოიტანა უმაღლესი მთავარსარდლის ყოველი ნაბიჯის რევიზია.

ცხადია, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს დროს, როდესაც ეს მოვლენები ხდებოდა, მაგრამ ყველაფერს დროს ვერ დავაბრალებთ. სტალინი გადამკვდარი იყო სახელმწიფოზე და ყოველ სვლას აქედან გამომდინარე აკეთებდა. გაიხსენეთ მისი დამოკიდებულება ტროცკისადმი. წლების განმავლობაში იგი დაპარპაშებდა საზღვარგარეთ და გულს სტალინის გინებით იფხანდა. მისთვის კი ხელი არავის უხლია. ტროცკი მოიშორეს მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოეთისათვის გერმანიიდან საფრთხე გარდაუვალი გახდა და ამ პირობებში ქვეყანაში ტროცკიზმის რესტავრაცია შესაძლებელი შეიქმნა. ამასვე ემსახურებოდა არმიაში ტროცკისტული მაღალი ეშელონის განადგურება. 30 ათასამდე ოფიცერთან ერთად დაისაჯნენ მ. ტუხაჩევსკი, ი. უბორევიჩი, ი. იაკირი, ა. კორკი, მარშალი ე. ბლიუხერი, ი. ბელოვი, პ. დიბენკო, ი. ფედკო და სხვები. მათ განაჩენი გამოუტანა სასამართლომ, რომელიც მათი მეგობრებისაგან შედგებოდა. ტუხაჩევსკის საქმე დღესაც ბურუსითაა მოცული. არ გამართლდა ვერსია ჰიტლერის მითითებით გესტაპოს მიერ მომზადებული ტუხაჩევსკის მაკომპრომეტირებელი მასალის სტალინისათვის მიწოდების შესახებ. გაიხსენეს ვინმე ა. ორლოვის (გენერალი ლევ ფელდგინი, სიონისტი (სტატია ჟურნალ „ლაიფ“-ში (1953) – „სტალინის ბედუკულმართობის სენსაციური საიდუმლოება“. ესპანეთის ომის შემდეგ საბჭოთა აგენტი ლ. ფელდბინი საზღვარგარეთ დარჩა. იგი თურმე ფლობდა საიდუმლოს: სტალინი „ოხრანკის“ აგენტი ყოფილა (კლიჩკა რ. მალინოვსკი; ბოლშევიკებისათვის უფრო მეტს აკეთებდა, ვიდრე „ოხრანკისათვის“; ამიტომ გადაუსახლებიათ ტურუხანსკში). ეს საიდუმლო აღმოუჩენიათ და სცოდნიათ ნკვდ-ს თანამშრომლებს (ზ. კალცენსონი, ა. შტეინი, ს. კოსიორი, ი. იაკირი, ჰ. იაგოდა, გამარნიკი, ი. უბორევიჩი). დოკუმენტი ამათ ტუხაჩევსკისთვის უჩვენებიათ. მას საქმეში ვოროშილოვის ჩართვა გადაუწყვეტია. შეთქმულები აპირებდნენ ცკ-ს პლენუმის მოწვევასა სტალინის დაპატიმრებას და დახვრეტას. ფელდბინის ვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიით, სტალინს მათთვის დაუსწრია, რადგანაც შეთქმულნი ვილაცას გაუცია. ასე მთავრდება ყოველთვის – ვინც საქმის ბოლოს არ განსჭვრეტს, იმას ბედიც არ სწყალობს. ეს მტკიცებები ძალზე საეჭვოა, რადგანაც შესაბამისი საქაღალდე ვერავინ მოიძია. გასაკვირია ისიც, რომ თუ ასეთი კომპრომატი არსებობდა, რატომ ხრუშჩოვმა არ გამოიყენა ის? ბავშვური ფანტაზიის ნაყოფად გვესახება სტალინის ჩამოგდება ტუხაჩევსკისა და თუგინდ ვოროშილოვის გამოყენებით. იმ მომენტში ეს არ იყო შესაფერისი დონე დასახული მიზნის მისაღწევად. თუ სტალინი „ოხრანკის" აგენტი იყო, მაშინ იმდროინდელი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რატომ გაატარებინეს გადასახლებაში? მას ხომ მაღალი პოსტი ეკავა პარტიაში და ცენტრში უფრო არ გამოადგებოდათ?

ამ ზღაპრებში გარკვევა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ჩვენ გვსურს შევაფასოთ კონკრეტული ფაქტი – სამხედრო კადრების ლიკვიდაციამ ავნო თუ არგო საბჭოეთს. ცნობილ მწერალს კ. სიმონოვს მიაჩნდა, რომ არა 1937 წელი, 1941 წლის დამარცხებებიც არ იქნებოდა. იგი უფრო შორს მიდის და მოჰყავს საუბარი მარშალ ა. ვასილევსკისთან და მას მიაწერს სიტყვებს: „ჰიტლერმა 1941 წელს ომის დაწყება უფრო მეტად იმიტომ გაბედა, რომ ჩვენში სამხედრო კადრები განადგურდა". ისმის კითხვა: მაშინ რატომ არ დაგვესხა გერმანია 41 წლამდე? ოთხი წლის შემდეგ ხომ შორს მიმავალ შედეგებამდე ამას არ უნდა მივეყვანეთ? ორი წლით ადრე ხომ ევროპაში საყოველთაო განუკითხაობის ჟამი იდგა და გერმანია ადვილად გაამართლებდა თავდასხმას და გამარჯვებაც უფრო გაუადვილდებოდა. მით უმეტეს, გერინგის თქმით, გერმანია 1936 წლის ბოლოდან უკვე საომარ მდგომარეობაშია და მხოლოდ სროლა იყო საჭირო. დასავლეთი ხომ ნ. ჩემბერლენის ხელმძღვანელობით ამას უკიჟინებდა გერმანიას; მათ ხომ ჰიტლერზე ნაკლებად არ სძულდათ კომუნიზმი (ფიურერმა გაანადგურა გერმანელი კომუნისტები, გზა შეუკრა კომუნიზმს დასავლეთ ევროპისაკენ). ა. ვასილევსკის რომ ის ეთქვა, რასაც სიმონოვი მიაწერს, მას მხოლოდ უვიცობა უნდა გამოემჟღავნებინა პოლიტიკაში. ჯერ კიდევ „მაინ კამპში" (1925) ჰიტლერი ხომ გერმანელთა „სასიცოცხლო არედ" რუსეთს მიიჩნევდა და შემდგომ ხშირად იმეორებდა – რასაც მე ვაკეთებ, ყველაფერი მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. ისიც ცნობილია, რომ ჰიტლერის აზრით, 1943-1945 წლებში (ე.ი. თუ თავდასხმას დააგვიანებდა) დრო გერმანიის წინააღმდეგ იმუშავებდა. ბოლოს და ბოლოს ტუხაჩევსკი და მისი გენერალთა გუნდი საავიაციო კატასტროფაში რომ დაღუპულიყო, რა, ქვეყანა დაიქცეოდა? ფინელებთან მარცხი მის კისერზეც არ ძევს? ტუხაჩევსკი ხომ თავდაცვის ნარკომის პირველი მოადგილე იყო და ევალებოდა სამხედრო სისტემის სრულყოფა? აღსანიშნავია ისიც, რომ რეპრესირებული გენერლების ადგილები დაიკავეს ნიჭიერმა ახალგაზრდებმა ჟუკოვმა, ვასილევსკიმ, კონევმა, გოვოროვმა, ვატუტინმა და სხვებმა. მათ გერმანელი მხედართმთავრები დააჩოქეს და აიღეს ბერლინი. გენიოსების ეს ახალი ტალღა სტალინმა გამოზარდა. შეიძლება მათ დაუპირისპიროთ ტუხაჩევსკის გუნდი? „თუმცა სტალინმა დიდი წმენდა მოაწყო უმაღლესი სამხედრო შემადგენლობის რიგებში, ამას ნაკლები შედეგები მოჰყვა, ვიდრე ვარაუდობდნენ, რადგან იმავდროულად უყოყმანოდ აწინაურებდა ახალგაზრდა, ნიჭიერ ადამიანებს", – ადასტურებს ჩვენ აზრს მილოვან ჯილასი. დავძენთ, რომ სტალინი სამეთაურო შემადგენლობის ცვლილებას ომის დროსაც წარმატებით ახორციელებდა. წარუმატებლობა ომის დასაწყისში განაპირობა გერმანელთა რისკის სისწრაფემ და დროის უკმარისობამ სსრკ მოსამზადებლად. ფრიდრიხ დიდისა და ბისმარკის ომები დაკავშირებული იყო რისკსა და სისწრაფესთან. ამიტომ გერმანელები ყოველთვის იგებდნენ ყველა ომს, ბოლო გადამწყვეტის გარდა. ეს იცოდა ჰიტლერმა. თავის მხრივ, ომის დაწყებასთან დაკავშირებით, სტალინს აქვს ნათქვამი: „მე არ მჭირდებოდა არავითარი გაფრთხილება. მე ვიცოდი, რომ ომი დაიწყებოდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ შევძლებდი კიდევ მომეგო ექვსი თვე (მოვგიანებით მარშალი კ. მერეცკოვი იხსენებდა 41 წლის იანვარში სტალინის ნათქვამს – 1943 წლამდე უომრად თავს ვერ შევინახავთ, მაგრამ 1942 წლამდე შეიძლება როგორმე გავძლოთო; სხვათა შორის ჩერჩილიც თვლიდა, რომ ინგლისი არ იყო მზად მეორე მსოფლიო ომისათვის). მას ეგონა, რომ პოლონეთი და განსაკუთრებით კი საფრანგეთი, თითო კვირაზე მეტს გაუძლებდა გერმანიას. ეს ასე არ მოხდა.

გადავხედოთ ისტორიას. საინტერესოა, რას ფიქრობდა სამხედროთა რეპრესიებზე ჰიტლერი. საბჭოთა პრესით, თითქოს გერმანელები თვლიდნენ აუნაზღაურებლად მაშინდელ მოვლენებს, მაგრამ დამადასტურებელ საბუთს ვერავინ იმოწმებს. ბლიცკრიგის ჩაშლის შემდეგ, ჰიტლერს თანამეინახეების ბორმანის, კეიტელისა და სხვების თანდასწრებით ასე შეუფასებია სტალინის მოქმედება – „არავითარი სიცხადე არაა საკითხში; შეიძლება წინააღმდეგობები სტალინსა და ტუხაჩევსკის თანამოაზროვნეებს შორის ისე გამწვავდა, რომ სტალინს შეეძლო მათი მხრიდან თავდასხმის შიში ჰქონოდა". ამ სიტყვებში იგი გარკვეულად ამართლებს სტალინის ნაბიჯს, მეორე მხრივ, კი გამოსჭვივის შიში საკუთარი გენერლების მიმართ. ეს მალე დადასტურდა. უკვე 1944 წლის ცნობილი პუტჩის შემდეგ, ფიურერი ამართლებდა სტალინის მოქმედებას. პუტჩის მონაწილეთა სასამართლოს თავმჯდომარედ მან დანიშნა სისხლისმსმელი მანიაკი ფრაისლერი. „ეს ჩვენი ვიშინსკია, – ამბობდა ჰიტლერი. ის საუკეთესოდ მოაწყობს საქმეს". ამავე პერიოდს ეკუთვნის ჰიტლერის ნათქვამი: „თუ ჩერჩილი ტურაა, სტალინი – ვეფხვია. სტალინი, უდაოდ, პატივისცემას იმსახურებს; იგი გენიოსია თავის საქმეში". ჰიტლერი თანდათან სტალინის მხარეს იხრებოდა ამ საკითხში. და აი ნაწყვეტი მისი ბოლო ინტერვიუდან, რომელიც მან შვეიცარიელ ჟურნალისტს მისცა სიკვდილის წინა დღეს: „სტალინმა წითელ არმიაში წმენდის მოწყობით და დამპალი არისტოკრატიის თავიდან მოშორებით გენიალური საქმე გააკეთა. მე ვკვდები საკუთარი გენერლების ხელით". ჰიტლერმა იცოდა, რას ლაპარაკობდა.

მე-20 საუკუნის ორმა დიდმა რევოლუციონერმა დიდი ხნის წინ განუტევა სული. არც ერთს „ამაგი" არ დაუფასეს. გამართლდა სტალინის სიტყვები: „რევოლუციამ არ იცის, როგორ დაიტიროს და დამარხოს თავისი მიცვალებულები".

## „საქართველო აღმავალ პოლიტიკას აღგას, ამერიკაში საქართველოს გვერდით ყოველთვის შევარდნაძესახსენებენ და ეს ბევრს ნიშნავს"...

სულ რაღაც რვა წელი გვაშორებს იმ დროს, როცა საქართველოდან წარგზავნილი ათი ნორჩი დესპანი, თბილისის სხვადასხვა სკოლის ათი მეათეკლასელი ერთწლიანი სასწავლო პროგრამით პირველად ესტუმრა ოკეანის გაღმა ქვეყანას.

გულთბილად მიიღეს ისინი უცხო მხარეში. მშობლიური სითბო და სიყვარული უწილადეს ჩვენს შვილებს ამერიკულმა ოჯახებმა. ერთი წელი სწავლობდნენ სხვადასხვა შტატის ამერიკულ სკოლებში ჩვენი წარგზავნილები.

ფეხბედნიერი გამოდგა პირველი ნაბიჯები. ყინული თითქოს ერთბაშად გალღვა და დაიძრა. იქ, შორეულ ქვეყანაში, ბევრისთვის საქართველო ხელახლა დაიბადა.

მაშინ ამერიკული და ქართული პრესა ჩვენი მოსწავლეების წარმატებებსა და მათი მასპინძლების არაჩვეულებრივ სტუმართმოყვარეობაზე მოგვითხრობდნენ.

დღითი დღე ღრმავდებოდა ქართულ-ამერიკული კონტაქტები. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამ და მისი ლიდერის უდიდესმა ავტორიტეტმა საერთაშორისო არენაზე კიდევ უფრო დააკავშირა და დაამეგობრა დიდი და პატარა ქვეყანა.

ურთიერთობები თანდათან უფრო ხელსაყრელი გახდა ორივე მხარისათვის. ამის არა ერთი და ორი მაგალითი თვალნათლივ დავინახეთ. დღეს არამარტო ჩვენ გვიზიდავს მრავალფეროვანი ამერიკული სამყარო, არამედ ოკეანის გაღმიდანაც სიამოვნებით მოეშურებიან ჯერაც ახალფეხადგმული საქართველოსაკენ.

მიზანი ნათელი და მისაღებია როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის. ვერც ერთი მათგანი გულგრილი ვერ რჩება ჭეშმარიტი, ადამიანური „ცდუნებების" მიმართ.

და რა გასაკვირველია, თუკი თორმეტი წლის მოზარდიც მოექცევა ამ „ცდუნებების" ტყვეობაში, როცა პირველად „პიონერ-ფილმთან" ერთად ესტუმრება ამ ზღაპრულ ქვეყანას. მოგვიანებით აისრულებს კიდეც საწადელს, თუმცა ამაზე შემდგომ...

ახლა კი მცირე დოსიე მისი ბიოგრაფიიდან.

სოფო ჯულელი.

დაიბადა 1977 წელს. რვა კლასამდე თბილისის 54-ე სკოლაში სწავლობდა. შემდეგ 53-ე სკოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას ფიქრობს ახალგაზრდა დიპლომატი?!



განაგრძო სწავლა. ამერიკაში ჩასვლისას ჩააბარა გამოცდები და მეთერთმეტე კლასის ნაცვლად მეთორმეტეში დასვეს.

დედა – ელენე ჩიქოვანი ქიმიკოსია. მამა – ემირ ჯულელი ფიზიკოსი და ეკონომისტია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი. უფროსი ძმა – ლევანი ქირურგია, უმცროსი ირაკლი კი თსუ იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

სოფოს ბავშვობის ოცნება კინო და თეატრი იყო. ეს სიყვარული დღესაც არ განელებია. არც სპორტის მიმართ იყო გულგრილი, განსაკუთრებით მძლეოსნობა იტაცებდა. ისწავლა ინგლისური და ესპანური ენები.

მეათეკლასელის ყურადღება ერთი გავლენიანი ამერიკელი იურისტის ნაშრომებმა მიიპყრო. გატაცებით შეუდგა მის თარგმნას, რამაც განსაზღვრა ფაქტიურად მისი შემდგომი გზა.

მერილენდის შტატში ბუკინგემების ოჯახმა სოფო ჯულელი სასწავლებლად მიიწვია. იგი ამავე შტატის ქალთა კერძო სკოლაში „ჰოლტონ არმსში“, სადაც სწავლის ქირა ათასობით დოლარით განისაზღვრება, უფასოდ მიიღეს. ერთი წლის შემდეგ სკოლა „მაღალი პატივით“ დაამთავრა.

სოფოს მიღწეული არ აკმაყოფილებს, და იმავე წელს სწავლის გასაგრძელებლად სტანდარტიზებულ ტესტებს აბარებს და ათი პრესტიჟული უნივერსიტეტიდან დადებით პასუხს ერთდროულად ღებულობს.

არჩევანს ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ედმუნდ ვოლშის სახელობის დიპლომატიურ ფაკულტეტზე შეაჩერებს.

წარმატებები იმდენად ხელშესახებია, რომ ორი წლის შემდეგ უცხოელ სტუდენტს გამონაკლისის სახით ერთწლიანი გაცვლითი პროგრამით ესპანეთში მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტში აგზავნიან. მომდევნო წელს კვლავ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი და სოფო ჯულელი დიპლომატიურ ფაკულტეტს (კანონმდებლობა და ორგანიზაციის სპეციალობით) ამთავრებს ბაკალავრის წოდებით.

კითხვაზე, რა იყო სოფოსთვის სამშობლოდან მოშორებით, შორეულ ამერიკაში გატარებული ხუთი წელი, დაუფიქრებლად გვიპასუხებს:

– უპირველესად დამოუკიდებელი ჩვევების შეძენისა და შრომისმოყვარეობის გამომუშავების უდიდესი გაკვეთილი. არჩეული სპეციალობის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლების დიდი სკოლა, და რაც უმთავრესია, საქართველოზე, ჩემს ოჯახსა და მეგობრებზე ფიქრში გატარებული ყოველი დღე.

სოფოს, როგორც იტყვიან, უქმად ერთი დღეც არ დაუკარგავს, მიუხედავად იმისა, მის ოჯახს ეკონომიურად არ უჭირს, ამდენი ხნით მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი არც კი ცდილა, ცოტა ხნით მაინც დაესვენა.

ჩამოსვლისთანავე თავის მონაცემებს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში აგზავნის. პირველი ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტი გამოეხმაურება.

ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, რას წარმოადგენს თვით ეს ინსტიტუტი და რა ფუნქცია აკისრია მას.

ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტი არის არაპარტიული, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება დემოკრატიის განვითარებას, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების სწავლებას, არჩევნების სწორ ორგანიზებას და ა.შ. იგი დისკრიმინაციას არ უწევს არც ერთ პარტიას, პირიქით ეხმარება მათ ერთიანი ნების გამოხატვაში.

მისი შტაბ-ბინა ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონში მდებარეობს. მსგავსი ფილიალები კი გაბნეულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ერთიან მიზანს ემსახურებიან. საქართველოს ფილიალს ამერიკელი მარკ მალენი ხელმძღვანელობს.

ზაფხულის ორი თვე იმუშავა სოფომ ამ ინსტიტუტში კონსულტანტის ასისტენტად.

რამდენად სერიოზული და შრომატევადი იყო მისი სამსახური, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ერთი თვის განმავლობაში ძლივს შევძელით სოფოს „გამოჭერა“. ლაგოდეხის არჩევნების შემდეგ, სადაც ის დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა, ერევანში მოუწია გამგზავრება. ამას „მეტეხის“ საქმიანი შეხვედრებიც მოჰყვა.

ჩვენი საუბრიდან კიდევ ორი დღეც და სოფო ჯულელი ისევ ამერიკას, ამჟამად ნიუ-იორკში გაემგზავრა, სადაც ის კონფლიქტოლოგიის ერთთვიან პროგრამას გაივლის.

მსგავსი საკითხებით დაინტერესება მან ჯერ კიდევ სტუდენტობისას ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში გამოამჟღავნა, სადაც არაერთი ნაშრომი წარადგინა კავკასიაში კონფლიქტების შესახებ.

სოფო თვლის, რომ მისი ერთთვიანი „ვიზიტი“ ნიუ-იორკში, სულ ცოტა, ერთი წლით მაინც გაგრძელდება, რადგან სამსახურის დაწყების გარანტია უკვე მიღებული აქვს. იქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას უთუოდ საქართველოში განაზოგადებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი სამშობლო აღმავალ პოლიტიკას ადგას. ამერიკაში საქართველოს გვერდით ყოველთვის შევარდნაძეს ახსენებენ და ეს ბევრს ნიშნავს.

საუბრის ბოლოს „ამერიკული მიზიდულობის“ ერთი საიდუმლოც გამანდო, თუმცა, როგორც თვითონ მითხრა, ეს მომავლის საქმეა...

ერთი რამ კი ცხადია, სადაც უნდა იყოს და ილვწოდეს სოფო ჯულელი, მას მთავარი სიმი საქართველოსთან აკავშირებს და დარწმუნებული ვარ, ეს სიმი ყოველთვის თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის ათრთოლდება.

ნუნუ მაღრაძე

**P.S.** კონფლიქტოლოგიის ერთთვი-ანი პროგრამის გავლის შემდეგ იგი ბრუნდება ვაშინგტონში და მუშაობას იწყებს მსოფლიო ბანკში.

## ელგუჯა ლებანიძე

მძღოლმა დაპირება პირნათლად შეასრულა – საათნახევარში უკვე გუჯაურში იყო. დიდუბის მეტროსთან სამარშრუტო ტაქსის ლოდინში ოთარმა ამდენივე დრო დაჰყო. გვარში უხნესი ქალბატონისათვის უკანასკნელი პატივის მისაგებად. ნათესავთაგან სხვა არავინ მოსულა. ოთარმა მიზეზი კარგად იცოდა – გაჭირვებამ ყველას ოჯახში შეიხედა. დაკრძალვაზე წასასვლელი კი არა, ბევრს პურის ფულიც არა ჰქონდა. საფულედან თვითონაც უკანასკნელი გროშები ამოფხიკა იმ იმედით, რომ ხვალ-ზეგ ხელფასს ავიღებ, მანამდე კი თავს როგორმე გავიტანთო.

საათნახევარი, რაც ტაქსს გზაში დასჭირდა, ფიქრისთვის დიდი დროა. თვალწინ დაუდგა ის ბედნიერი ხანა, როცა მამიდას საკუთარი მანქანით მიადგებოდა ხოლმე. ბოლოს გუჯაურში ბიძაშვილის შვილის დაკრძალვაზე იყო. სამხედრო სამსახურს შუა აზიაში იხდიდა და უთაური მეთაურის უაზრო ბრძანებას შეეწირა: ჩაბნელებული საწყობიდან რალაც რეაქტივები უნდა გამოეტანათ. ხუთნი იყვნენ. ერთ-ერთმა ასანთი გაჰკრა. იფეთქა ალმა. ოთხმა მძიმე დამწვრობა მიიღო, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. რეზოს დაგორებული უზარმაზარი კასრი დაეჯახა, წააქცია და ქვეშ მოიყოლა... სასაფლაოზე, სამარეში ჩასვენების წინ, უბედურმა მამამ აიჩემა, კუბო გახსენით, უნდა დავრწმუნდე, მართლა ჩემი შვილია თუ არაო. ცოცხალივით იწვა. გეგონებოდათ, სადაც არის, თვალს გაახელს და წამოდგებაო. მარჯვენა ფეხი სამ ადგილზე ჰქონდა გადამტვრეული. იულონი ზლუქუნით დაემხო შვილის მკერდზე, ხელებსა და სახეს უკოცნიდა.

– რა უაზროდ და უბრალოდ შეიწირეს ეს მთასავით ახალგაზრდა, – ოთარის გვერდით ჩაილაპარაკა ვილაცამ.

– ნეტავი, დამნაშავეს თუ დასჯიან?

– ეეჰ, ამას კი აღარაფერი ეშველება და!

მას შემდეგ ხუთი თუ ექვსი წელი გავიდა. ბოლო ერთ წელში ოთარს დედაც მოუკვდა და მამაც. გუჯაურიდან დაკრძალვაზე არავინ ჩამოსულა, – ყველაზე დიდი არეულობის, ბანდიტურ ფორმირებათა თარეშის წლები იყო და აბა, ვის დაემდურებოდა. სხვა დროს გუჯაურელ ნათესავებს მათი ოჯახის არც ჭირი გამოუტოვებიათ და არც ლხინი. ახლა კი საერთო სიდუხჭირე მათ კარსაც მისდგომოდა.

გუჯაურის რკინიგზის ვაგზალს როგორც კი გასცდნენ, მძღოლს ტაქსი გააჩერებინა, ფული გადაიხადა. ხიდზე გადავიდა და ნაცნობ ქუჩაზე შეუხვია. ხაჩიბერიძეები თხუთმეტ ნომერში ცხოვრობდნენ, მაგრამ არც ჭიშკარი დახვდა ღია და არც გასვენებაში მოსული ხალხი. მეზობელი ეზოს გამოსასვლელში ქალები ბუმბულს პუტავდნენ და ოთარს ქურდულად ათვალიერებდნენ.

– გამარჯობათ. ხომ ვერ მეტყვით, მიცვალებული საიდან უნდა გაასვენონ?

– ქალიშვილის სახლიდან, – მიუგო ერთ-ერთმა და ხელის ზურგით ცრემლი მოიწმინდა – უკან უნდა გაბრუნდეთ. რკინიგზის ვაგზალთან მაღლივი კორპუსია. ადვილად მიაგნებთ...

ელენე მამიდა და ოთარის მამა ძმათა შვილები იყვნენ. ელენემ და სოფრომ ხაჩიბერიძემ ორი ქალიშვილი გაზარდეს. მათთან ცხოვრობდა ელენეს გაუთხოვარი და დარო. არა, მთლად მართალი არა ვარ – დარომ და სერგომ ომამდე შექმნეს ოჯახი. დრო მიდიოდა, ბავშვი კი, არა და არ უჩნდებოდათ. დარო სულ დაჭიანდა და ქმრის ნათესავები ყველაფერში იმას ადანაშაულებდნენ. ბოლოს, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ექიმთან წაიყვანეს. იმან ავადმყოფი გულისხმიერად გასინჯა და ყველასთვის მოულოდნელად განაცხადა:

– სასწრაფოდ უნდა გაათხოვოთ!

დაროს თანმხლებნი გაოცდნენ.

– კი მაგრამ, გათხოვილია!

– გათხოვილია? რამდენი ხნის გათხოვილია? – სახტად დარჩა ექიმიც.

– ორი წლის...

ექიმი ჩაფიქრდა. მერე უხერხულად გადახედა პაციენტსაც და მხლებლებსაც.

– ჰოდა, აი, რას გეტყვით, ჩემო კარგებო. ავადმყოფობა იმით არის გამოწვეული... იმით არის გამოწვეული, რომ... – ექიმი სიტყვას ლეჭავდა, შესაფერის ტერმინს ეძებდა. ქმარი არასრულფასოვანი მამაკაცი ყოფილა. ქალთან ცხოვრება არ შეუძლია...

დარო გულსაკლავად ტიროდა და სირცხვილით იწვოდა. რასაც ორი წლის მანძილზე გულმოდგინედ მალავდა, უცბად გამოუაშკარავეს. განა თვითონ არ ეწამა? ისიც ხომ ჩვეულებრივი ქალი იყო, უნიათო ქმარი კი ამაოდ ცდილობდა თავისი მოვალეობის აღსრულებას. დარომ ენას კბილი დააჭირა – ქვეყანა რომ შევყარო, თავი მოგვეჭრება და ოჯახი შეგვირცხვებაო.

და ქალი უდრტვინველად იტანდა ბედის დაცინვას. გათხოვილი ერქვა, ჯან-ღონით სავსე მამაკაცის გვერდით იწვა, ცოლ-ქმრული საიდუმლოების მადლს კი ვერა და ვერ აღირსა. ცალკე სიმორცხვემ, ცალკე ოჯახის სახელის შებღალვის შიშმა, ენა მუცელში ჩააგდებინა.

ექიმის ნათქვამმა ყველას რეტი დაასხა და თვალი აუხილა.

– ან ქმარმა უნდა იმკურნალოს, ან უნდა დასცილდნენ. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, – დაასკვნა ექიმმა. – ასე თუ არ მოიქცევით, შეიძლება ყველაფერი ცუდად დამთავრდეს. დაილუპება, – თქვა და თვალით დაროზე ანიშნა.

სერგომ მკურნალობაზე ცივი უარი განაცხადა, ხოლო დაროს განქორწინების გაგონებაც არ სურდა.

ოჯახმა დარდი და ვარამი გულში ჩაიმარხა.

– არა უშავს, ფეხით ავალ.

წინკარში პატარა გოგონა დაცუნცულებდა. რალაც წამოიძახა და ოთარს შემოხედა.

კედელთან ჩარიგებულ სკამებზე ჭირისუფლები ისხდნენ. ოთარმა მხოლოდ ელენეს ორი ქალიშვილი ამოიცნო. იმათ, როგორც კი ოთარს თვალი მოჰკრეს, ცრემლები აალვარლვარეს.

– შენც შეგაწუხა, არა, დედაჩვენმა...

კიდევ რალაცის თქმა უნდოდათ. ოთარმა ორივე გადაკოცნა, მიუსამძიმრა. თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა.

– დიდხანს იავადმყოფა?

– ბოლო ერთი თვე შეუძლოდ იყო, წნევამ დაარტყა. სამჯერ გაუმეორა...

– ბესო სად არის? – უფროსს არ იცნობდა და უმცროსი სიძე მოიკითხა.

– აქ არის. მგონი ტანსაცმელს იცვლის.

– გავალ, ვნახავ.

ბესო და ოთარი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– დივანზე ჩამოჯექი. პატარა საქმეები მაქვს მოსაგვარებელი და მალე მოვალ, – უთხრა ბესომ.

– მიდი, მიდი, ნუ მომერიდები.

და ბესო წავიდა.

ათ წუთს იჯდა ოთარი, თხუთმეტ წუთს იჯდა. მერე ადგა და გარეთ გამოვიდა. ფანჯარა ერთსართულიან ქოხმახებს გადაჰყურებდა. ქოხებს გადაღმა, გზაზე, იშვიათად თუ ჩაივლიდა მანქანა და ადგილ-ადგილ აყრილ ასფალტს ამტვერებდა. იქვე, ფანჯარასთან, ორი მისი ხნის მამაკაცი მასლაათობდა. ოთარმა სიგარეტს მოუკიდა და საუბარს მიაყურა. რაჭულად უქცევდნენ.

– ჩემები ვერ ჩამეჯიდნენ, ეეჰ, რა ვუთხრა ამ ცხოვრებას, – ჩიოდა ერთი.

– აჰა! მეც ძლივეს გამევაღნიე. ორი თვეა, პენცია არ ამილია, – არ ჩამორჩა მეორე.

– პენცია, თვარა, იმდენს ეილებ, ვერც კი დახარჯავ... გუშლამ თბილისიდან შემომითვალეს, სამეგრელოდან შენი დის შვილიშვილი ჩამეიყვანესო. საავანტყოფოში დოუწვენიათ.

## ჯაშუშ

ამასობაში ომი დაიწყო.

სერგო ფრონტზე წავიდა და აღარ დაბრუნებულა. არავინ იცის, სიკვდილმა სად უწია ცოლთან და ნათესაობასთან უნებურად თავმოჭრილ კაცს.

დარო სიცოცხლის ბოლომდე სერგოს ქვრივად დარჩა. უამრავი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა. მთელი ყურადღება დისშვილების აღზრდაზე გადაიტანა. თავისი უიღბლო ქორწინების საიდუმლოებაც სამარეში ჩაიტანა... ახირება იყო? ღმერთმა იცის!

ოთარმა მაღლივ კორპუსს ადვილად მიაგნო. სადარბაზოს შესასვლელში მამაკაცები ტრიალებდნენ. შინაურები ჩანდნენ. ოთარი არც ერთ მათგანს არ იცნობდა. იმათ ისეთი თვალით შემოხედეს, პროვინციელებმა რომ იციან. აქაოდა, მივხვდით, აქაური რომ არა ხარო. წელში გაიმართნენ და მოლოდინით მიაჩერდნენ.

– მიცვალებული ჩემი მამიდა იყო...

– გასაგებია, – რიგრიგობით ხელი გაუწოდეს. – მეშვიდე სართულზე მიბრძანდით. თუ მოიცდით, ლიფტით ახვალთ.

– რა სჭირსო, კაცო!

– რა სჭირს და, ბოთლით რაცხა უპოვია მინდორში. ცეცხლი მოუკიდებია. ქვე არ აფეთქებულა! სახე აქვსო დამწვარი.

– რას მეუბნები, კაცო!

– აჰა. დევილუპეთ, თვალს ვერ ახელსო. ექიმებს ეშინიათ, შუშის ნამსხვრევებმა ბროლი არ გოუფუჭონო. მე კი აგერ ვარ, ა! ვერ მივდივარ!

– სად უპოვია, ბოშო, ი ბოთლი?

– მინდორში. ისეთი წამალი ყოფილა შიგ, „გრადია“ თუ რაცხა, იმაში იყენებდნენ თურმე.

– რას მეუბნები, კაცო! – უკვე მერამდენედ შეიცხადა მეორემ.

– ეგ რა არის, – აგრძელებდა პირველი. – ამას წინათ მაგათი მეზობლის ბიჭუნას რაცხა ყუთი უპოვია. სახლში წამოულია და ჩხიკინი დოუწყია. აფეთქებულა...

– მერე?

– იმ ბიჭუნასი ველარაფერი იპოვეს თურმე.

– აუჰ!

– აჰა, თურმე ხან აქ იპოვიან რაცხას, ხან



მოთხრობა

# ძეჭი

იქ.

– რავა, მთავრობამ ვერ მეიცალა, რომ ნაომარი ადგილები გაწმინდოს?

– მთავრობამ... – სათქმელი აღარ დაამთავრა და ხელი ჩაიქნია პირველმა. ეტყობა, ბევრი არაფერი სჯეროდა მთავრობისა.

ამასობაში ბესომ ხუთჯერ თუ ექვსჯერ აუარ-ჩაუარა ოთარს. „ვინმეს მაინც გამაცნობდეს“, – ფიქრობდა იგი. ბესო ერთი ადრაგუნე ვინმე იყო, გულჩახვეული, უთქმელი, უხიაგი. აქამდეც უნდა მოეფიქრებინა და სტუმარი ვინმესთვის „ჩაებარებინა“, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ! ისე იქცეოდა, თითქოს აქ არაფერ შუაშიაო და მასპინძლობა სხვას ევალებოდა.

„იულონი მაინც სად არის, რატომ არ ჩანს?“ – უკვირდა ოთარს.

გასვენების დრომ რომ მოაწია, ოთარი ეზოში ჩავიდა. იქ უკვე უამრავი ხალხი მოგროვილიყო. ამაოდ ეძებდა ნაცნობ სახეებს, თავი უკაცრიელ კუნძულზე გარჩენილი ეგონა.

ისევ ბესო გააჩერა.

– იულონი რატომ არ ჩანს, სად არის? – ჰკითხა.

ბესომ გაოცებით შემოხედა.

– რომელი იულონი?

– როგორ თუ რომელი... ჩვენი...

– იულონი, იულონი... აღარ არის. შარშან, დეკემბერში დავმარხეთ...

ოთარს მეხი რომ დასცემოდა, ის უფრო არ გაუკვირდებოდა. ყურებს არ დაუჯერა.

– რას ამბობ, კაცო! – იმ უცნობი რაჭველივით წამოიძახა. – რატომ არ შემატყობინეთ?

– რა ვიცი, აბა, მხრები აიჩეჩა ბესომ. ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა და ოთარი მიატოვა.

„შვილის დარდმა თავისი გააკეთა. საცოდავი ბიჭი...“

იულონი გარეგნულად თითქოს არაფერს იმჩნევდა. როცა დათვრებოდა, მაშინ ამოუჯდებოდა ხოლმე გული, თავს ველარ ერეოდა. საცოდავი სანახავი იყო. ბოლო წლებში ხშირად სვამდა და ციროზით გარდაცვლილა.

ორმა მამაკაცმა ოთახიდან მომცრო მაგიდა გამოიტანა. გამოსაჩენ ადგილზე დადგეს. სკამები მიუდგეს და რვეული გაშალეს.

ოთარი მათთან მივიდა. მაგიდაზე ფული დადო.

– გვარი, სახელი? – ჰკითხეს.

უთხრა.

– მეტიც მეკუთვნის, მაგრამ... – ყელში რაღაც გაეჩხირა.

– მაგაზე ნუ იდარდებთ. განა არ ვიცით. ჩვენც ხო ამ დაქცეული ქვეყნის შვილები ვართ...

მიცვალებული გამოასვენეს. ოთარიც აედევნა პროცესიას. იქვე, მის გვერდით მიაბიჯებდა ბესო, მაგრამ ის თავის საფიქრალს წაელო და ოთარისკენ არც მოუხედავს. ბევრმა მიაქცია ყურადღება განცალკევებით მიმავალს. „ნაღდად შემთხვევით მოხვედრილი ვგონივართ“, – გაიფიქრა და სიმწრით ტუჩი მოიკვნიტა.

სანამ სასაფლაოზე ჭირისუფლები მიცვალებულს ემშვიდობებოდნენ, ოთარი განზე იდგა. სასახლეს საფარებელი დაახურეს და სამარეში ჩაასვენეს. კაცებმა მუჭით მიწა მიაყარეს. ოთარი სამარესთან მივიდა, ნიჩაბი აიღო. „მშვიდობით, მამიდა, მსუბუქი იყოს შენთვის ეს მიწა“, – ჩაიდუდუნა და მიწის მიყრას შეუდგა. მერე ნიჩაბს ხელი უშვა და ხელები დაიფერთხა.

– წავედით! – უცბად დაიძახა და ხელი ისე აიქნია ბესომ, თითქოს ცხვრის ფარას უხმობსო. მერე მიტრიალდა და ისე, რომ არავისთვის დაუცდია, თავქვე დაეშვა.

ოთარი გამშრალი იდგა. მერე ისიც მიტრიალდა და გზას დაადგა.

სასაფლაოსთან, მაგისტრალზე, ავტობუსი არ ჩანდა. მხოლოდ მსუბუქი მანქანები ელოდნენ თავიანთ მგზავრებს. ბესოც იქვე ტრიალებდა. ოთარმა დინჯად გადაჭრა ქუჩა, მაგრამ ბესოს არც ახლა ეცალა მისთვის. „ვის მივადგე ახლა, არ იტყვიან, გასაძღომად არისო მოსული, ჭამპურააო“, – გაიფიქრა. ერთხანს ადგილი ტკეპნა, მერე ნელი ნაბიჯით გაჰყვა ტროტუარს. ხიდთან იყო მისული, მანქანებმა რომ ჩაუქროლეს.

ბევრი აღარ უფიქრია. ხიდი გადაიარა. ავტოსადგურიც იქვე იყო. „მირიანს მაინც ჩავუსწრებ“, – გაიფიქრა შვილზე, რომელიც იმ საღამოს ერთთვიანი სამხედრო სამსახურის მოსახდელად ქუთაისში მიდიოდა.

ავტობუსი მალე დაიძრა. ახლაღა იგრძნო დაღლილობაც და შიმშილიც. თავი საზურგეს მიადო და თვალები დახუჭა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# 60 წლის ჭაბუკი



ჟურნალ „დროშის" მთავარი რედაქტორის კაბინეტში კონსტანტინე გამსახურდია შევიდა. რედაქტორი – ჩვენი სახელოვანი მწერალი, ბელეტრისტი და კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი თავის რედაქტორულ საქმიანობაში იყო გართული, მაჯისსიმსხო წითელი ავტოკალმით სტამბაში გასაგზავნ ტექსტს ამზადებდა და არც კი გაუგია, სტუმარი თავზე როდის წამოადგა...

– გამარჯობა გიორგის! – სიყვარულით შეუძახა კონსტანტინემ თავის უმცროს მეგობარს და მაშინვე რედაქტორის მაგიდაზე უწესრიგოდ გაშლილ თაბახის ფურცლებს დააკვირდა. – ვის უჯღანავ, კაცო, სახეს? ვისია?

გიორგიმ სწორედ ამ დროს დაადო კალამი პირველი სტრიქონის მარცხენა კიდეს და მთელი ფურცელი წინასწარ მოფიქრებულად და რაღაც უცნაური სიამოვნებით გადახაზა.

– რას შვრები, შე წყეულო? – ისევ შესძახა კონსტანტინემ, როცა მოსულმა და დამხდურმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ერთმანეთი სიყვარულით მოიკითხეს – ღმერთი არა გწამს, კაცო? ვისია? მოუკვდა პატრონი?

– ჩემია, ბატონო კონსტანტინე, – დარცხვენილი ღიმილით, თითქოს უპატიებელ დანაშაულზე წაასწრესო, მიუგო გიორგი ნატროშვილმა და თავი ჩაქინდრა.

– მერე არ გებრალება, შე თათარო? აგრე რო ჩეხავ, გგონია, სისხლი არ გამოუვა?

– გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდეს, ბატონო კონსტანტინე.

– რასა წერ, ახალია რამე?

– ძველია, – გიორგი თავისებურად შეიჭმუხნა და დარცხვენილმა სტუმარს თვალი მოარიდა. – აი, აქ მეგდო, – მან სადღაც მაგიდის ქვეშ შეიხედა, მერე დედნებით სავსე უჯრას ჩაუკირკიმალდა, თუმცა ძებნით არაფერს ეძებდა, – მე ვთქვი, გავასწორებ, ხელში კი შემომადნა...

მწერალ-რედაქტორის ამ უკანასკნელ სიტყვაში იყო რაღაც სასაცილო, თანაც ძალიან ნაღვლიანი და გულისშემაღონებელი. ის ისევ ჯიუტად ჩაჰკირკიტებდა ხელნაწერს, რომელიც ჯერაც ვერ მორჯულებინა, თავის ჭკუაზე ვერ მოეყვანა და მოუსვენრობას ვერ მალავდა.

ეს იყო დაუცხრომელი შემოქმედის მოუსვენრობა, ძიების ტკბილი ტანჯვა – გიორგი ნატროშვილის მთელი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი. სტრიქონთან ჭიდილმა, საწერ მაგიდასთან თეთრად გათენებულმა ღამეებმა შეუმჩნევლად წაიღო წლები. გიორგი ნატროშვილი, ნიშნად მამობრივი სიყვარულისა, ჩვენი ბატონი კონსტანტინე ჯერ ისევ „ჭაბუკოს" რომ ეძახის, დღეს 60 წლისა გახლავთ. აბა, როგორ გინდა დაიჯერო ეს ყოვლად დაუჯერებელი ამბავი, როგორ გინდა თავში შეუშვა, მაგრამ რას იზამ, ეს მართლა ასეა და ჩვენც, გიორგის ყველა მეგობარი, მკითხველი და თაყვანისმცემელი, იძულებული ვხდებით, დაუჯერებელი დავიჯეროთ.

თანატოლებს და უფროსი თაობის მწერლებს, ვინც იმ დროს თბილისში იყო, გუშინდელ დღესავით ახსოვს გიორგის დაბრუნება ფრონტიდან. მოსკოვთან ბრძოლებში მძიმედ დაჭრილი მწერალი რვა თუ ცხრა თვეს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ჰოსპიტლებში იწვა და მშობლიურ კუთხესა და საყვარელ საქმეს 1943 წლის შემოდგომაზე დაუბრუნდა. დაბრუნდა გაცრეცილი, ფერმკრთალი და მწვავე ტკივილებისაგან შეუნუხებული. სიარული უჭირდა. ნაღმის კიდევ ერთი ნამსხვრევი ფეხიდან ქართველმა დასტაქრებმა ამოუღეს. ამ უკანასკნელი ოპერაციის დროს გიორგი ისევ ბრძოლის წინა ხაზზე იყო. მან საპასუხისმგებლო პოსტი დაიკავა ჯერ ჟურნალ „მნათობში", ხოლო შემდეგ „ლიტერატურულ საქართველოში", რომელსაც ოც წელზე მეტ ხანს შეუცვლელად რედაქტორობდა.

ამავე პერიოდს განეკუთვნება გიორგი ნატროშვილის პირველი მოთხრობების დაბადებაც. ომგადახდილი მწერლის გმირები ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდნენ და თავგანწირული შრომითა და ბრძოლით თავიანთი წვლილი შეჰქონდათ პირსისხლიან მტერზე გამარჯვების საქმეში.

ომის ქარცეცხლიდან პირდაპირ მწერლობაში მოსულ ჩემს თაობას გიორგი ნატროშვილი რედაქტორის მაგიდასთან მიჯაჭვული დაახსომდა. ბევრმა ახალბედა მწერალმა, მათ შორის მეც, მისი ძმური და უანგარო დახმარებით შევისხით ფრთები და ლიტერატურის სივრცეებს შევეჭიდეთ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის ქართულმა მწერლობამ გიორგი ნატროშვილის ხელში გამოიარა. ის იყო მისი პირველი წამკითხველი, პირველი შემფასებელი, პირველი ნათლია, პირველი რედაქტორი.

გიორგის ფაქიზი მეგობრობა აკავშირებდა ჩვენი დროის დიდ მესიტყვეებთან, პირად ცხოვრებაში საოცრად სათნო და უბრალო ადამიანებთან, გალაკტიონ ტაბიძესთან და იოსებ გრიშაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან და სიმონ ჩიქოვანთან, ლეო ქიაჩელთან და გერონტი ქიქოძესთან და აგრეთვე სხვებთან და სხვებთან, ვისაც მე-20 საუკუნის საქართველო მშობლიური მწერლობის ახალგაბრწყინებას და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას უნდა უმადლოდეს.

გიორგი ლეონიძემ ახალგაზრდა სეხ-

ნიას მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი და შეეცადა ამ ლექსში საწუკვარი სამშობლო და თბილისი ბრძოლის ველიდან გიორგი ნატროშვილის თვალით დაენახა.

სარედაქციო მუშაობა, მშობელი ხალხის ცხოვრების შუაგულში ტრიალი გიორგი ნატროშვილს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაებედა. ის დღესაც ჩვეული გატაცებით ეწევა მძიმე ჭაპანს ამჯერად ჟურნალ „დროშაში“, რომელიც სწორედ თავისი რედაქტორის თაოსნობითა და მეცადინეობით ქართველი მკითხველის ერთ-ერთი საყვარელი ჟურნალია.

გიორგი ნატროშვილი – მწერალი, კრიტიკოსი, ლიტერატურის მცოდნე, ტიპიური გამომხატველია იმ მოთხოვნისა, თუ როგორი უნდა იყოს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ინტელიგენტი. ეს გახლავთ ულრმესად განათლებული, ფართო ინტერესების მქონე მოღვაწე, რომლის მახვილ თვალსა და ყურს არ გამოეპარება თუნდაც სულ მცირე მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც ასე თუ ისე უკავშირდება და ეხმაურება ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს და დღევანდელ დღეს. კატორღული შრომის უნარი, ნებისყოფა და ფენომენალური მეხსიერება, რაც ზეგარდმო ნიჭს უხვად გაუსხივოსნებია, გიორგი ნატროშვილს იმის საშუალებას აძლევს, რომ ყოველთვის იდგეს იქ, სადაც საჭიროა და ღირსეულად განაგრძოს დიდი წინამორბედების მიერ დაწყებული მადლიანი საქმე, საქმე სამშობლოს უანგარო სამსახურისა.

გიორგი ნატროშვილი მოთხრობების რამდენიმე წიგნის ავტორია. მწერლის მოთხრობები, რა მასალაზეც უნდა იყოს ისინი აგებული, უპირველესად ყოვლისა, ხიბლავენ მოქმედ პირთა ხასიათების ღრმა ეროვნულობით, რელიეფური ხატვის მანერით, თხრობის გონებამახვილობით, მომაჯადოებელი იუმორის გრძნობით და ოპტიმისტური სულისკვეთებით.

ნატროშვილი სიცოცხლის, სიყვარულის, ვაჟკაცობის და რაინდული თავმდაბლობის მომღერალია. მისი სიტყვის პოეტურობა სიმართლეშია და არა თვითმიზნურ გარეგნულ ფერადოვნებაში. ავტორის ენა უკიდურესად ტევადი, გამჭვირვალე და, ასე ვთქვათ, საქმიანია.

გიორგი ნატროშვილის ბევრმა მოთხრობამ უკვე კარგა ხანია მოიპოვა აღიარება, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ შორის უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ გულში ჩამწვდომი, სევდიანი იუმორით განმსჭვალული მოთხრობა „უდარდელი კაცის სიკვდილი“ და კლასიკურად მკაცრად შეკრული „შიში“, ეპიკური „ისევ გაზაფხული იყო იორზე“ და ღიმილად დამდნარი „საჭიდაო“.

ბოლო დროს ნ. ბარათაშვილის საიუბილეო დღეებში, გ. ნატროშვილმა გაგვახარა თავისი ახალი ნაწარმოებით. ეს გახლავთ პიესა „ბარათაშვილის უკანასკნელი ღამე“, იგივე „მიწაში ჩამარხული სხივები“ – ავტორის პირველი და გაბედული ცდა დრამატურგიაში. პიესა დიდი წარმატებით დაიდგა და მკითხველისა და მაყურებლის წინაშე ღვთაებრივი ბარათაშვილის სულის ახალი, დღემდე უცნობი კუნჭულები გახსნა.

შორს წაგვიყვანს ღვაწლმოსილი მწერლის დაბადების 60 წლისთავზე მისი მეცნიერული ნამოღვაწარის აღნუსხვას რომ შევუდგეთ. აბა, ვის არ წაუკითხავს და გონებაში სამუდამოდ არ ჩაუბეჭდავს გ. ნატროშვილის ვრცელი გამოკვლევა ალექსანდრე ყაზბეგზე, დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე ნარკვევები დავით გურამიშვილსა და ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ეს უკანასკნელი ნაშრომი ევროპულ ენებზეც კი ითარგმნა და გამოიცა. გ. ნატროშვილის უტყუარი მეგზურობით რომელ მკითხველს და ლიტერატურის სპეციალისტს არ უვლია თანამედროვე ქართული პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის გზებზე! ვინ არ განუცვიფრებია ავტორის კეთილშობილი სულის სიმდიდრეს, ინტუიციას, უმთავრესის შემჩნევისა და წინწამოწევის უნარს. როგორ გვჭირდება დღეს ისეთები, როგორიც შენა ხარ, გიორგი ნატროშვილო, როგორ გვჭირდება და ისიც მაინცდამაინც დღეს, ერებისა და სახელმწიფოების დიდ კულტურულ პაექრობაზე!..

XXX

– გიორგიოს, – უთხრა დამხვდურს მოსულმა. – ახალი მოგიტანე.

– აბა, აბა... – გიორგი ნატროშვილი უცებ გამოცოცხლდა და კონსტანტინე გამსახურდიას მიერ გამოწვდილ თაბახის ფურცლებს, თითქოს ვინმე წართმევას უპირებსო, ორივე ხელით სწვდა. – სულ არის?

– ჯერ ეს იყოს. იმ კვირაში კიდევ მოგიტან. მხოლოდ ხომ იცი... – კონსტანტინემ ჯერ მაგიდაზე უწესრიგოდ გაშლილ ფურცლებს დახედა და მერე რედაქტორს ოქროსბეჭდიანი თითი დაუქნია.

– აჰ, არა, ბატონო კონსტანტინე, – გიორგიმ თავი გვერდზე გადახარა, თვალებში ეშმაკური ღიმილი გაუკრთა და დიდი მწერლის ახალი ნამუშევარი მოუთმენლად გადაფურცლა.

– როგორ გეკადრება!..

– ვიცი მე, რა თათარიც ხარ, – შენიშნა კონსტანტინემ. – ახლა წამო, ქვეყანას თვალი გადავავლოთ.

– რომელი საათია?

– წამო, ჭაბუკო. დრო ჩვენია. საათს რას კითხულობ!

და ისინი, მხცოვანი დიდი მწერალი და სამოცი წლის ჭაბუკი გიორგი ნატროშვილი, ერთად გამოვიდნენ „დროშის“ მთავარი რედაქტორის კაბინეტიდან.

1970 წ. 9.01.

## გიორგი ლეონიძე

# შინმოსულისა

*გიორგი ნატროშვილს*

ათჯერ ვემთხვიე შენს მიწას,
ასჯერ სიცოცხლე მანატრე,
თბილისო,
შენმა ლამპრებმა
როდესაც შემომანათეს!

თითქოს ლამპრები კი არა,
ენთო ვარდები ბრდღვიალა,
მე დავინახე მთაწმინდა
და გულმა შეიფრთხიალა.

მე დავინახე შენი ცა,
სინაზით გადამხუროდა,
მუჭით ავიღე მტკვრის წყალი,
ვეწაფე, როგორ მწყუროდა!

კვლავ მიბრუნდება სიცოცხლით
მე შენი სუნთქვა, თბილისო.
დამწვას, დამდაგოს შენმა მზემ,
ოცნება დამითილისმოს!

მე, მოვდიოდი შორიდან,
იერიშიდან მოველი,
შენ დაგიბრუნდი პირნათლად,
მე, შენი ძუძუს მწოველი.

ვით საჩუქარი შენდამი,
მომაქვს მე ჩემი ჭრილობა,
მეც შევაჩერე ამ წყლულით
მტრის დიდი შემოჯრილობა.

ბევრგან ვიბრძოდი და ყველგან
შენთვის ვიბრძოდი, თბილისო,
შენი ქედები მახსოვდა
და ფერი ყარამფილისო.

გესმოდა ჩემი ნასროლი,
შენი მზის სასახელოდა?!
მტრედო, შემიძეხ თბილისში,
აქ დედის ძუძუ მელოდა...

1944

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასურველი მახარობელი

როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, ისე კახეთის სოფლებიც განიცდიან უკუღმართი დროის მიერ მოტანილ ყველა სადღეისო ჭირ-ვარამს: უმუშევრობა, უგზოობა, ტრანსპორტის უხეირო მიმოსვლა, სოფლის მეურნეობის სისტემის მოუწესრიგებლობა, პენსია-ხელფასების თვეობით გაუცემლობა და სხვა მრავალი ნაკლი თუ სენი.

მაგრამ, ალბათ, ყველაზე მეტად ელექტროენერგიის უქონლობა სტანჯავს და აღიზიანებს ისედაც ფსიქიკამოშლილ მოსახლეობას. ეს განსაკუთრებით საგრძნობი და აუტანელი ხდება შეღამებისას, როცა უამრავი დიდი თუ პატარა სოფელი, უბანი, ქუჩა, ორღობე წკვარამ ღამეში იძირება, irgvliv გარემოს აყრუებს ასერიგად მომრავლებული ტურების გაბმული კივილი და მეოცე საუკუნის მიწურულის მკვიდრი ადამიანი მოულოდნელად შუასაუკუნეობრივი წყვდიადის ტყვედ იქცევა.

არ არის ელექტროენერგია — არ არის ტელევიზორი და, მაშასადამე, არც არავითარი ინფორმაციაა გარე სამყაროზე. ეს კი პირდაპირ თრგუნავს და აბეჩავებს ადამიანს.

ბევრ სოფელში არ არის ფოსტა, ტელეგრაფი. წარსულს ჩაბარდა ტრადიციული ფოსტალიონის ინსტიტუტი, რომელსაც წინასწარ გამოწერილი გაზეთები ყოველდღიურად ბინაზე მიჰქონდათ! სხვაგან არ ვიცი და კახეთის, ამ შემთხვევაში კი უფრო ზუსტად ქიზიყის სოფლის მაცხოვრებლებს ყველაზე მეტად აწუხებთ ყოველგვარი ინფორმაციის სიმცირე და უზუსტობა. და რაკი შუქი და ტელევიზორი არ არის, მათ ერთი რამღა რჩებათ საოცნებოდ: გაზეთებზე მაინც მიუწვდეთ როგორმე ხელი!

ეტყობა, ტყუილად არ უთქვამთ: სიკვდილს გარდა ამქვეყნად სხვა არაფერია უსაშველოო! საქართველოს პრესამ რესპუბლიკის რაიონებში შექმნა თავისი ფილიალები. ერთ-ერთი ასეთი ფილიალი დედოფლის წყაროშიც შეიქმნა (დირექტორი გია ზურაშვილი). ასე და ამრიგად, თვით გარემოებამ მოითხოვა, რომ ფოსტალიონის ანალოგიის (ოღონდ რთული და მძიმე ვარიანტით) მსგავსად ჩამოყალიბებულიყო ახალი თანამდებობა — ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელი.

სულაც არ მინდა ძველი ფოსტალიონის ღვაწლი და შრომის სიმძიმე დავამცირო, მაგრამ მათი მოვალეობა ნათელი და შედარებით სწორხაზოვანი იყო: ბინაზე უშეცდომოთ მიეტანათ წინდაწინვე გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები და სხვადასხვა სახით საფოსტო გზავნილებები, ხელფასი კი მოჭრილი იყო.

დღეს კი, ყველამ ვიცით, გაზეთს წინასწარ თითქმის აღარავინ იწერს და ამ საყოველთაო სულიერი ანარქიის პირობებში მოზღვავებული პრესის გასაღება მჭიდროდაა დაკავშირებული მისი გამავრცელებლის ერუდიციასთან, მონდომებასთან, ალღოსთან, წინდახედულობასთან, დაუღალაობასთან, ინიციატივასთან, რისკთან... თანაც, არ არის გამორიცხული, ეს ძვირფასი თვისებები სხვადასხვა მიზეზით უძლური გამოდგეს.

ერთი სიტყვით, ვინც ამ თანამდებობაზე დათანხმდება, ფაქტიურად სატანჯველში უნდა ჩაიგდოს თავი: მას განაწყვეტილი ხელფასი არა აქვს და გასაღებული ჟურნალ-გაზეთების თანხის მხოლოდ ათი პროცენტი ეძლევა. საყოველთაო უსახსრობის პირობებში კი პრესა ძალიან მძიმედ, უთანაბროდ, წყვეტილად და სეზონურად საღდება. აგრეთვე ხშირია ნისიები, რასაც ზოგჯერ დავიდარაბა ახლავს ხოლმე და ძნელდება მისი აკრეფა. ხოლო თუ ეს ვერ მოახერხე, მაშინ ყველაფერი შენს კისერზე წაიქცევა და ხელფასი მოგცენ კი არა, სხვა ფულსაც დაგადებინებენ!

ასევე ჭირს ტრანსპორტი და თავგადადებულმა გამავრცელებელმა დილიდან საღამომდე ასე გმირული თავგანწირვით უნდა იხეტიალოს სოფლიდან სოფელში, უბნიდან-უბანში. მკითხველებს მოთმინებით განუმარტოს ამა თუ იმ ბეჭდვითი ორგანოს სულისკვეთება, სოციალურ-პოლიტიკური მრწამსი. გამოიჩინოს რისკი და მოთმინებით შეავსოს სანისიო დავთარი... ერთი სიტყვით, ჭეშმარიტად მოწამეობრივი სულისკვეთების ადამიანი უნდა იყო, რომ ეს მართლაც საპატიო და ეროვნული, მაგრამ უძნელესი და არაქათის გამომცლელი ტვირთი შენი საკუთარი ნებასურვილით ივალდებულო.

ერთი ასეთი უანგარო გამავრცელე-

# ცრემლი ქაქუცას თვალებში

(ნამდვილი ამბავი)

ხვალ, დილაუთენია ჩემს სამშობლოში უნდა წავიდეო, იტყოდა ხოლმე დიდედაჩემი — ნინო ინაშვილი. უცხოეთიდან როდი ბრუნდებოდა საქართველოში. სოფელ ზემო მაჩხაანიდან, სადაც გაეთხოვებინათ და ახლა ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობდა, ძმის სანახავად მიდიოდა სოფელ ტიბაანში, სადაც დაბადებულიყო და ფეხი აედგა. სულ რაღაც ხუთი კილომეტრი უნდა გაევლო „სამშობლომდე". კახეთში და, ვგონებ, ქართლშიც სიტყვა „სამშობლო", უპირველეს ყოვლისა, მშობლიურ სოფელს გულისხმობს.

სწორედ ტიბაანის განაპირას მდებარე სახლში, რომელიც სანახევროდ ტყეში იყო შეჭრილი, ინაშვილებთან სტუმრად მისულ ქაქუცა ჩოლოყაშვილს მოულოდნელად შემოეყარა ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსი და ერთმანეთს შეხვდა ორი დიდებული ქართველი: ქართული პოეტური გენიის უზენაესი აელვარება და ოდინდელი ქართული რაინდული სულის უბადლო ხორცშესხმა.



ვაჟა-ფშაველა უკვე აღარ იყო ამქვეყნად, მაგრამ პოეტის სიტყვები აუჩქარებლივ გასდგომოდნენ უკვდავების გზას — მარადიულ მოძღვრად მკითხველ-მსმენელთათვის.

... ალექსანდრე სულხანიშვილის ვრცელ ნარკვევში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე" ვკითხულობთ, რომ 1922 წლის თებერვალში, სიღნაღის მაზრის ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივმა ხელისუფლებამ, თბილისის ბრძანებით, დაატუსაღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მაგრამ მისი მომავალი თანამებრძოლების ექვსკაციანი ჯგუფი თავს დაესხა სატუსაღოს, გამოიხსნა წინამძღოლი და თელავის მაზრისაკენ გასწიეს, ალვანის ტყეებში თავის შესაფარებლად.

სწორედ ამ „შეფიცულთა" პირველი ექვსეულის წევრი გახლდათ დიდედაჩემის დისწული — ვასო თამაზაშვილი, ბავშვობიდანვე უდედმამოდ დარჩენილი შვილივით რომ გაზარდა და, რასაკვირველია, შვილებზე არანაკლებ უყვარდა. ამიტომაც სიკვდილამდე, მთელი სამოცი წლის მანძილზე, მწარე მოგონებად და მოუნელებელ დარდად გაჰყვა მისი ტრაგიკული ხვედრი.

დავით ვაჩნაძის მოგონებაში, „ქართული სულის გამოძახილი" აღწერილია ქაქუცა ჩოლოყაშვილის სტუმრობა სოფელ ქვემო მაჩხაანში, ვასო თამაზაშვილის „პატარა კოხტა სახლში".

დავით ვაჩნაძის სიტყვით, „სტუმართმოყვარე", შეძლებულ თამაზაშვილის უხვად და ლამაზად მორთულ სუფრას, გარშემო უჯდა ოცამდე სტუმარი.თამადად ქ. ჩოლოყაშვილი დაინიშნა".



ბელთაგანია ქალბატონი რუსუდან გიორგის ასული გუგუნიშვილი. იგი სამ სოფელს – არბოშიკს, ოზაანსა და გამარჯვებას ემსახურება.

XXX

ალბათ, გადაჭარბებად არ ჩამითვლიან თუ ვიტყვი, რომ დღევანდელ ამ პირქუში და გაუხარელი სოფლური ყოფის პირობებში ყველაზე ნათელი და სასურველი პიროვნება სწორედ ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელი გახდა. ამას გრძნობენ როგორც სოფლელები, ისე, ცხადია, თვით რუსუდანიც. იგი ადამიანებთან ურთიერთობაში შესაშურ მოთმინებას, ალღოსა და ტაქტიანობას იჩენს. უშეცდომოთ გრძნობს ხოლმე, რომ ზოგიერთ მკითხველს ზოგჯერ უკანასკნელი ორმოცდაათთეთრიანიც არ აბადია თავისი ამოჩემებული გაზეთის შესაძენად. ამიტომ აქ რუსუდანი წინდახედულობას და ადამიანურობას ამჟღავნებს, რათა მკითხველი გულნაკლული არ დატოვოს ორღობეში. საუბნო გრძელ სკამზე მოკალათებული იმდენ ხანს იქექება სავსე ჩანთებში, ანდა იმდენ ხანს ემასლაათება დანარჩენებს, რომ თვალგაფაციცებულმა მავანმა უსახსრომ ზერელედ მაინც გადახედოს თავის საყვარელ გაზეთს. ან მთლად უკეთესი: ზოგჯერ შეუძლია უკან მობრუნებამდე დაუტოვოს გაზეთი და სულ წააკითხოს! რას იზამ. ჭირს ცხოვრება, არც უამისობაა!

საკმარისია, რაიმე მიზეზით რუსუდანს დაუგვიანდეს გამოჩენა, რომ ინფორმაციის ვაკუუმში მოქცეული სოფლელები მაშინვე ღელვა-შფოთვას ეძლევიან:

– რატო აქამდე არა ჩანს? ავად ხომ არ გახდა? ნეტავი, რა ხდება ქვეყნად?.. მაგან რომ თავი დაანებოს, ამ საქმის მთავებელი ვინღა გამოჩნდება?.. ო, აგერ, მოდის, მოდის! გვეშველა!

XXX

ქალბატონმა რუსუდანმა 1955 წელს დაამთავრა თელავის პედინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლაში ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. პარალელურად წარჩინებით დაამთავრა თბილისის პუშკინის ინსტიტუტის ასპირანტურა. სამწუხაროდ, აღარ დასცალდა თითქმის თავმობმული საკანდიდატო დისერტაციის დაცვა: ჯერ ერთი მეორის მიყოლებით გარდაიცვალნენ მისი საკანდიდატო ნაშრომის ხელმძღვანელები შოთა გაფრინდაშვილი და ვალერიან რამიშვილი, მერე კი ხელი შეუშალა ახლობლების ავადმყოფობამ, ნივთიერმა ხელმოკლეობამ და ისევ სოფელ გამარჯვების სკოლას დაუბრუნდა. მაგრამ თელავის პედინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს არ დავიწყნიათ ნათელი ჭკუის, ანალიტიკური გონებისა და ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ერთი შრომისმოყვარე ქიზიყელი ახალგაზრდა ქალი. მალე იგი თელავში მიიწვიეს და სამი წელი ინსტიტუტის მეხუთე კურსის ფილოლოგებს სალექციო კურს უკითხავდა, თან პედაგოგიურ პრაქტიკასაც ხელმძღვანელობდა. ავადმყოფობამ აიძულა ისევ ქიზიყის კლიმატს დაბრუნებოდა – იგი არხილოსკალოს საშუალო სკოლაში გადმოვიდა დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. 1968 წელს დედის სიკვდილმა რუსუდანი იძულებული გახადა ისევ გამარჯვების სკოლას დაბრუნებოდა და სამუდამოდ იქ დამკვიდრებულიყო. ამ ორიოდე წლის წინ პენსიაზეც სწორედ იქიდან გავიდა.

შეუძლებელია, ამ პატარა წერილში მიახლოებით მაინც გაიხსენო და ჩატიო ყველა ის ღვაწლი და ამაგი, რაც რუსუდან გუგუნიშვილმა მოახმარა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს: საპატიო ნიშნის ორდენი. მრავალი მედალი და საპატიო ქების სიგელი, მისი გვარი საქართველოს განათლების სამინისტროს ბრძანებულებათა ერთ-ერთ კრებულშიც არის შეტანილი...

XXX

აი, ასე: თითქმის ყოველდღე – სიცხესა თუ სიცივეში, ქარსა თუ ავდარში ამ სამ-სამ სოფლის ოღროჩოღრო გზებზე საკუთარი ღირსების შეგნებით დააბიჯებს გამოცდილი პედაგოგ-პენსიონერი და როგორც მთელმა სოფელმა, ისე თავადაც იცის, რომ თავისი სიყვარულითა და უანგარო სურვილებით ყველა ოჯახის სასურველი მახარობელია.

**ჯემალ მეხრიშვილი**
**დედოფლის წყარო.**
**სოფელი გამარჯვება.**

---

ცოტაოდენს მაინც დავიმოწმებ ქაქუცას მიერ წარმოთქმული პირველი სადღეგრძელოდან: „ძვირფასნო, ქიზიყელნო, თამაზაშვილთა სახლში მივესალმები თქვენს ქვეყანას და კეთილ ხალხს, ღმერთმა წილად დაგვადო კვლავ მტრისაგან წვალება, ტანჯვა და მასთან შებმა. ჩვენი ქრისტიანი ხალხის ეს ძველი წილხვედრია..."

როგორც ჩანს, ვასო თამაზაშვილს ქვემო მაჩხაანიდან ახლა ტიბაანში, თავის ბიძასთან, მიუყვანია ორი საპატიო სტუმარი: ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ევროპულად ჩაცმული მამაკაცი, ასაკით ქაქუცას ტოლი, რომლის ვინაობა უცნობი დარჩენილა მასპინძლისათვის (რატომღაც იფიქრეს, ბაგრატიონთა გვარისა არისო).

სახლს უკან ვეებერთელა აკაკის ხე აღმართულა და სტუმრები ნიშანში სროლით ირთობდნენ თავს. ამასობაში სუფრაც გაიშლება და მერე ხდება მოულოდნელი შეხვედრა ვაჟა-ფშაველასთან.

ოჯახის უფროსი შაქრო ინაშვილი ათიოდე წლის დისწულს – გიორგი ნატროშვილს, ბავშვობაში გოგიას რომ ეძახდნენ, ლექსის წაკითხვას სთხოვს და ისიც დაუზარებლად ასრულებს ბიძის წადილს. უცხო და უჩვეულო სტუმრების მოსვლით საკმაოდ დამორცხვებული ბალღი გაათამამა სუფრაზე ლექსის მიპატიჟებამ. მყისვე ნაცნობ სამყაროში ამოყო თავი და თითქოს გუმანით მიხვდაო, სახელდობრ რომელი ლექსი მოხვდებოდა გულზე ქაქუცა ჩოლოყაშვილს, სწორედ ის ლექსი თქვა.

აჩქარებით, სულმოუთქმელად ამბობდა უკვდავ სტრიქონებს: „იას, ბნელს ხევში მოსულსა, დიდი ჭადრები ჰფარავდა, ეწადა დიდხანს სიცოცხლე, წადილს აღარა ჰმალავდა: ინაბებოდა, ჰკრთებოდა, მზის სხივს ელოდა მაღლითა; შეჰფოფინებდა სამყაროს გაშტერებულის თვალითა. მზის სხივი აკლდა, ელოდა, მზე აღარ ამოდიოდა..."

ათიოდე წლის ყმაწვილმა ბოლომდე ჩაიკითხა ვაჟას შედევრი („უნუგეშო ყოფნა") და ყველამ შენიშნა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ცრემლი მოსდგომია თვალებში. „ეს ლექსი ხომ საქართველოზე უთქვამსო," – მოესმათ მისი ნაღვლიანი ხმა და მერე, კარგა ხანს, კრინტი აღარ დაუძრავს. ისეთი მძიმე სიჩუმე ჩამოვარდნილა, თითქოს მიცვალებული ახსენესო.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ვაჟა-ფშაველას მრავალხმიანი ლექსი გაშიფრა იმ ერთადერთი მეტაფორით, რომელიც ზუსტად შეესიტყვებოდა მის სულისკვეთებას. ეს ლექსი ხომ საქართველოზე უთქვამსო, მაშინვე აღმოხდა და, ვაჟასი არ იყოს, თხუთმეტი ათასი მჭევრმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, რწმენასა და აზრს ვერ გამოუცვლიდნენ...

**თამაზ ნატროშვილი**



## ელენე ახვლედიანი 100

# მხატვრები ჰქვიანან

თინათინ
კობალაძე

„... სამყაროში ყველაფერი ჰარმონიულია, პოეზიაა... ყველაფერი თრთის, ქვაც კი... და მე ყველაზე მეტად იმას ვისურვებდი, შემეგრძნო ეს ჰარმონია“, – თქვა ერთხელ ელენე ახვლედიანმა. გასაოცარი იყო ამ სიტყვების მისგან მოსმენა.

სხვა რა სახელი შეიძლება ენოდოს ყოველივეს, რაც მან შექმნა, თუ არ ჰარმონია, თუ არ პოეზია, თუ არ მუსიკა...

პოეზია, რომელსაც მუდამ უქრობლად გამოასხივებენ მისი სურათები... მუსიკა, რომელიც მუდამ ისმის მათში...

ჰარმონია, რომლისკენაც მუდამ მიისწრაფვის მისი სული, ჩვენ კი ისე ვიყავით მიჩვეულნი მის ყოფნას ჩვენს შორის, გვეგონა, მუდამ ასე უნდა ყოფილიყო.

თავისი მოუსვენარი ხასიათით ელენე ახვლედიანი მუდამ მოგვაგონებდა, რომ შემოქმედი არ შეიძლება დამშვიდდეს. მისი ტილოები მუდამ ახალი და მოულოდნელი სილამაზით იყო განათებული. ამ სურათებთან არ შეიძლება აუღელვებლად მიხვიდე, ნახო ისინი და არ შეიგრძნო ის მთავარი და ლამაზი, რომელიც ასე ძალიან და ასე უსაზღვროდ უყვარდა თვით მხატვარს. აქ საქართველოს ბუნება მღერის. იგი ზოგჯერ ზამთრის თეთრი სიჩუმიდან მოდის, ზოგჯერ გაზაფხულის ნაზ ფერადოვნებაში ფეთქავს, ხანაც ძველი თბილისის აივნებიანი სახლების მუქი ჩრდილების განწყობილება მოაქვს.



აქ არის საქართველოს ადრიანი გაზაფხულის მზიანი დღეებიც, დათოვლილი სოფლები და სახურავები, გზები, საქართველოს მთებში წასული ბილიკები, შემოდგომის ნაირფერი სალებავები... თელავის, თბილისის, იმერეთის, გურიის პეიზაჟები... არის ყოველივე ის, რაც ასე უსაზღვროდ და თავდადებით უყვარდა მხატვარს, – რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ეტრფოდა, – რის გამოხატვასაც ცდილობდა... არის ის ზღაპრული სილამაზე, რომელსაც მან თავისი ქვეყნის პეიზაჟი უწოდა.

იგი შემოქმედის ბუნებით ცხოვრობდა და არაფერში სხვას არ ჰგავდა... თავისებური და მშვენიერი იყო მისი პიროვნება, მისი სამყარო.

მან განიცადა ცხოვრება მთელი თავისი სილამაზით, სირთულით, ამაღლებული, განწმენდილი მისწრაფებებით, უსაზღვრო სიყვარულით მზისადმი, ყვავილებისადმი, მუსიკისადმი, დიდი მოაზროვნეებისადმი, რომელთაც გაანათეს მისი გზა, მეგობრებისადმი, რომელთაც იგი უყვარდათ. და მისი სული სავსე იყო მადლიერებით ყოველივე იმისადმი, რასაც სიკეთე, სილამაზე და პოეზია ჰქვია.

იტყვიან, 74 წელი იცხოვრა ელენე ახვლედიანმაო. მათ კი, ვინც მის ახლოს ყოფილა, ვინც იცნობდა მას, მუდამ მოუსვენარს, მუდამ გაზაფხულის ოცნებებით სავსეს, ვისაც შეუგრძვნია მისი სულის უშრეტი პოეტური სილამაზე, იცის, როგორი ახალგაზრდა იყო იგი. 74 წელი – იქნებ სხვაზე უნდა ითქვას ასე, მასზე კი არა.

გვახსენდება პოეზიით სავსე, დაუსრულებელი საღამოები, ხშირად მეგობარ, ხშირად დავიწყებულ მხატვართა გამოფენები მის სახელოსნოში. დაუსრულებელი ზრუნვა ადამიანებზე... და ყოველივე ამისათვის მუდამ მოცლილი და მონდომებული იყო ის, ვინც უმდიდრესი და უძვირფასესი მხატვრული მემკვიდრეობა დაუტოვა თავის სათაყვანებელ ხალხს. მან უზომოდ ბევრი იშრომა, უზომოდ ბევრი ღამე ათია თავისი დიდი და დაუოკებელი შთაგონებისათვის რომ შეესხა ფრთა. მისი შრომა ხელოვნებაში ნამდვილი ტიტანების შრომას უტოლდებოდა.

და აი, სიცოცხლე, რომელიც მას ასე უსაზღვროდ უყვარდა, წავიდა. მისი თვალები აღარ ხედავენ სამშობლოს პეიზაჟებს, მეგობართა სახეებს, ღვთაებრივ ზეცას და იმ მოუსვენარ, საყვარელ ცხოვრებას, რომელიც აქ დარჩა.

და ახლა მახსენდება, რომელიღაც წლის აპრილის ერთი მშვენიერი დღე... ელენე ახვლედიანი უწესრიგოდ აშლილი ჭაღარა თმებით, მარად განუშორებელი წითელი კაშნეთი, პალტოგახსნილი, მაგრამ აწეული საყელოთი... იდგა იგი რუსთაველის თეატრის მახლობლად, საოცრად მშვენიერი. განუმეორებლად მშვენიერი ფერი ჰქონდა ამ დროს მარტო ქუჩას კი არა, ჰაერსაც და განა მარტო ამ დღეს... ყოველთვის განსაკუთრებით ლამაზი და სრულყოფილი იყო თბილისის პეიზაჟი, როცა ელენე ახვლედიანი გვხვდებოდა ქუჩაში. იშვიათად გვინახავს ვინმე ასე კოლორიტულად რომ შერწყმოდეს თბილისის პეიზაჟს...

ასე გვგონია, რაღაც ამგვარი სურათისა თუ განწყობის მოგონებით უნდა დაიხატოს პორტრეტი, რომ ცოტათი მაინც მივუახლოვდეთ მის მშვენიერ და განუმეორებელ პოეტურ სულს. თბილისი მისი სიცოცხლის უძვირფასესი ნაწილი იყო... ჯერ კიდევ პარიზში მიიქცია ყურადღება მისი თბილისის ციკლის კოლორიტულმა სურათებმა. ეს იყო 1922 წელს.

ელენე ახვლედიანი ხუთი წლით გაგზავნეს იტალიასა და საფრანგეთში. სწავლობდა კოლაროსის აკადემიაში. ორი წლის შემდეგ მონაწილეობა მიიღო „დამოუკიდებელთა სალონში“ სურათების გამოფენაზე. მისი სურათები გამოფენილი იყო ოსლოში, ნიუ-იორკში. მაშინ იგი ოცდასამი წლისა იყო. პარიზის პრესაში ხშირად ახსენებდნენ მხატვარ ქალს, რომელმაც სამართლიანად მიიპყრო ხელოვნების მცოდნეთა ყურადღება.

„ჩვენი კრიტიკა, ჩვეულებრივ ცივად ხვდება უცხოელთა ხელოვნებას, მაგრამ ამჯერად აღფრთოვანებულია მადამ ახვლედიანის გამოფენით.

პოეზია ქალაქის მიდამოებისა სხვებსაც ბევრჯერ აუსახავთ, მაგრამ მადამ ახვლედიანის სურათებში ისეა ნაჩვენები ძველი ტფილისის სტილი და იერი, რომ უნებურად ჩერდები მათ წინაშე. მომხიბლავია ძველი თბილისი – ხის უსწორ-მასწორო, დაუსრულებელ კიბეებად რომ აწყობილა მაღალი გორაკების კალთებზე. აივნებზე ჭრელი ხალიჩები გადმოუფენიათ. მოჩანს ვიწრო ფანჯრები, ყველაფერს მუქი სინათლე ადგას. ელენე ახვლედიანი განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ იგი ძალზე ეროვნული მხატვარია“, – წერს ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი მორის რენალი – ავტორი წიგნისა – „ლადო გუდიაშვილი“.

ბუნების დიდი ძალა, ბუნებისა და ადამიანის განუყრელობა, აი, რას ვგრძნობთ, როდესაც ელენე ახვლედიანის სურათებს ვუყურებთ. საოცრად არის შერწყმული მთელ მის შემოქმედებაში ადამიანი და ბუნება, ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან.

ერთი შეხედვით ამ სურათებში ადამიანები თითქმის არ ჩანან, ან თუ ჩანან, წერტილებივით, მაგრამ ხდება საოცარი გარდაქმნა და თქვენ თითონ ხდებით ბუნების იმ მონაკვეთის ნაწილი, რომელიც მხატვარს ფერების საიდუმლო შეხამებით გადმოუცია. ადამიანის გრძნობისა და ბუნების საოცარი ერთიანობა არის მისი სურათების ერთი მთავარი ნიშანი. თავისებური და ცვალებადია მხატვრის ფერწერა, ისე, როგორც თავისებური და ცვალებადია თვით ბუნება... მხატვრის შინაგანი ხილვა კარგად სწვდება ბუნების ხასიათს, ბუნების გარდამავალ ცვალებადობას. ამიტომ მის შემოქმედებაში შესანიშნავად ჩანს საკუთარი ხედვის დამოუკიდებლობა და თავისებური მხატვრული ხელწერა.

ისევ საქართველოს პეიზაჟი უნდა ვხატოო, მუდამ ასეთი იყო მისი პასუხი. და მაინც, ჩვენს ფონდს შემორჩა ერთი ძვირფასი ჩანაწერი...

ესაა რამდენიმე კითხვა, რომელზედაც მხატვარი თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც პასუხობს.

– თქვენი საყვარელი თემა?

– პეიზაჟი, ძირითადად, საქართველოს პეიზაჟი.

– როდის იგრძენით, რომ მხატვრობა თქვენი მოწოდებაა?

– ხატვა ბავშვობიდან მიყვარდა. უფრო მეტად მიყვარდა მუსიკა. გიმნაზიის მეხუთე კლასში რომ ვიყავი, ხატვის მასწავლებელი გვყავდა, შესანიშნავი პედაგოგი – ა. კლიფასოვსკი. იმან ძალიან შემაყვარა ხატვა და იმ დროიდან დაიწყო ჩემი შეგნებული ინტერესი მხატვრობისადმი.

– ახერხებთ თუ არა ნახატით სათქმელის თქმას?

– ვცდილობ, რომ ვთქვა, ხან ვახერხებ, ხან ვერა.

– როგორ გესმით ნოვატორობა ხელოვნებაში?

– მე მგონია, რომ დროთა განმავლობაში იცვლება ადამიანის დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ეს ცვლილება ვლინდება ყველა სფეროში, და რასაკვირველია, მხატვრობაშიც. თუ მხატვარმა ალღო აუღო ამ სიახლეს და საინტერესოდ თქვა თავისი სათქმელი, ის ნოვატორია. არც ახალი და არც ნამდვილი ხელოვნება არ შეიძლება.

– რას იტყვით შემოქმედებითი გავლენების შესახებ?

– ვერც ერთი მხატვარი ვერ გაექცევა დიდი ხელოვნების ზეგავლენას. მაგრამ თუ არ დადგა დრო, როდესაც იგი ამ გავლენიდან განთავისუფლდა და გახდა დამოუკიდებელი, მაშინ ის საინტერესო მხატვარი არ დადგება.

– რას იტყვით მუსიკის შესახებ, გეხმარებათ თუ არა მუსიკა მუშაობის დროს?

– ვერც კი წარმომიდგენია, როცა სახლში ვმუშაობ, მუსიკას არ ვისმენდე. მუსიკა კარგი მეგობარივით მეხმარება; სხვა არის, როცა ჰაერზე გავდივარ სამუშაოდ – მაშინ გარშემო შესანიშნავი მუსიკაა – ჩემი საყვარელი ქართული პეიზაჟი.

– როგორ გესმით რეალიზმი მხატვრობაში?

– რეალიზმზე იმდენია ნათქვამი, იმდენია დაწერილი, იმდენია ნაკვლევი, რომ ახსნის მაგივრად მე ვიტყვი ერთს – ჩემთვის რეალიზმია ბრეიგელი, გრეკო, ბოტიჩელი, გოია, დელაკრუა, იმპრესიონისტები, პიკასო თავის ადრინდელი და საშუალო პერიოდებში, ფლობერი. ბალზაკი რეალიზმის ფუძემდებელია, მაგრამ სწორედ მან დაწერა „შაგრენის ტყავი" და გამოიყენა იქ ფანტასტიკური ხერხი, რომ რეალურ ცხოვრებაზე სიმართლე ეთქვა.

***

სახელოსნოში უძვირფასეს რელიქვიებს შორის შთაბეჭდილებათა წიგნი დევს...

„მე რომ ვიყო ძალიან მდიდარი, მთელს თქვენს ნახატებს შევიძენდი და ალბათ, მაშინ ვიქნებოდი ნამდვილად ბედნიერი. წერს ერთ-ერთი ავტორი ამ წიგნში...

ყველაფერი დღესაც ისეა, როგორც მის დროს იყო.

ისევ ვფიქრობ მასზე, ისევ მენატრება ის დღეები, როცა იგი გვხვდებოდა ქუჩაში... მხოლოდ მისნაირები ჰყავთ მხედველობაში, როცა ამბობენ დიდი ადამიანები მარტო საზოგადოებას კი არა, პეიზაჟსაც განუმეორებელ ელფერს მატებენო. კოლორიტული და თავისებური იყო იგი მთელი თავისი პიროვნებით, მთელი თავისი ცხოვრებით და ყოველთვის სრულყოფილი იყო თბილისის პეიზაჟი, როცა გვხვდებოდა ქუჩაში.

***

ამბობენ: მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს ჰგვანანო, ალბათ, მხატვრებიც ჰგვანან თავიანთ ნახატებს.

# თავიანთ ნახატებს

– თბილისის შესახებ რას ეტყოდით ქართველ არქიტექტორებს?

– როგორც ცნობილია, თბილისი საუკუნეების მანძილზე გადაურჩა არა ერთი მტრის შემოსევას, მაგრამ თანამედროვე არქიტექტორების შემოსევას ვერ გადაურჩა. მე სრულებითაც არა ვარ ახლის წინააღმდეგი, მაგრამ არ მესმის რატომ შეუძლიათ ესტონელებს შეინახონ თავისი მშვენიერი ქალაქი ხელუხლებლივ, ჩვენ კი ჩვენს მშვენიერ ქალაქს ვამახინჯებთ? თბილისს ეკარგება თავისი საკუთარი კოლორიტი, თავისი იერი. ეს, ჩემი აზრით, საშინელია და ძალიან გულსატკენი. მგონია, მომავალი თაობები ამას არ გვაპატიებენ.

– რას იტყვით მხატვრობის მომავალზე?

– დღეს, საქართველოს იმდენი ნიჭიერი მხატვარი ჰყავს, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ კარგ მომავალში, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ყოველი მათგანი საკუთარ მხატვრულ ხელწერას გამოიმუშავებს.

– რას უსურვებდით ჩვენს ახალგაზრდა მხატვრებს?

– იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი აზროვნების, თამამი და გამბედავი. უამისოდ



საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარისა ფაცურია

# ირონიის თავისუფლება თუ თავისუფლების ირონია?

ადამიანი იცინის... რატომ და როდის გვეცინება? რითი განსხვავდება ქართული იუმორი რუსულისაგან? გონებამახვილი ფრანგი ირონიული ირლანდიელისაგან, მხიარული ამერიკელი დამცინავი ესპანელისაგან? რას გამოხატავს ირონია, სარკაზმი, ხარხარი? თავდაცვას? სიამოვნებას ან აგრესიულობას?

იუმორი-სერიოზულის შესახებ სასაცილოდ ნათქვამია, ირონია კი სასაცილოზე-სერიოზულად. კომიზმის ესთეტიკური კატეგორია საწყისს დიონისეს საკარნავალო დღესასწაულებსა და ძველ ბერძნულ თამაშებიდან იღებს. სიცილის ისტორია მითის პოეტიკიდან იწყება, სადაც რიტუალური სიცილი გაისმის და მტერზე გამარჯვებულის ღიმილი კრთის. ისტორიულად განვითარებულმა თანამედროვე სიცილმა მიაღწია განსაკუთრებულ ინტელექტუალურ და სულიერ სიმაღლეს. თავისუფალ საზოგადოებაში ის იქცა თავისუფალი ადამიანის ესთეტიკური, ზნეობრივი და სოციალური აღმავლობის საშუალებად.

იმსხვრევიან ცივილიზაციები, რადიკალურად იცვლებიან შეხედულებანი, მაგრამ სიცილი გაისმის სიჩუმეშიც, დუმილშიც. ანომალიები ჩვენს გარშემო, ადამიანთა მანკიერება ხშირად გვაიძულებს, რომ მათ კრიტიკული, ირონიული ღიმილით შევხედოთ. მართალია, სულ ახლო წარსულში, ტოტალიტარული საზოგადოების წევრებს არ გაგვაჩნდა მოქალაქეობრივი მენტალიტეტი, ამიტომ ღიმილი, მეტადრე სიცილი სულ უფრო და უფრო გვიძნელდებოდა და, საერთოდ, თითქმის გაგვიქრა კიდეც ამის სურვილი.

პოსტსაბჭოურ პერიოდში ხალხმა დაკარგა რწმენა ყოფილი ფასეულობებისა თუ იდეალებისადმი, რადგან საზარელი იყო მათი განხორციელების გზები. ალბათ, ეს გახლდათ „ისტორიის ირონია“-დიალექტიკა-ჰეგელის გენიალური აღმოჩენა, და ადამიანს საერთოდ გადაავიწყდა სიცილი, ათწლეულების მანძილზე იგი მხოლოდ დაბნეულ „პოლიტიკურ ცხოველად“ რჩებოდა.

„ადამიანები, რომლებიც ამაყობენ იმით, რომ რევოლუცია მოახდინეს, – წერს ენგელსი ვერა ზასულიჩს 1885 წლის 23 აპრილს, – ყოველთვის რწმუნდებიან მეორე დღესვე, რომ მათ არ იცოდნენ, თუ რას სჩადიოდნენ, რომ ეს რევოლუცია სულაც არა ჰგავს იმას, რისი გაკეთებაც სურდათ. ეს ის არის, რასაც ჰეგელი ისტორიის ირონიას უწოდებდა“...

20-იანი წლების დასაწყისიდან გაისმოდა შეძახილები პრესის ფურცლებიდან – თანამედროვე თეატრს სჭირდება სიცილი, მაგრამ არა ანეკდოტური, არამედ მხედრულად შემართული საზოგადოების სიცილი!

„დიადი გარდატეხის“ 1929 წელი – კოლექტივიზაციას თან სდევდა მიზანმიმართული, უმკაცრესი კამპანია დოგმატური, პარტიული, ლიტერატორული და ყოველგვარი სხვა კრიტიკისა. იმართებოდა სპეციალური შეკრებები, პრეს-კონფერენციები, ქვეყნდებოდა დადგენილებები, რომლებშიც ლანძღავდნენ და მიწასთან ასწორებდნენ პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს; მაგალითად, ა. პლატონოვს მისი გროტესკული მოთხრობისათვის „ქალაქი გრადოვი“, ბ. პილნიაკს – სატირული ნაწარმოებისათვის „წითელი ხე“, ე. ზამიატინს – ანტიუტოპიური რომანისათვის „ჩვენ“. საქართველოში დევნიდნენ პოეტ-სიმბოლისტებს, გალაკტიონს, პაოლოს, ტიციანს. მწერლები, რომლებმაც მთელი სულითა და გულით მიიღეს რევოლუცია, იძულებულნი იყვნენ, გამუდმებით ემართლათ თავი ინდივიდუალიზმისა თუ იდეური შეცდომებისათვის. პოლიკარპე კაკაბაძის„ყვარყვარე თუთაბერი“-ც ხომ აკრძალული ხილი გახლდათ. გრიგოლ რობაქიძე აღფრთოვანებით შეხვდა რევოლუციას, მაგრამ როცა მისი ჭეშმარიტი სახე შეიცნო, 1931 წელს ემიგრაციაში გაიხიზნა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ატყდა ცნობილი სკანდალი, გამოწვეული ჟდანოვის დადგენილებით ჟურნალების „ზვეზდა“-სა და „ლენინგრად“-ის შესახებ. კულტურის წინააღმდეგ ამგვარი პოლიტიკის შედეგი ის იყო, რომ თავისუფალი აზრი და შემოქმედებითი წარმოსახვა ჩანასახშივე კვდებოდა.

ასეთ სიტუაციაში, როდესაც როლები მკაცრად განაწილებულია რეჟისორის მიერ, როდესაც ხალხი ავტორიტარულ პირობებში მაყურებლად რჩება, სხვას რას უნდა ელოდო? ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრი“ გამანადგურებელი მეტაფორაა ამგვარი დესპოტური საზოგადოებრივი რეჟიმისა, სადაც ადამიანი ატარებს მთელს თავის ცხოვრებას: სცენა, დარბაზი, კულისები სპექტაკლისათვის საჭირო ატრიბუტებია. აქ იმართება დღესასწაულები, სასამართლო პროცესები, საზეიმო სხდომები... ამ სატირულ იგავში მოქმედებს ტრაგიკული ირონია, როგორც ამ მწერლის მთელს პროზაში.

სწორედ ამავე დროს, პარალელურად, თითქმის კომპიუტერულ-ვირტუალურ რეალობაში, მოედნებსა და ქუჩებში, აღლუმების მსვლელობისას გაისმოდა მარშებისა და გამამხნევებელი სიმღერების მელოდიები. კინოთეატრებში უჩვენებდნენ ერთი შეხედვით სიმპათიურ, მაგრამ არაფრის მთქმელ კომედიებს, ხალხი იცინოდა, აფრქვევდა „კოლექტიური ერთიანობის“ ბედნიერებას და სჯეროდა ბელადების მიერ არჩეული გზის ჭეშმარიტებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებას აიძულებდნენ, რომ დაევიწყებინა წარსულის თავისუფალი მოაზროვნენი: ბესიკი, რომელსაც გიორგი ლეონიძე უმკაცრეს პოლემისტსა და სატირიკოსს უწოდებდა, სულხან-საბა ორბელიანი – ქართველი ერაზმი, „შემოდგომის აზნაურთა“ უბადლო მცოდნე დავით კლდიაშვილი. დრო გადიოდა და უკვე ილია ჭავჭავაძის კომიზმით აღსავსე პროზაში, სატირული, პაროდიული სიცილი ნაკლებად აქტუალური ხდებოდა ეროვნულ ლიტერატურაში.

სკეპტიკოსი სოკრატე თავის მოსწავლეებთან საუბარში ათენის დაკნინებულ დემოკრატიას აკრიტიკებდა. ახალგაზრდობის „გახრწნისათვის“ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. იგი არ გაექცა ამ განაჩენს, თუმცა ჰქონდა ამის საშუალება. მან უყოყმანოდ მიიღო საწამლავი და ამით ყველას თავისი აზრებისადმი ერთგულება დაუმტკიცა – თვითშემეცნება ეჭვის, ირონიის საშუალებით ერთადერთი გზაა ჭეშმარიტი სიკეთისაკენ, რომელსაც თავისუფლება ჰქვია.

ჩვენ ძალზე ბევრი დრო დავკარგეთ ამაოდ „აზიატური სოციალიზმის“ მშენებლობაში, სიძულვილითა და ბოროტებით გავემიჯნეთ დანარჩენ სამყაროს. მსოფლიო კი ამ დროს სულ სხვა ფასეულობებით სულდგმულობდა და ყველაფერზე მაღლა თავისუფალი არჩევანის, აზრის თავისუფლებისა და თვითგამოხატვის ამოუწურავ, დაუშრეტელ უფლებას აყენებდა. ადამიანის ბუნების არსი ხომ სწორედ ამაში მდგომარეობს, აქ იბადება პუშკინის „მალული თავისუფლება“. პიროვნების თავისუფლებისაკენ სწრაფვა მხოლოდ მოქალაქეობრივ საზოგადოების ატმოსფეროშია შესაძლებელი. ასეთი საზოგადოების შექმნისათვის საჭიროა ინტელექტისა და ირონიის გამბედაობა, რომელსაც ფრ. შლეგელი უპირატესობას ანიჭებდა ყოველგვარ თავისუფლებათა შორის. ირონია დასასრულისაკენ მიმავალი საუკუნის ამოსაცნობ ნიშნად იქცა აღმოსავლეთსა და დასავლეთში. თვითირონიით არის გამსჭვალული აბსურდის თეატრი. პოსტმოდერნიზმი თავისთავად ირონიულია. „პოეტური ირონიის ღმერთი – აი აბსოლუტი მე-20 საუკუნის,“ – თქვა ერთმა თანამედროვე ფილოსოფოსმა. ამერიკელებმა ტყუილად არ შეარქვეს ჩვენს საუკუნეს ირონიული. ძალადობა, სისასტიკე, ღვარძლი ვერ მოერია განსაკუთრებული სახის ჰუმანიზმს, რომელსაც ირონია ჰქვია.

გონებამახვილობა მეცნიერებს აღმოჩენის საშუალებას აძლევს, ბიზნესმენებს – ლამაზად და ოპტიმალურად გადაწყვიტონ ფინანსური პრობლემები. ლოგინშიც კი საჭიროა ჯანმრთელი, მხიარული სიცილი, – ამტკიცებს ფილოსოფოსი და მწერალი, ბრიტანეთის აკადემიის წევრი კლაივ ლუისი. აფროდიტასაც სიცილი უყვარდა: ვნება ხომ კომიკური სულის მატარებელია. იგი გვაიძულებს ჩავიდინოთ ყველაზე სასაცილო ქმედება, რაც კი საერთოდ წარმოსადგენია ჭკვიანი ადამიანისათვის. „ირონია უნარია, რომელიც ჩვენ ბუნებამ გვიბოძა,– ამბობს თანამედროვე იტალიელი მწერალი უმბერტო ეკო.– ...მარქსის მიმართ მე სიმპათიებით ვარ განწყობილი, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ თავის ჟენისთან მას მხიარული რომანი ჰქონდა. ეს ჩანს მისი იუმორის გრძნობიდან, რომელიც თან ახლავს მის პროზას. მაგრამ თუ კი მუდმივად კრუპსკაიასთან გძინავს, რა თქმა უნდა, ბოლოს ისეთ წიგნს დაწერ, როგორც „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმია.“

მიმდინარე ისტორიულ სიტუაციაში ადამიანს, ალბათ, ირონიისა და იუმორის მოთხოვნილება მეტად აქვს გაღვივებული, ვიდრე გამანადგურებელი სატირისა, რომელიც თავისი კატეგორიულობით ისეთივე უკურეაქციას იწვევს, როგორც ძალადობა. ამიტომ არის, რომ მზიანი, კეთილგანწყობილი იუმორი ნოდარ დუმბაძისა სულის მანუგეშებლად გვევლინება.

პოლიტიზაციით გატაცება კიდევ ერთი პარადოქსია შეძენილი თავისუფლებისა. შემთხვევით არ უთქვამს ნაპოლეონს, რომ „ჩვენს დროში პოლიტიკამ შეცვალა განგება“. მე-20 საუკუნეში პოლიტიკა მოურიდებლად შეიჭრა თვითოეული ადამიანის ცნობიერებაში, უბრალო ყოფაში. პოლიტიკა და სიცილი ეს ცალკე ამოუწურავი თემაა. მაგრამ სად არის ახალი, ორიგინალური ქმნილებები, ასეთი მოულოდნელი თავისუფლების პირობებში?

ერთმა ახალგაზრდა დეპუტატმა პარლამენტარებს მიმართა: რას უცდიან ჩვენი რეჟისორები, დრამატურგები? რამდენი მასალა იკარგება ტყუილად, რამდენი კომიკური სიუჟეტი ვითარდება ჩვენს თვალწინ! ასეთია ირონიისა და თავისუფლების უცნაურობანი „ჩვენზე გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში“. და მაინც არსებობს ჩვენთან მსოფლიოში ცნობილი რობერტ სტურუას თეატრი, ბაჩანა ბრეგვაძის რაფინირებული თარგმანები პლატონი სოკრატეს შესახებ, არისტოტელეს „პოეტიკა“, პასკალის „აზრები“, გია ნოდიას გამოკვლევა „მომცინარე ადამიანი“, მხიარული კომედიები ელდარ შენგელაიასი, რეზო გაბრიაძის, რომელიც ტრაგიკომიკური ირონიის ტრიუმფატორია.

რაც შეეხება საზღვარგარეთის ირონიულ პროზას, იგი დიდი ხანია თარგმნილია ქართულად – ჯეიმს ჯოისი, უმბერტო ეკო, ჰენრი მილერი. თითოეული ადამიანის კულტურა, როგორც მერაბ მამარდაშვილი ამბობს, ეს არის ის, „რაც რჩება, როდესაც მე ყველაფერი დამავიწყდა“. ოღონდ ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ – მსოფლიო გადარჩა იმიტომ, რომ მუდამ იცინოდა!

თაიმერი ეიფელის კოშკზე გამაღლებულად ითვლის დღეებს, საათებსა და წუთებს, რომლებიც გვაახლოვებენ 2000 წელს, მაგრამ იქნებ ჩუმად დაველოდოთ XXI საუკუნისა და მესამე ათასწლეულის მოსვლას. კონფუცი თვლიდა, რომ დუმილი მეტყველების იდეალია.



## ეკა ჩილაჩავა

1908 წელია. „ქართული ფილარმონიული საზოგადოება" ზ. ფალიაშვილისა და გ. ნატრაძის ინიციატივით თბილისში სამუსიკო სკოლას ხსნის. საქართველოში ეს სკოლა გახლდათ ერთადერთი, სადაც სწავლების საფასური ხელმისაწვდომი იყო.

1919 წელს სკოლას მიენიჭა სასწავლებლის სახელწოდება, ხოლო 1921 წელს საქართველოს მეორე კონსერვატორიად გადაკეთდა.

აი, საიდან იღებს სათავეს ზ. ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სკოლა. დღეს ამ სკოლის დირექტორია ქალბატონი ლაურა იაშვილი.

# ბედნიერი ქერა

რვა წლისა ვიყავი, როცა ქალბატონი ლაურა (დეიდა ლაურა — მე ასე ვეძახდი) გავიცანი: დედამ მასთან მიმიყვანა, რომ ჩემი მუსიკალური მონაცემები შეემოწმებინა. ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში — დიდი ოთახი, შავი როიალი, კომპოზიტორების სურათები და აფიშები — კონკურსში გამარჯვებული ბავშვების. ახლაც კარგად მახსოვს მისი მშვიდი, სითბოთი სავსე ხმა.

ქალბატონი ლაურა ინტელიგენტურ ოჯახში იზრდებოდა. დედა — ვიოლონჩელისტი იყო, შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოს და გიტარას. მამა — ეკონომისტი ჰყავდა.

ექვსი წლისას დააწყებინეს მეცადინეობა სუსანა გაბუნიასთან. შემდეგ ნიჭიერთა ათწლედში ჩააბარა. მისი პედაგოგი ელენე მგალობლიშვილი იყო. „მისგან მივიღე არა მარტო მუსიკალური განათლება, არამედ გადავიღე ოჯახური ცხოვრების წესიც". — იხსენებს ქალბატონი ლაურა.

კონსერვატორიაში პროფესორ ანასტასია დავითის ასულ ვირსალაძის კლასში სწავლობდა. ქართული საფორტეპიანო სკოლის ამ ერთ-ერთი ფუძემდებლის პედაგოგიურმა პრინციპებმა დიდი გავლენა მოახდინა მისი, როგორც მუსიკოსის ჩამოყალიბებაზე. ბევრი რამ შეითვისა შესანიშნავი პედაგოგისგან. გამოიმუშავა დახვეწილი პიანისტური ტექნიკა, ხავერდოვანი ბგერა, ნატიფი გემოვნება და ნაწარმოების ემოციური ჩანაფიქრის ღრმად წვდომის უნარი. „ქალბატონ ანასტასია ვირსალაძესთან მეცადინეობა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო. მასთან გატარებული წლები ჩემს ხსოვნაში წარუშლელ შთაბეჭდილებად



## ნელი გაბრიჩიძე

### მეტამორფოზა



ჩამოთავდება წითელ ზოლებად
ჯოკონდას სისხლი – კივილი ზართა,
მერე არავის ემახსოვრება
ეს ბოლო ლექსი, ჯალათის გარდა.

მიწა – ფხვიერი და სახიერი,
ბოლო ღიმილის თავშესაფარი,
შეიმართება ვეფხვის იერით
და აიშლება ზღვაზე ფაფარი.

ჩამოეშვება ფესვი კომეტის–
გვიანი შველა და დასტაქრობა;
რომ შესძლებოდათ ყველა პოეტის
(ვინც სულს არ ჰყიდის) ასე გაქრობა...
რომ შესძლებოდა... მაგრამ ბოგინობს,
ვისაც ცისფერი ბუკი მოჰქონდა.

...შავი ზღვის გასწვრივ გვიმრის ლოგინი,
სხვა არაფერი გსურდა, ჯოკონდა...

### XXX

შენ... ჩემით, ნეტავ, რა დაგაკლდება,
ო, ხვალ იქნება სულაც ვთავდები.
მაგრამ... ყოველი რომ დალაგდება,
ვინ არს თავდები.
უკვდავების წყალს არ გთხოვ ნისკარტით,
არც შენი ფრთიდან – ბუმბულს სახატეს.
არც იმას გეტყვი, თუ რომ მიყვარდი,
და არც შიში მაქვს,
თუ რომ დალამდეს...
იქ... სხვა სხივია ალბათ ჩათქმული,
და სხვა მნათობთა ჩანან დისკონი;
სხვა ხეკორძულა ჟონავს ქართული,
ვით ანარეკლი მარადისობის.
არ გამაყოლო ეჭვი მგლისფერი,
არც შესანდობრად დაღვრილი ჭიქა;
შენი ხმალი და ჩემი კისერი,
მამულო ჩემო,
აქაც და... იქაც...

### სტუმარი

მოდიხარ. თურმე გიყვარდი ერთობ,
შლი სატრფიალო ფიქრთა არქივებს.
და ახლა ნანობ, დალღილო ღმერთო,
რომ ჩემს მაგივრად... სხვა დააქრივე...

ჩემთვის შვებაა მოსვლაც ასეთი,
აქ მიწიერი არც როდის ჩანდი,
სტრიქონში იის ჩაბრუნდა წვეთი
და უსახელო ყვავილთა ლანდი.

არც სპირიტიზმი, არც რამ კანდელი, –
მხოლოდ უძილო თავსასთუმალი,
დასიზმრებული შენ ხარ მარტვილი,
ხარ მთვარეული და იდუმალი.

და მაინც... მოსვლა მაცნობე ჩქამით,
ვით უფლისწულის სჩვევია ზღაპარს,
რომ მოლანდებულს შემკრთალი ღამით
არ ვმასპინძლობდე სხვა მიუსაფარს...

დარჩა“, — იგონებს ქალბატონი ლაურა.

შემდგომ, როდესაც კონცერტმაისტერად დაიწყო მუშაობა კონსერვატორიაში, მასში უპირველესად ვირსალაძის სკოლის პიანისტს ხედავდნენ.

როდესაც ვკითხე, პედაგოგობა რატომ აირჩიეთ-მეთქი, ქალბატონმა ლაურამ მიპასუხა: „ალბათ იმიტომ, რომ მე ბავშვები ძალიან მიყვარს. მიყვარს მათი ნდობით სავე თვალები. მათთან მუშაობა დიდ სტიმულს მაძლევს. მე ვუგებ მათ. ისინიც მიგებენ...“

და, აი, გავიდა წლები. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ლაურა იაშვილი სამუშაოდ გაანაწილეს: კონცერტმაისტერად კონსერვატორიაში და პედაგოგად — ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სასწავლებელში (ადრე სკოლა და სასწავლებელი ერთად იყო). მას შემდეგ აქ მუშაობს.

— სწორედ დღეს შემისრულდა 40 წელი, რაც ამ სკოლაში ვმუშაობ. შეიძლება ითქვას, მთელი შეგნებული ცხოვრება ამ კედლებში გავატარე. ეს სკოლა ჩემი მეორე ოჯახია.

ამ ხნის მანძილზე ქალბატონმა ლაურამ არაერთი მუსიკოსთა თაობა აღზარდა.

ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ქალაქს ბევრი რამ დაატყდა თავს, მაგრამ ლაურა იაშვილის რწმენა ვერაფერმა შეარყია. ის მისთვის ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით განაგრძობდა მუშაობას.

წლების მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. ძველი თაობა წავიდა სკოლიდან. ქალბატონმა ლაურამ გარშემო ახალგაზრდა თაობა შემოიკრიბა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდებს თავდადებისა და ერის სამსახურის საუკეთესო მაგალითს უფროსი კოლეგები აძლევენ (სასწავლო ნაწილის გამგე დ. ჩიკვილაძე, ნ. ჩარკვიანი, ლ. სარალოვა, თ, როინიშვილი, ე. ტუღუში, ე. ვორონცოვა, ე. ეტმექჩიანი, ს. კაპრანოვა, მ, თვალჭრელიძე, ი. მგელაძე, ტ. მაყაშვილი, ჯ. მონავარდიშვილი, ი. ნადირაძე), რომელთაც ძნელბედობის ჟამსაც კი ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ პედაგოგიური მუშაობა.

ქალბატონი ლაურა გამუდმებით ძიებაში იყო... ვერ ეგუებოდა გარშემო გამეფებულ ინერტულობას. ამიტომ სკოლის ცხოვრების განახლება ითავა და შეასრულა კიდეც. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სკოლის სასწავლო პროგრამას ბევრი ახალი საგანი დაემატა. მოიზიდა კიდევ უფრო მეტი მოზარდი და სკოლას ამით დიდი პერსპექტივა გაუჩინა სახელოვნებო დარგში.

— დღეს ბევრი ლაპარაკობს მუსიკალური სკოლების კრიზისზე. თქვენც თვლით, რომ მუსიკალურმა სკოლამ ამოწურა თავისი შესაძლებლობა? — ვეკითხები ქალბატონ ლაურას.

— სამწუხაროდ, ბევრი იბრძვის, რომ საბავშვო ბაღიდან მუსიკის მასწავლებლები განთავისუფლდნენ. თუ ასე მოხდა, ათასობით პედაგოგი უმუშევარი დარჩება. ალბათ სამუსიკო სკოლებსაც იგივე ბედი მოელით. სწავლის ქირა იზრდება. ჯერ ხუთი ლარიდან დაიწყეს, ახლა ოცდაათი ლარია სემესტრში გადასახდელი. ყველა მშობელს ამის საშუალება არა აქვს. ზოგ ოჯახში სამი-ოთხი ბავშვია. კონტიგენტი საგრძნობლად შემცირდა. თუ, 1990 წელს სკოლაში რვაასი მოსწავლე სწავლობდა, ახლა ხუთას ორმოცდაათამდე დარჩა. თუ ასე გაგრძელდა, ასამდეც ჩამოვა. რასაკვირველია, პედაგოგებიც დატვირთვის გარეშე დარჩებიან. ასეთი სურათია თითქმის ყველა მუსიკალურ სკოლაში. მივდივართ იქამდე, რომ მუსიკალური სკოლები სამეურნეო ანგარიშზე უნდა გადავიდეს.

საქართველო ცნობილია ნიჭიერი მუსიკოსებით. ქართულ სამუსიკო ხელოვნებას საპატიო ადგილი ეკავა მსოფლიო ქვეყნების კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენი შემსრულებლები, სადაც უნდა წასულიყვნენ, გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ. ისმის კითხვა: საიდან მოდიან ეს ბავშვები? ეს ბავშვები ჩვენგან მოდიან, სკოლებიდან. მაგალითისთვის საკმარისია: თემო მათურელი, ლიზა ლეონსკაია, პაატა ბურჭულაძე, ოთარ ტატიშვილი... მათ ჩვენთან მიიღეს განათლება.

უამრავ ბავშვს უნდა ისწავლოს მუსიკა, მაგრამ ზოგი გლდანში ცხოვრობს, ზოგი თემქაზე, ზოგი — დიდ დიღომში... ჩემი აზრით, თბილისის ყველა რაიონს მუსიკალური სკოლა უნდა ჰქონდეს...

— დღეს თბილისში, — განაგრძობს ქალ-ბატონი ლაურა, — ოცდაათი მუსიკალური სკოლაა. ვისაც უნდა, გადავიდეს სამეურ-ნეო ანგარიშზე, მაგრამ ჩემი აზრით, ხუთი-შვიდი სკოლა მაინც უნდა დარჩეს სახელმ-წიფო ბიუჯეტზე და მე ვთვლი, რომ მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სკოლა უნდა იყოს.

ქალბატონი ლაურა შესანიშნავი ოჯახის დედაა. მეუღლე გივი თოხაძე მსახიობია, ამჟამად კინოსტუდიაში მუშაობს. ჰყავთ სამი ვაჟი და ოთხი შვილიშვილი.

ყველას აქვს რაღაც, თუნდაც დროებითი გატაცება, თავისი ჰობი. ლაურა იაშვილის სიცოცხლის აზრი და მიზანი, მხოლოდ ოჯახი და მუსიკაა. ღმერთმა მას ამ მოღვაწეობის გრძელ გზაზე დაანათლა დიდი ნიჭი და ენერგია, შრომის საოცარი უნარი და ჩაუქრობელი ხალისი. იგი დღესაც ამ უნარითა და ენერგიით განაგრძობს საქმიანობას. კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ!

---

## ხმა წარსულიდან

ვით სარეცლიდან უეცარი წამოძახილი,
ხმიანობს ლექსში უცხო პირთა
არდარიდებით, –
ღმერთო მაღალო, რა გაჭირდა
ერთი მახვილი,
გვანან ცდომილებს ყელზე
ყალბი მარგალიტები.
ფუფუნებაა სიყვარულის ცალფა მანძილი,
ოდეს ცხრათავა ითავისებს
ზღაპრის წალკოტებს,
მახვილი, ღმერთო, რა გაჭირდა
ერთი მახვილი,
თორემ აიკლებს ყოველივეს, აანაფოტებს.
დამპირდებიან გრიგალები
შველას, შედევრებს,
ამაოების ბურბუშელა თუმც შარიშურობს,
მე ჩალისფერი ხარის ტყავი აფრად შევკერე
და პონტოს სიღრმე იმედივით
მაქვს ჩანიშნული.
განფენილია საქართველო,
როგორც ჩონგური,
და დაწყვეტამდე დაჭიმულნი
თრთიან ხნულები,
ნატიფ სხეულზე რიალებდა
ლანდი ჯოგური,
ზეგარდმო ნიჭის ვერშემცნობი,
ნამარხულები,
... არ აკლდა ომი, მტერთა ძრწოლის
იყო მნახველი,
თავისთა შვილთა, სხვისთა მკვდართა
უხვად მმარხველი;
და მაინც, ძილში ნასცდებოდა ამოძახილი:
მახვილი, ღმერთო, რა გაჭირდა
ერთი მახვილი...

## ანბანთქება

ჩემსავ სურვილებს განვერიდე
მრავალთა გამო,
უუშორესი ვარსკვლავების
შუქთმტანჯაობით,
უერთგულესთა მხევალს შენსას,
წარსულთა ლამო,
ეფემერულად მოყვავილე
შთანთქავს ჭაობი?

არარაისი, არავისი, არავითარი,
არ მაბადია რწმენა ბრმა და გადარაზული;
ო, მარტოოდენ „სინანულნი“ ნადავითარნი,
სიტყვა ქართული – უახლესიც,
ვადაგასულიც.

რას შეეწირვი, ესოდენ ტკბილს
და ყოველთშემძლეს,
რაც თვით რუსთველის მაგიათა
გახლავთ საყრდენი;
აუტაცნიათ ანბანთქება ფრთაგაშლილ
ვერძებს,
როგორც ღრუბელი, რისხვის ცრემლად
გადმოსადენი.

## ნოქტიურნი

ჟამია გულთა ჩქროლვის,
თოვლიან გზათა მოვლის,
ან... აქ მოვიდეს თოვლი,
გადამფარველი ყოვლის.

მწვანე იქნება თოვლი,
ტყე ღველფს ჩაიხვევს მარჯნის,
ყინვა – დაშნაა ბროლის
და შეკივლება ხანჯლის!

თოვლმა დაფაროს პლაჟი,
თოვლი თვით იქცეს ზღვადა;
წუხდეს ფერმკრთალი პაჟი,
ვინც მონატრებამ ზარდა.

მერე... იქნება ნავი,
ჯაჭვთა ქურდულად ახსნა,
მკლავი... ნიავი... რა ვი...
მარად... უთქმელის ახსნა...

თავს მიყრდნობილი თავი...
უცბად – სიფხიზლის ტორი:
...არავითარი ნავი...
...არავითარი თოვლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედნიერება

ანა მარია მატუტე

ბინდდებოდა, როცა ლორენსო ქალაქში ჩამოვიდა ავტობუსით. გუბეებში წყალი ისე ბრჭყვიალებდა, თითქოს შუშის ნამსხვრევები ჩაეყაროთ შიგ. გაშიშვლებული ხეები შავად მოჩანდნენ მონაცრისფრო-მოლურჯო ცის ფონზე.

ავტობუსი სამოქალაქო ყაზარმასთან გაჩერდა. ყაზარმის კარ-ფანჯრები უკვე ჩაეკეტათ. კარის აბრას მკრთალად ანათებდა პატარა ნათურა. რამდენიმე ქალი და ფოსტალიონი ფოსტას ელოდებოდნენ და პოლიციელთან მასლაათით კლავდნენ დროს.

ლორენსო ავტობუსიდან გადმოვიდა თუ არა, მის ფეხთა ქვეშ მყისვე აჭრაჭუნდა თრთვილი და სუსხმაც სახე აუწვა. ვიდრე ავტობუსიდან ბარგი გადმოჰქონდათ, ლორენსოს პოლიციელი მიუახლოვდა:

– თქვენ ბრძანდებით დონ ლორენსო, ჩვენი ახალი ექიმი?

ლორენსომ თავი დაუქნია.

– მე ატილანო რიგომესი ვარ, აქაური ალგუასილი. – მან სტუმარს ჩემოდანი ჩამოართვა და წაუძღვა მახლობელი სოფლისაკენ, რომელიც აქედან კარგად ჩანდა. მოახლოებული ღამის სიბნელეში ნელ-ნელა იძირებოდნენ სახლები, ფარდულები, ქვები. სოფლის გადაღმა ოდნავ ტალღოვანი დაბლობი მოჩანდა წერტილებივით ზედ მიმოფანტული სინათლეებით. მარჯვნივ ფიჭნარი ჩაყურსულიყო პირქუშად.

ატილანო სწრაფად მიაბიჯებდა.

– რაღაც მინდა გკითხოთ, დონ ლორენსო.

– გისმენთ.

– თქვენთვის არვის უთქვამს, რომ აქ ძალიან ჭირს ბინის შოვნა? არვის უთქვამს, ამ სოფელში სასტუმრო კი არა, სულ უბრალო, პატარა სახლიც რომ არა გვაქვს სტუმრის მისაღებად?

– მე მითხრეს, რომ...

– დიახ, გითხრეს, მაგრამ აღარავის სურს ვინმე ჩაისახლოს თუნდაც დროებით, მით უმეტეს, ექიმი. ცუდი დრო დადგა, დონ ლორენსო. უჭირს ხალხს და ამიტომაც არიან უარზე, ერიდებათ, სტუმარს რიგიანად ვერ ვუმასპინძლებთო, საკუთარი თავი როგორღაც გაგვაქვს შებოლილი ხორცის ნაჭრითა და ორიოდე კარტოფილით, მაგრამ სტუმარს ასე მცირედს ხომ ვერ ვაკადრებთო. ქალებს ზამთრობითაც თავზე საყრელი აქვთ სამუშაო, უსაქმოდ მათ ვერასოდეს ნახავთ, კაცებივით შრომობენ, ამიტომაც ვერ იცლიან ნაირ-ნაირი კერძების მოსამზადებლად, თანაც რა დასამალია და, არც ძალიან ემარჯვებათ ეს საქმე. უნდა გვაპატიოთ, დონ ლორენსო... რა ვქნათ, ასეთი ცხოვრება გვაქვს...

– კი მაგრამ, სადღაც ხომ უნდა დავბინავდე?

– ქუჩაში არ დარჩებით, რა თქმა უნდა. რაღაცას მოვიფიქრებ.

ლორენსო გაოცებული და დაბნეული იდგა. მუნიციპალიტეტის ალგუასილს ახლა უფრო ახალგაზრდა მოეჩვენა ეს თმახუჭუჭა, ჭოტივით მრგვალთვალება ექიმი; სიცივისაგან საცოდავად აბუზულს ხელები ღრმად ჩაემალა გაცრეცილ პალტოს ჯიბეში.

– ნუ ღელავთ, ქუჩაში არ დაგტოვებთ. არის აქ ერთი ქალი, რომელიც თანახმაა ოთახი დაგითმოთ, ოღონდ... გიჟია ის საბრალო ქალი.

– გიჟი?!

– დიახ, მაგრამ წყნარი გიჟია, არავის არაფერს უშავებს. დამშვიდდით, უბრალოდ, უცნაურ ამბებს ჰყვება ხოლმე... წინასწარ იმიტომ გეუბნებით, რომ მერე არ გაიკვირვოთ. ისე, სხვაფრივ, კეთილი და ძალიან სუფთა ქალია.

– სამაგიეროდ გიჟია! იქნებ მითხრათ, რაში გამოიხატება მისი სიგიჟე?

– ისეთი არაფერია, დონ ლორენსო. ისა... იცით... როცა მოუვლის ხოლმე, რაღაც აბდაუბდებს ჰყვება... მეტი არაფერი. ხომ გითხარით, წყნარი ქალია. თანაც მის სახლში ერთი-ორი დღე მოგიწევთ ყოფნა. იმედი მაქვს, ამასობაში რიგიან ბინასაც ვიშოვით.

სახლი ერთი პატარა მიხვეულ-მოხვეული ქუჩის ბოლოში იდგა. პატარა სახლი იყო, ნახევრად დამპალი ხის აივნიანი. კარი ხილაბანდით თავწაკრულმა, ორმოცამდე წლის სახენათელმა ქალმა გაიღო. ხელში ნავთის ლამპა ეჭირა.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამ სახლში, – რბილად გაიღიმა ქალმა.

მას ფილომენა ერქვა. სამზარეულოში, აგუზგუზებული ცეცხლის პირას გაუშალა სტუმარს ღარიბული, მაგრამ სუფთა და გულმისასვლელი სუფრა. ირგვლივ იდუმალი სიმყუდროვე და სისუფთავე მეფობდა. კედლები საგულდაგულოდ იყო შეთეთრებული, ცეცხლის ანარეკლი წითლად კრთოდა ქვაბებსა და ქაშანურის ქოთნებზე.

– ჩემი შვილის ოთახში გაგიშლით ლოგინს, – ქალმა რაღაცნაირად დაუდაბლა ხმას. – იგი ახლა ქალაქშია... მშვენიერი ოთახია, თვითონვე დარწმუნდებით.

სტუმარმა გაუღიმა. რაღაც საოცარ თანაგრძნობას იწვევდა ეს პატარა მოძრავი ქალი.

ოთახი პატარა იყო. რკინის საწოლზე გრძელფოჩიანი წითელი გადასაფარებელი ეფინა. ფიცრულ იატაკს კრიალი გაჰქონდა. ირგვლივ რომელიღაც ყვავილის და კირის სუნი ტრიალებდა. კომოდზე საგულდაგულოდ გაწმენდილ-გაპრიალებული სარკე იდგა, სარკის ერთ კუთხეში კი სამი ჩამაგრებული ვარდი იწონებდა თავს.

ქალმა გულხელი დაიკრიბა:

– აი, აქ სძინავს ხოლმე ჩემს მანოლოს...

– რამდენი წლისაა თქვენი შვილი? – ჰკითხა სტუმარმა: ბოლოს და ბოლოს რაღაც ხომ უნდა ეთქვა.

– ცამეტისა შესრულდება აგვისტოში. ისეთი ჭკვიანი ბიჭი მყავს, ისეთი თვალები აქვს...

ლორენსოს გაეღიმა, ქალი შეკრთა:

– მაპატიეთ... ვიცი, სისულელეებს ვროშავ, მაგრამ მე ხომ მანოლოს გარდა არავინა მყავს ამქვეყნად. ქმარი რომ მომიკვდა, ჩემი ბიჭი ორი თვისა იყო მხოლოდ. მას შემდეგ...

ქალმა ამოიოხრა, ცისფერი თვალები იდუმალ ნაღველში ჩაეძირა. მერე უცებ სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარისაკენ.

– მაპატიეთ... ხომ ივახშმებთ? – ზღურბლიდან ჰკითხა კაცს.

– დიახ, თუ არ შეწუხდებით.

ქალმა წნიანით სავსე თეფში დაუდგა წინ. გემრიელი წნიანი იყო.

– ღვინოცა მაქვს, – თქვა მორიდებულად. – თუ ინებებთ... ყოველთვისა მაქვს გადანახული ჩემი მანოლოს ჩამოსვლის დღისათვის...

ლორენსოს უცნაური და მონატრებული სიმშვიდე მოჰგვარა ამ სახლმა. მას ხშირად უწევდა სოფელში სიარული, პირქუში კვარტლების ჭუჭყიან, ამყრალებულ პანსიონებში ღამისთევა, აქ კი ამ საოცარ სიმშვიდესთან ერთად იგრძნობოდა მიწა – მშვენიერი, დიდი, ასე მახლობელი და გასაგები მიწა.

ნუთუ ეს ქალი გიჟია? რაში გამოიხატება ნეტავ მისი სიგიჟე? მის დიდსა და გარუჯულ ხელებში, მის მოგრძო და სიმშვიდით აღსავსე თვალებში არის რაღაც თავად მიწისეული.

– თქვენი მანუელი ქალაქში რას აკეთებს?

– ხარაზთან დგას შეგირდად. იქ სხვებიც სწავლობენ ამ ხელობას, მაგრამ მანოლო ყველაზე გონიერია. გაჩვენებთ, როგორი ფეხსაცმელი შემიკერა შარშან საშობაოდ.

ქალმა ღვინო და მუყაოს კოლოფი მოიტანა, ფრთხილად და აუჩქარებლად ჩამოასხა ჭიქაში ღვინო. თავაზიან, სტუმართმოყვარე დიასახლისს ისეთი კმაყოფილება ეხატა სახეზე, თითქოს ამბობდა, ვიცი მე ჩემი ძვირფასი ნივთის ფასიო.

მერე კოლოფი გახსნა და მაშინვე ტყავისა და მწარე ნუშის სუნი ამოჰყვა უბრალო ნაცრისფერი ნატის ფეხსაცმელს.

– აი, ნახეთ... ჩემი მანოლოს ნახელავია.

– ძალიან კარგია.

– შვილზე ძვირფასი არაფერია ამქვეყნად, – ფილომენამ ფეხსაცმელი კვლავ კოლოფში ჩადო. – დამიჯერეთ, შვილზე ძვირფასი არაფერია ამქვეყნად.

შემდეგ სტუმარს ხორცი მიართვა, თვითონ კი ცეცხლს მიუჯდა. ხელები მშვიდად ელაგა მუხლებზე. ლორენსომ გაიფიქრა: ნეტავ, ისეთი რა ძალა აქვთ ამ გაუხეშებულ ხელებს, რომ ასეთი აუხსნელი, საოცარი სიმშვიდე გეუფლება მათ დამნახავსო.

– იცით... – ქალი კვლავ ცეცხლს მისჩერებოდა, – ცხოვრებაში ბევრი არაფერი სიხარული მინახავს. ის იყო გავთხოვდი, რომ დავქვრივდი კიდეც. ჩემი ქმარი დღიური მუშა იყო, მოგეხსენებათ, როგორ ვიცხოვრებდით. არაფერი დაუტოვებია. საკუთარი შრომით უნდა გამეტანა თავი, არაფერი გამაჩნდა, მაგრამ მე მყავდა ის, ჩემი შვილი და ეს იყო ჩემი ბედნიერება. დიახ, სენიორ, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. ვხედავდი, როგორ იზრდებოდა, როგორ იდგამდა ფეხს, როგორ იწყებდა ტიტინს. მითხარით, რომელი დედა არ იშრომებდა, ოღონდ ეს ენახა, ოღონდ ამას მოსწრებოდა? ნეტავ, იცოდეთ, რა სიხარული იყო, სულ პატარამ რომ ისწავლა კითხვა! აქაურები ჩემზე ამბობენ, გიჟიაო... გიჟი ვარ იმიტომ, რომ ჩემი შვილი მიწას მოვწყვიტე და ქალაქში გავუშვი ხელობის შესასწავლად... გიჟი ვარ იმიტომ, რომ არ მინდა მამამისივით მიწაში თავჩარგული იყოს მთელი ცხოვრება, იმიტომ, რომ მუხლჩაუხრელად ვშრომობ ლამის დილიდან დილამდე: ჩემს მანუელს არაფერს ვაკლებ, პანსიონის ქირა დროზე უნდა გადავუხადო, ტანსაცმლისა და წიგნების ფულიც დროზე უნდა გავუგზავნო. ძალიან უყვარს კითხვა. რომ იცოდეთ, რა ცნობისმოყვარე ბიჭია. ორი წიგნი ვუყიდე სულ ახლახან, ფერადნახატებიანი, გაჩვენებთ მერე... მე კითხვა არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, საინტერესო წიგნები უნდა იყოს, ჩემს მანუელს უსათუოდ მოეწონება. სკოლაში საუკეთესოდ სწავლობდა... ქალაქიდან ხანდახან ჩამოდის ჩემს მოსანახულებლად. აღდგომა დღეს მესტუმრა, ახლა საშობაოდ ველოდები...

ლორენსო მდუმარედ უსმენდა. ცეცხლთან მიმჯდარი ქალი თითქოს შუქს აფრქვევდა. ასე ანათებს ხოლმე მიწა იქ, შორს, ჰორიზონტთან. უსაზღვრო სიმშვიდე, მიწისეული სიმშვიდე იყო მოქცეული ქალის თბილ ხმაში. „რა კარგია აქ, – გაიფიქრა ლორენსომ. – არსადაც არ წავალ აქედან".

ქალი წამოდგა, ცეცხლს მოშორდა და თეფშები აალაგა.

– საშობაოდ რომ ჩამოვა, შეგახვედრებთ ჩემს მანოლოს.

– ძალიან მინდა გავიცნო,– თქვა ლორენსომ. – მართლა ძალიან მინდა.

– გიჟს მეძახიან, – ქალმა გაიღიმა და ლორენსოს მოეჩვენა მიწისეულ სიბრძნეს იტევდა ეს ღიმილი. – იმიტომ მეძახიან, რომ ჩაცმა-დახურვაზე არ ვფიქრობ, ზედმეტი ფუფუნების უფლებას არ ვაძლევ თავს. ხალხს ჰგონია, მსხვერპლად ვწირავ თავს, ის კი არ იციან, რომ ეს ეგოისტობით მომდის, მხოლოდ ეგოისტობით. განა ყველაფერი, რასაც მისთვის ვაკეთებ, ჩემთვის არ არის? განა ჩემი შვილი – მე არა ვარ? არავის ესმის ეს, არც კაცებს, არც ქალებს...

– გიჟები სხვები არიან, – თქვა ქალის წყნარი ხმით მონუსხულმა ლორენსომ. – გიჟები თვითონ არიან.

ლორენსო წამოდგა. ქალი კვლავ ცეცხლს მიუბრუნდა მოჯადოებულივით.

როგორც კი მანუელის ლოგინში ჩაწვა და სხეულზე ჯერაც უხმარი ზეწარის შეხება იგრძნო, ლორენსო მიხვდა, რომ ის მოწმე გახდა უსაზღვრო ბედნიერებისა, რომელიც მუსიკასავით მოსდებია ამ სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულს და თავად მასაც...

დილით ფილომენამ ფრთხილად დაუკაკუნა კარზე:

– დონ ლორენსო, ალგუასილი მოვიდა თქვენთან.

ლორენსომ პალტო მოისხა და კარი გააღო.

– დილა მშვიდობისა, ექიმო. ყველაფერი მოგვარდა. ბინა ვიშოვე, ნამდვილად მოგეწონებათ...

– არსად არ მივდივარ, მე აქაც კარგად ვგრძნობ თავს, – ცივად გააწყვეტინა ლორენსომ.

ალგუასილმა სამზარეულოსკენ გააპარა თვალი. იქიდან ჭურჭლის ხმაური მოისმოდა, ეტყობა, ქალი საუზმეს ამზადებდა.

– აქ გინდათ დარჩეთ?!

ლორენსო ბავშვივით გაცხარდა:

– ეს ქალი გიჟი არ არის. ის დედაა, არაჩვეულებრივი ქალია. რატომ არის გიჟი? იმიტომ, რომ შვილს აღმერთებს, მისით სულდგმულობს და სავსეა ამ ბედნიერებით?

ატილანომ ნაღვლიანი თვალები მიაპყრო ექიმს, თითი ტუჩებთან მიიტანა და ხმადაბლა უთხრა:

– არავითარი შვილი მას არ ჰყავს, დონ ლორენსო, ოთხი წლის წინ მოუკვდა მენინგიტით.



ესპანურიდან თარგმნა
ელზა ახვლედიანმა

# წმინდა მარინეს დღესასწაული

● წმ. მარინე იყო ერთადერთი ასული კერპების მღვდლის ედესეოსისა, მეტად ლამაზი, მშვიდი, წყნარი, თავმდაბალი და ღვთის მოშიში, დღენიადაგ მხურვალედ მლოცველი და ღმერთის მავედრებელი, რომ მიენიჭებინა მისთვის ძალა და სიმხნე, რათა ებრძოლა სიკეთის დასამკვიდრებლად და მტრების, ეშმაკისა და ბოროტების დასათრგუნავად.

იმხანად ანტიოქიაში მოვიდა ასიის მთავარი, სახელად ლომბრიოზი. მას სურდა იქაური ქრისტიანების დასჯა. მთავარმა მარინეს თვალი მოჰკრა და მოიხიბლა მისი მშვენიერებით. მან მხლებლებს უბრძანა მისი შეპყრობა. „თუ აზნაურის ქალია, ცოლად შევირთავ და თუ უბრალო კაცისა, ფულით ვიყიდი და ისე ვიყოლიებო." მარინე შეიპყრეს და მიჰგვარეს მთავარს. მორწმუნე ქალწულმა ღმერთს შესთხოვა, მიეცა მისთვის ძალა, რათა დაეცვა თავისი ქალწულობა მოძალადისაგან.

მთავარმა მარინეს განუცხადა, რომ დაეტოვებინა თავისი სარწმუნოება და კერპებისათვის თაყვანი ეცა, სამაგიეროდ შეჰპირდა ყოველგვარ სიკეთეს და ცოლად შერთვას.

ვერავითარმა დაპირებებმა და მუქარამ ვერ გატეხეს ღმრთის მოყვარე ქალწული. მას არც ჯოხით ცემა დაჰკლებია და არც ძელზე გაკვრა, რკინის ფოცხით ჩამოფხეკა და სხვა ამისთანანი. ურყევი იყო თავის რწმენაში წმ. მარინე და მთავარს ახსენებდა, რომ ამდენი ბოროტება მას არ შერჩებოდა...

ბედმა მარინეს არც ეს გამოცდა აკმარა. იგი სასამართლოს წინაშე წარსდგა. მთავარმა კვლავ წინადადება მისცა, ხელი აეღო ქრისტეს სჯულზე. ამის პასუხად მარინემ დასცინა მის კერპებს.

მთავარი განრისხდა და ბრძანა სამოსელი შემოეძარცვათ მისთვის, ძელზე გაეკრათ და ქვემოდან ლამპრები შეედგათ. „სანამ სულ არ დაიწვას, ლამპრები არ გამოაცალოთო". – ბრძანა.

შემდეგ მთავრის ბრძანებით წმინდანი ძელიდან ჩამოხსნეს და ხელფეხგაკრული, წყლით სავსე ჭურში ჩააგდეს. წმინდანი შეევედრა ქრისტეს, რომ მისი წყალში ჩაგდება ნათლისღებად შეერაცხა. ლოცვა რომ დაასრულა, ზეციდან ხმა მოესმა: „მოვედ აწ ნეტარს მარინე, სასუფეველსა ცათას, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ განბანილ იქმნ ნათლისღებითა, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ ქალწულება შენი სიწმინდით დაიმარხე, ნეტარ ხარ შენ, რამეთუ აღიღე ჯვარი და შემომიდექ მე".

ეს ციური ხმა იქვე მდგომმა ხალხმაც გაიგონა და თხუთმეტმა ათასმა კაცმა იწამა ჭეშმარიტი ღმერთი იესო ქრისტე.

24 სიკვდილის წინ წმინდანმა მიმართა უფალს: „უფალო, შემიწყალე და ვინც ჩემი ცხოვრება აღწეროს ან მოისმინოს, სათხოვარი აუსრულე და სულითა და ხორცით მშვიდობა მიანიჭეო".

წმ. მარინეს თავი მოჰკვეთეს. ბევრი ავადმყოფი შეიყარა იმ წმინდა ადგილზე,



ეამბორებოდნენ მის გვამს და იკურნებოდნენ. წმ. მარინე ანტიოქიაში დაიკრძალა. ვინმე თეოტიმონმა აღწერა მისი მოწამეობრივი ცხოვრება. ქალწული მარინე ეწამა რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს, ქრისტეს შემდეგ 270 წელს, 17 ივლისს. ამ დღეს ეკლესია იხსენებს მას.

საქართველოში წმ. მარინეს დიდ პატივს მიაგებენ. მის სახელზე მრავალი ეკლესიაა აგებული. დასავლეთ საქართველოში, სოფელ ნაგომარში წმ. მარინეს სახელობის დიდი დღეობა იმართებოდა. აქ მოდიოდნენ არა მარტო ქრისტიანი მლოცველები, არამედ ქობულეთის მაჰმადიანი მოსახლეობაც. თვალს სჭრიდა სადღესასწაულო თამაშობანი და ბაზრობა.

გელათში მთავარ ტაძარს წმ. მარინეს სახელობის ორი ეკვდერი აქვს. ორივეში ისევე, როგორც გელათის სხვა ეკვდერებში, საქართველოს სამეფო გვარის წევრები განისვენებენ. წმ. მარინეს სახელობის ერთ-ერთ ეკვდერში დაკრძალულია სოლომონ დიდის მეუღლე მარიამი და მისი მცირეწლოვანი ვაჟი. მეორე ეკვდერში, რომელიც აგრეთვე წმ. მარინეს სახელობისაა, ასევე სამეფო გვარის წევრებია დაკრძალული.

წილკნის ცნობილი კათედრალური ტაძარი, სადაც ერთ-ერთი სირიელი მამა – წმ. იესე მოღვაწეობდა, საქართველოში მის მოსვლამდეც არსებობდა. იგი ქრისტიანობის გავრცელებისთანავე დაუარსებია მირიანის მამას – ბაქარს. აქ ინახებოდა კონსტანტინეპოლიდან მოტანილი ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ევანგელისტ ლუკას ხელით დახატული ქრისტეს აკვნის ფიცარზე.

დროთა ვითარებაში ეს უმშვენიერესი ტაძარი უმოქმედოდ მდგარა. მასში შესვლაც კი სახიფათო იყო, რადგან კედლებიდან ქვები ცვიოდა. ამის გამო ღვთისმსახურება მცირე ზომის ეკუდერში სრულდებოდა, რომელიც წმ. მარინეს სახელობისაა.

შიომღვიმის მონასტრის შესასვლელშიც წმ. შიოს თანამედროვე ეკლესია დგას ნათლისმცემლის სახელობისა, რომელსაც ოთხი გვიანი ხანის ეკვდერი აქვს მიშენებული. ერთ-ერთი მათგანი წმ. მარინეს სახელობისაა.

დავით გარეჯის უდაბნოში, თვით დავითის ლავრაში, მონასტრის ზღუდის მიღმა, კლდეში გამოკვეთილია ორი მცირე ზომის ეკლესია. ერთი მათგანი მიძინების სახელითაა ცნობილი, ხოლო მეორე – წმ. მარინეს ეკლესიის ნანგრევებია სოფ. გუდალეთში. კახეთში ზეგანის მონასტერში და კურტანიძეების ხევშიც ერთ-ერთი კოშკის თავზე არის წმ. მარინეს ეკლესიები, ასევე თუშეთში.

თბილისში წმ. მარინეს სახელობის ორი ეკლესიაა: ერთი ქაშუეთის წმ. გი-

ორგის ეკლესიის ქვედა სართულზე, მეორე კი საკმაოდ დიდი ზომის უძველესი ეკლესია ავლაბარში, დუშეთის ქუჩაზეა.

ეს ეკლესია ერთგვარი ბაზილიკაა, აგურით ნაგები. გარედან თაღებითა და ჯვრებით დამშვენებული. მისი ერთი ნაწილი ფასადის მხარეს, ტოლფერდა სახურავითაა გადახურული, ხოლო მეორე ნაწილი ბრტყელი ბანით. ინტერიერის დათვალიერება შეუძლებელია – ირგვლივ საცხოვრებელი ნაგებობებია მჭიდროდ შემოზღუდული. ეკლესიის აგების ზუსტი თარიღი უცნობია.

ვახუშტის გეგმაზე მეტეხის გარეთ ავლაბრის ტერიტორიაზე ორი ეკლესიაა აღნიშნული. ერთი სომხების საყდარია (ეჩმიაძინად წოდებული), ხოლო მეორე ბერძნებისა, რომლის ქვეშ იგულისხმება წმ. მარინეს ეკლესია. 1785 წლის პისკევიჩის გეგმაზედაც ავლაბარში აღნიშნულია ორი ეკლესია, ერთი სომხებისა, ხოლო მეორე იქვე ახლოს მდებარე ეკლესია, რომელიც იგულისხმება, რომ იყო წმ. მარინესი. 1800 წლის გეგმაზედაც არის ავლაბრის უბანში დიდმორწმუნე მარინეს ქართული ეკლესია. 1843 წლის გეგმაზე, რომელიც პეტერბურგშია დაბეჭდილი, დასახელებულია ავლაბარში მირქმის სახელობის ეკლესია. იქვე ფრჩხილებში ერთ სიტყვად მიწერილია (წმინდა მარინე). ეკლესია განუახლებიათ 1824-1849 წლებში. საბჭოთა პერიოდში ერთხანს მას საამკინძაო სახელოსნოდ იყენებდნენ.

წმ. მარინეს ასეთი პოპულარობა საქართველოში უკვირდა ცნობილ სასულიერო პირს მურავიოვს, რომელიც საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისში მოგზაურობდა. მურავიოვი წერდა:

„ლიტურგია სრულდება წმ. მოწამე მარინეს სახელობის მცირე ეკვდერში, რომლის სახელი ჩემთვის გაუგებარი მიზეზით, მეტად ხშირად გვხვდება ქართულ ტაძრებშიო".

მაგრამ ეს არ არის შემთხვევითი. წმ. მარინე ის წმინდანია, რომელმაც სძლია მასში მოძალებულ ქვენა გრძნობებს, ამაღლდა მათზე და პირნათლად წარსდგა უფლის წინაშე. ამიტომ იგი დიდი პატივისცემის ღირსია და მაგალითია ყველასათვის, ვინც ვერ იოკებს ბოროტებას და უბედურებას სჩადის ქვეყნისა და ხალხის წინაშე. წმ. მარინეს კათალიკოსი ანტონ პირველი ასე ამკობს:

„სპეტ-მარგალიტებს, შუენება ქალწულისა,
ადამს მტკიცობს, გონება შეუხები
მრჩობლს გუელს აკუდინებს, ყრმაა ბრძენი მარინა,
სხუა და სხუათა მცნები ქედს იფარღულებს მახვილს".

**მარინე ბულეიშვილი,**
**ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.**

## წმინდა თარიღები

# შობა



ბეთლემი... რა საოცრად ახლობელი და ძვირფასია ეს სიტყვა ყოველი ქრისტიანისთვის. იდუმალი ღამის სიჩუმეში სწორედ აქედან მოფინა მსოფლიოს ანგელოზთა გალობა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება"(ლუკა, 2, 14).

ბეთლემის მღვიმეში გამობრწყინდა პირველად „ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალს სოფლად" (იო. 1. 9). არა სამეფო დარბაზებსა და მეცნიერების წიაღში, არამედ მივარდნილ გამოქვაბულში დაედო სათავე ქვეყნის ახალ ცხოვრებას.

მთელი სამყარო, კაცობრიობა მოუთმენლად ელოდა მაცხოვარის მოვლინებას დედამიწაზე. ბოლოს აღსრულდა იმედი ხალხთა და „ყოველთა მოიღეს შვილებაი ზეციურ მამისაგან" (გალატელთა, 4.5). იშვა ქრისტე, განახლდა იმედი, აღორძინდა სიყვარული. უფლის განხორციელებით აღდგა არა მარტო პირვანდელი კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის, არამედ უმაღლესი ერთობა შემოქმედსა და ყოველივე ქმნილს შორის.

როგორ მწვერვალსაც უნდა მიაღწიოს ჩვენმა ცივილიზაციამ, როგორადაც უნდა განვითარდეს კაცობრიობა, იგი მაინც ყოველთვის ეახლება და თაყვანსა სცემს ამ მღვიმეს, რადგან აქ დაირწა აკვანი მისი, რომელ არს „გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება" (იო. 11. 6).

სული ქრისტიანისა, ანუ სული ყოველი ადამიანისა, რომელმაც ირწმუნა ქრისტეს შობა და მიიღო საიდუმლო ნათლისღებისა, სავანეა მამა ღმერთისა, ძისა და სულისა წმიდისა.

ღვთის განკაცების არსი – ადამიანის ღმერთთან შეერთება – ქრისტიანული რწმენის გარეშე ვერ განხორციელდება. რწმენა ანიჭებს ჩვენს ყოფას ღვთიურ აზრს, ოღონდ რწმენა არა ცივი და მკვდარი, არამედ ცოცხალი და მოქმედი, ქველი საქმით რომ იცნობა. სადაც არ არის კეთილი ქრისტიანული საქმე, იქ რწმენასაც ამაოდ დაუწყებთ ძებნას, რადგან „ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს" (რომ, 14. 23). და პირიქით, სადაც სიკეთის ქმნა ცხოვრების წესია, იქ, უთუოდ, ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება.

რწმენა ზეგარდმო ნიჭია, რომელსაც გავყავართ ყოფიერების მიღმა ეგზისტენციალურ განზომილებაში, სადაც ღვთისმიერ მხსნელ სიყვარულს ვეზიარებით, მაგრამ ამ სიმაღლეს ვერ მივაღწევთ, თუ ჯერ საკუთარი თავი არ შევისწავლეთ.

თვითშემეცნება გულისხმობს ჩვენი შინაგანი ცხოვრების, ქცევის და მოქმედების დაკვირვებულ განსჯას და მის შეჯერებას ღვთის მცნებებთან. ცხადად უნდა ვიგრძნოთ, რისი ძალა შეგვწევს, ან ჩვენს შესაძლებლობებს რა აღემატება, რას ვუმალავთ სხვებს, რას ვუმალავთ საკუთარ თავს...

ქრისტიანული რწმენა გვასწავლის სიკეთის გარჩევას ბოროტებისაგან, გვეხმარება ჩავწვდეთ ჩვენი სულის სიღრმეს და ვიგრძნოთ მასში ორი დაპირისპირებული ძალის არსებობა, მათი ბრძოლა, გვეხმარება, რათა დავძლიოთ შინაგანი გაორება და განწმენდის საშუალებით – მონანიების, ლოცვის, მარხვის, აღსარების, წმინდა ზიარების გზით ვიპოვოთ განკურნება სულთა ჩვენთა. აღვადგინოთ კავშირი ღმერთთან და შევიმოსოთ მისი ძალით და მადლით.

ერთ-ერთი დიდი მადლი, რომელიც აუცილებელია თითოეული ჩვენგანისათვის, არის მშვიდობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით: მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა ბუნებასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან... როგორც გაზაფხულის მზის მაცოცხლებელი სხივები აღვიძებს მიძინებულ ბუნებას, ასევე მშვიდობაც ხელს უწყობს, გამოვლინდეს ღვთის მიერ ადამიანისათვის მინიჭებული შემოქმედებითი ენერგია.

ქრისტეს შობით თვით ღვთაებრივი სიყვარული გარდამოხდა ზეცით და აღილო ცოდვანი სოფლისანი, რათა შეემსუბუქებინა ჩვენთვის ტვირთი იმ გზაზე, რომელსაც მივყავართ ღმერთთან და ადამიანთან. ბეთლემში იმ საკვირველ ღამეს აღსრულდა ღვთის სიტყვები: „მე ვარ რომელი ვიქმ მყუდროებასა". (ესაია, 45, 7).

ჰყოფდით ურთიერთსა მშვიდობასა!" – თავისი მოწაფეებისადმი მიმართული ამ სიტყვებით, მაცხოვარმა ადამიანურ ურთიერთობათა დაურღვეველი კანონი დაგვიწესა.

დაე, ბეთლემში შობილმა მაცხოვარმა მოგვმადლოს ნანატრი მშვიდობა და თავისი ღვთაებრივი სიყვარულით გაგვითბოს გაციებული გულები.

დაე, მომავალი ახალი წელი მშვიდობიანი და ღვთიეკურთხეული იყოს ყველა ჩვენგანისათვის, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოსათვის.

„და იყავნ თქუენ თანა მადლი, წყალობაი და მშვიდობაი ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა მიერ იესო ქრისტესა ძისა მისისა ჭეშმარიტებითა და სიყვარულით" (იოანე,1, 3). ამინ!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ენდი მაკდაუელი: „გადაღებისას – არავითარი რომანები".

ასე ამტკიცებს ჰოლივუდის ვარსკვლავი ენდი მაკდაუელი, თუმცა არ მალავს, რომ ხანდახან მის თავს „რაღაც ხდება". ფილმში „ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა", მე უსირცხვილო და მაცდურ ქალს ვასრულებდი და როლში ისე შევიჭერი, რომ პროდიუსერის ცდუნებასაც კი ვცდილობდი. როდესაც იგი გადასაღებ მოედანზე გამოჩნდებოდა, მონუსხულივით მუხლებზე ვუჯდებოდი და მანამ ვცქმუტუნებდი, სანამ მასში მამაკაცი არ გაიღვიძებდა!"

უამრავ ჯილდოთა მფლობელს, ყველასგან პატივცემულ მსახიობს, ეს ფაქტი თავადვე აოცებს და ფიქრობს, რომ ადამიანი მართლაც შეუცნობელია.

ცხრა წლის წინ, კანის კინოფესტივალზე ამობრწყინდა მისი ვარსკვლავი. მაკდაუელმა ითამაშა უხალისო დიასახლისი ფილმში „სექსი, ტყუილი და ვიდეო". ფილმმა გრან-პრი „ოქროს რტო" დაიმსახურა, თუმცა მსახიობს ქალის საუკეთესო როლისათვის ჯილდო არ მიუღია.

გთავაზობთ ენდი მაკდაუელის ინტერვიუს ჟურნალისტ მარინა პორკსთან.

– ენდი, გცნობენ ქუჩაში?

– რასაკვირველია, მაგრამ ჩემი თაყვანისმცემლები უხერხულობაში არასდროს მაყენებენ. თავს ვარსკვლავს არასდროს ვუწოდებ. მე მსახიობი ვარ და ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდოა, როცა მეუბნებიან: „ოხ, როგორ ამიჩუყეთ გული!" პოპულარობა სასიამოვნო რამაა.

– ოჯახთან ერთად განმარტოებით ცხოვრობთ რანჩოზე მონტანაში. რატომ?

– მე სიწყნარე მომწონს. მიყვარს ბუნება. ბავშვებთან ერთად ველოსიპედით სიარული. იქ კიდევ თორმეტი ცხენი გვყავს და ხშირად მივდივართ სასეირნოდ.

– ჩვეულებრივ, როგორია თქვენი დღე?

– როგორც ყველა დედის. ბავშვები მიმყავს სკოლაში და გაკვეთილების დამთავრებისას იქ ვხვდები. ვაკეთებ ოჯახის საქმეს: ვრეცხავ, ვამზადებ სადილებს, ვაჭმევ და ვაძინებ პატარას.

– გეხმარებათ ვინმე?

– მყავს შინამოსამსახურე, სხვათა შორის რუსია. ამჟამად კი ჩვენთან ერთად ჩემი დისშვილიც ცხოვრობს.

– მსახიობი ქალისათვის ბავშვი ყოველთვის პრობლემაა. თქვენ კი სამი შვილი გყავთ: თორმეტი წლის ვაჟი ჯასტინი და ორი გოგონა: ცხრა წლის რეინი და სამი წლის სარა. – როგორ გადანწყვიტეთ?

– ჩემმა ქმარმა, პოლმა დამიყოლია. იგი არაჩვეულებრივი მამაა. მშვენივრად ხვდება, რომ ყველაფერს ვერ დავძლევ, ვერ შევძლებ გავიხლიჩო ოჯახსა და სამუშაოს შორის. იცით, როდესაც ფილმში მიღებენ, ძალიან ვღელავ, მოეწონებათ კი ჩემი ახალი ფილმი პოლს და ბავშვებს? მათი აზრი ყველაზე ძვირფასია ჩემთვის.

– მოკლედ, არაჩვეულებრივი სურათი იდილიური ოჯახისა!

– რას ამბობთ! აკი გითხარით: როგორც ყველა დედის.

– როგორ გაიცანით პოლი?

– ჩვენ ერთად ვმუშაობდით მოდელების სააგენტოში ნიუ-იორკში. უკვე 14 წელია ერთად ვართ და მე ის დღესაც ისე ძლიერ მიყვარს, მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

– წელიწადში რამდენ ხანს გიწევთ ერთად ყოფნა?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ვარ დატვირთული. ვცდილობ, წელიწადში ერთ-ორ ფილმში ვითამაშო, რათა მეტი დრო დამრჩეს ოჯახისათვის.

– თქვენ ბევრ რეჟისორთან გიმუშავიათ. მათ შორისაა სტივენ სოდერბერგი, ვიმ ვენდერსი... რომელიმეს თუ გამოარჩევთ?

– ნამდვილად ვერ გამოვარჩევ. ისინი ბრწყინვალენი არიან და მე ძალიან გამიმართლა. ვოცნებობ, ვითამაშო ნიკიტა მიხალკოვის ფილმში. როცა მისი „მზით გათანგულნი" ვნახე, გული დამწყდა, რომ არ ვიცნობდი. არაჩვეულებრივი ფილმია „ქურდი". მის რეჟისორთან დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი.

– თუ მოგსვლიათ რაიმე უსიამოვნება გადამღებ ჯგუფთან?

– რაღაც უთანხმოებები ხდება ხოლმე. თუ ჩემი გმირის რაიმე არ მომწონს, ყოველთვის ვამბობ, ვთავაზობ საკუთარ აზრს. როგორც წესი ისინი მენდობიან და მაფასებენ. თუკი რაიმე არ გამოგვდის, მაშინ დროს და ენერგიას არ ვზოგავთ, კადრისთვის საჭირო ემოცია რომ მივიღოთ.

– ამბობენ, რომ დათანხმდით უორენ ბითის ფილმში გადაგიღონ?

– გადაღებები ივნისში იწყება. ფილმი „ქალაქი და ქვეყანა" საშუალო ასაკის კრიზისზეა. მასში უორენი დაიან კიტონის მეუღლეა და გამუდმებით ღალატობს მას, თუმცა ბოლოს ასკვნის, რომ ნამდვილად მხოლოდ ცოლი ჰყვარებია და სხვა დანარჩენი შეცდომაა. მე მისი ერთ-ერთი „შეცდომათაგანი" ვარ.

– ბედმა თქვენ კარგი რეჟისორების გარდა ბრწყინვალე მსახიობებსაც შეგახვედრათ – ჟერარ დეპარტიე, ჰიუ გრანტი, ჯონ ტურტურო... როგორი იყო თქვენი პირადი ურთიერთობა მათთან გადამღები მოედნის გარეთ?

– თავიდან დეპარდიესთან მუშაობის მეშინოდა. ის დიდებული მსახიობია. როცა პიტერ უირმა შემომთავაზა როლი ფილმში „ცხოვრების ყოველდღიურობა", მაშინ არანაირი მსახიობური გამოცდილება არ მქონდა. ჟერარი ფანტასტიკური პიროვნებაა, თუმცა ხანდახან თავშეუკავებელია, როგორც მისი გმირები. იგი ყველას უყვარს.

ჰიუ გრანტი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, როდესაც იღებდნენ ფილმს „ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა", დღეს კი ჰოლივუდის ვარსკვლავია.

რაც შეეხება პირად ურთიერთობებს პარტნიორებთან, მე მაქვს მტკიცე პრინციპი: არასდროს გავაჩაღო მათთან რომანები. მე ხომ სახლში ბავშვები და ქმარი მელოდება, რომელნიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასნი არიან.

თარგმნა
ნინო დგებუაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სენტ-ეკზიუპერი:

## „შენ მოგეჩვენება, რომ მე ვკვდები, მაგრამ ეს სწორი არ არის“

მამაცი მფრინავი და საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მწერალი ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი, მეორე მსოფლიო ომის დროს დაიკარგა ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიაზე დავალების შესრულებისას. ახლა, თითქმის სამოცი წლის შემდეგ, ექსპერტები, ეტყობა, გახსნიან ამ ადამიანის ბედის საიდუმლოს, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს თავისი შესანიშნავი წიგნის „პატარა უფლისწულის“ წყალობით.

1944 წლის ივლისში სენტ-ეკზიუპერი, რომელიც დაზვერვით ფრენას ახორციელებდა გერმანელების მიერ ოკუპირებულ სამხრეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე, არ დაბრუნდა კორსიკაზე დისლოცირებულ სამხედრო ბაზაზე. მცირერიცხოვან მოწმეთა თქმით, მისი თვითმფრინავი „ლაიტინგ-რ-28“ საჰაერო ბრძოლის დროს იქნა ჩამოგდებული ანჟის სრუტის თავზე, ნიცას მახლობლად.

საჭირო თანხის უქონლობისა და ტექნიკური სიძნელეების გამო წლების მანძილზე ვერ მოხერხდა ზღვის ფსკერის დიდ ტერიტორიაზე თვითმფრინავის ნამსხვრევების ძებნითი სამუშაოების განხორციელება. ამჟამად გამოჩნდა პიროვნება, რომელიც სენტ-ეკზიუპერის დიდი თაყვანისმცემელია და საკმაოდ ცნობილ შამპანურის მწარმოებელ ფირმას უდგას სათავეში – ჟან კლოდ სუზო. იგი თავის დროზე თვით იყო მფრინავი და ალბათ, ამანაც განაპირობა მისი მონდომება. საფრანგეთის ზღვის რესურსების ექსპლუატაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა კლოდ სუზოს ფინანსური დახმარებით მის ხელთ არსებული უახლესი ტექნიკური არსენალი აამოქმედა და სასურველი შედეგებიც მიიღო.

ჰიდროლოკატორების სპეციალური დანადგარებით აღჭურვილმა გემმა შეისწავლა და ფირზე დააფიქსირა 100 კვადრატული კილომეტრი ზღვის ფსკერის ტერიტორია. მიღებული გამოსახულებანი მეცნიერებმა დაახარისხეს და გააანალიზეს. კინოფირის გამჟღავნებამ კი რეალური შედეგები გამოიღო. „ჩვენ უკვე აღმოვაჩინეთ მცირეგაბარიტიანი თვითმფრინავის ნამსხვრევები, დავაფიქსირეთ მათი მდებარეობა, – განაცხადა პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში სამძებრო სამუშაოების კოორდინატორმა: „ის, რაც უკვე მოპოვებულია, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ, თუ ეს მართლაც სენტ-ეკზიუპერის თვითმფრინავია, შევძლებთ ამოვიღოთ იგი ზღვის ფსკერიდან და დავამტკიცოთ, თუ რა ტიპის თვითმფრინავია და ვის ეკუთვნოდა“.

1944 წლის ივლისში სენტ-ექსი – როგორც მას სიყვარულით უწოდებდნენ საფრანგეთში, მივლინებულ იქნა სადაზვერვო ესკადრილია 2/33, რომელიც ამერიკელთა მმართველობას ექვემდებარებოდა და კუნძულ კორსიკის ბასტია-ბორგის ავიაბაზაზე იყო განლაგებული.

მაშინ ცნობილი მწერალი და მფრინავი 44 წლისა გახლდათ და სულ რამდენიმე დღის შემდეგ ჯარიდან დემობილიზებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ხელმძღვანელობამ ხათრი ვერ გაუტეხა მფრინავს თავისი „გამოსამშვიდობებელი ფრენა“ შეესრულებინა...

მან ბასტიის ბაზა 31 ივლისის დილის 8 საათსა და 30 წუთზე დატოვა, რათა ფრანგული ალპების ტერიტორია დაეზვერა. დღის 2 საათსა და 30 წუთზე, როდესაც მას საწვავი უნდა გამოლეოდა, – იგი არ დაბრუნდა ბაზაზე. ამერიკელების არქივის მასალების მიხედვით, იმ დღეს ბაზას არ დაუბრუნდა და ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიაზე გაუჩინარდა მხოლოდ ერთი თვითმფრინავი – „რ-28“.

ალბერ დე ლაჟმა – ნიცის მცხოვრებმა, რომელიც იმ დროს 19 წლის ჭაბუკი იყო,



კოორდინატორს ამცნო, რომ 31 ივლისს შუადღისას იგი მოწმე გახდა საჰაერო ბრძოლისა, რომელიც სრუტის ტერიტორიაზე ხდებოდა. თურმე ორ მძიმე სამხედრო თვითმფრინავს ცეცხლი გაუხსნია მცირეგაბარიტიანი მზვერავი თვითმფრინავისათვის, რომელსაც ცეცხლი მოჰკიდებია და ზღვაში ჩავარდნილა.

იქნებ სწორედ ეს იყო სენტ-ეკზიუპერის თვითმფრინავი?!

მწერალი და მფრინავი, რომელიც 1900 წელს იყო დაბადებული, ავიაციის განვითარების პირველი ეტაპის გმირი იყო. იგი თავის ნაწერებში ხოტბას ასხამდა მამაცობასა და მეგობრობას, სტიქიის ძალებზე ადამიანის გამარჯვების უნარს. 30-იან წლებში ხმელთაშუა ზღვის, საჰარის უდაბნოს და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე საფოსტო თვითმფრინავებით ფრენისას, მრავალჯერ თვალებში შეუხედავს სიკვდილისათვის და მაინც უვნებელი გამოსულა ურთულესი სიტუაციებიდან. სენტ-ეკზიუპერის, როგორც მფრინავის ვაჟკაცობა და მამაცობა გამოვლინდა მის მიერვე შექმნილ შესანიშნავ ნაწარმოებებში – „სამხრეთის საფოსტო“, „ღამის გაფრენა“, „ადამიანთა პლანეტა“, „სამხედრო მფრინავი“.

მაგრამ მწერლის ყველაზე პოპულარული ნაწარმოები მაინც „პატარა უფლისწულია“. მისი სიუჟეტი მწერალს 1935 წელს ლიბიის უდაბნოში იძულებითმა დაფრენამ უკარნახა. მაშინ იგი სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. ეს ღრმა და მეტად შთამბეჭდავი ნაწარმოები 1943 წელს გამოაქვეყნა, როგორც მოთხრობა ბავშვებისათვის და თვითვე დაასურათა აკვარელით შესრულებული ილუსტრაციებით.

დე ლაჟს, და ისე როგორც მწერლის მრავალრიცხოვან ამხანაგებს, რომლებიც ნიცის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, მიაჩნიათ, რომ მოვალენი არიან ყველაფერი გააკეთონ იმის გასაგებად, თუ რა მოუვიდა სინამდვილეში სენტ-ეკზიუპერს. „ის განასახიერებს ყოველივე იმას, რისთვისაც ჩვენი თაობა იბრძოდა და თავს სწირავდა“. – ამბობს ლაჟი.

ქალაქ ნიცას მერიამ სოლიდური თანხა გამოყო ამ ისტორიული გამოკვლევის სისრულეში მოსაყვანად, ყოველგვარ დახმარებას უწევს მეცნიერებს. თუ დანამდვილებით დამტკიცდა, რომ სენტ-ეკზიუპერის თვითმფრინავი ანჟის სრუტის წყლებშია ჩაძირული, ნიცის ახალ რეკონსტრუირებულ აეროპორტს მფრინავისა და მწერლის სახელი მიენიჭება.

სენტ-ეგზიუპერის ნათესავების თქმით, მისი სავარაუდო „საფლავის“ ზუსტი კოორდინატები საიდუმლოდ უნდა იქნას შენახული, რათა ცნობისმოყვარე მყვინთავებს არ გაუჩნდეს, მისი „ხილვის“ სურვილი.

„პატარა უფლისწულს“ მოეწონებოდა ასეთი წინდახედულობა: „ტყუილად მოდიხარ ჩემთან ერთად, – უთხრა მან თავის მოწყენილ მეგობარ-მფრინავს, რომლის თვითმფრინავი მიწას დაენარცხა, როდესაც დააპირა მიწიერი გარსი დაეტოვებინა და თავის შორეულ პლანეტაზე დაბრუნებულიყო. – შენ მოგეჩვენება, რომ მე ვკვდები, მაგრამ ეს არ არის სწორი“.

ისეთები, როგორიც სენტ - ეკზიუპერია, არ კვდებიან!..

**ლამარა გაგუა**

**კამათი კვლავ გრძელდება.**

# ცხრა სხვადასხვა ცხოვრება და ცხრა ქორწინება

ელიზაბეტ ტეილორის ცხოვრება ჰოლივუდის კლასიკური მელოდრამის სცენარს მოგვაგონებს, სადაც ტრაგედია და კომედია, ფასეულობა და არასრულფასოვნება, სიკვდილი და განახლება, ტირილი და სიცილი ჰარმონიულ მთლიანობაში ერთმანეთს ენაცვლება. მსახიობმა ჯოჯოხეთის ყველა გზა განვლო, მაგრამ არ მოტყდა, გადარჩა, გაზარდა შვილები და შვილიშვილები და დღეს 66 წლის ასაკში, მეცხრეჯერ იწერს ჯვარს.

## გზა

ტეილორმა 55 ფილმში ითამაშა, მიიღო ორი ოსკარი, ჰყავდა შვიდი ქმარი და რვაჯერ იქორწინა (რიჩარდ ბარტონთან ხელი ორჯერ მოაწერა და გაანერა). გადაიტანა ქვრივობაც. აღზარდა ოთხი შვილი და ცხრა შვილიშვილი. 75-ჯერ ინვა საავადმყოფოში, დაავადებული იყო ალკოჰოლიზმით, სიმსუქნით. 1997 წელს თავის ქალის ოპერაცია გაუკეთეს.

კინოში ლიზის დებიუტი 1943 წელს შედგა. ის მაშინ 11 წლის იყო. აღიარება კი 50-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა. ჰოლივუდში ახალი ვარსკვლავის დაბადებაზე ალაპარაკდნენ. საოცარი გარეგნობა, ლომის ტემპერამენტი, განუმეორებლად ლამაზი იისფერი თვალები ყველას ხიბლავდა. ტეილორს პროფესიონალური მსახიობური განათლება არ მიუღია, კრიტიკოსებს არაერთხელ აღუნიშნავთ: ამ ღვთიური სილამაზის ქალბატონისთვის მთავარი კადრში გამოჩენა იყოო. ლიზი ჰოლივუდის უკანასკნელი ქალღმერთი და კინოს ცოცხალი ლეგენდაა.

18 წლის იყო მსახიობი, როდესაც პირველად სასტუმროების მაგნატის – ნიკ ხილტონის შვილზე დაქორწინდა, 19 წლისას ორმოცი წლის ინგლისელი მსახიობი – მაიკლ უილდინგი შეუყვარდა, ხოლო მესამე ოფიციალური მამაკაცი მის ცხოვრებაში პროდიუსერი – მაიკლ ტოდი იყო. მაიკლი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მსახიობს შავები დიდხანს არ უტარებია. დარდს ედი ფიშერთან ალერსში იქარვებდა.



## ანტონიო და კლეოპატრა

1962 წელს, „კლეოპატრას" ლეგენდარულ გადაღებაზე, ტეილორი ცნობილ მსახიობს – რიჩარდ ბარტონს ხვდება. ლიზი 30 წლისაა, ბარტონი – 37-ის. რიჩარდი ცოლშვილიანია, ლიზი – ქმარშვილიანი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, რომ ერთმანეთი სიგიჟემდე შეჰყვარებოდათ. მხურვალე რომანი ქორწინებით დამთავრდა. ბარტონმა ლიზი თავის მეგობრებს წარუდგინა. მათი სიყვარული ჯადოსნური იყო. ითამაშეს ერთად 11 ფილმში, მაგრამ სავალალოდ... ერთადაც დეგრადირდებოდნენ. ლოთმა ბარტონმა მეუღლე სასმელს მიაჩვია. ნასვამი ლიზი და რიჩარდი ჩხუბობდნენ, კამათობდნენ... მალე ისევ რიგდებოდნენ. სიფხიზლის უმცირეს მონაკვეთში მეუღლე პატიებას სთხოვდა ლიზს და უძვირფასეს საჩუქრებს ჩუქნიდა. „ლიზთან შეხვედრამდე მე არ ვიცოდი, რა იყო ნამდვილი სიყვარული" – ამბობდა რიჩარდ ბარტონი. „მე მიყვარს ის ისეთი სიმძაფრით, რომ ტკივილს განვიცდი". – ხშირად იმეორებდა თავის მხრივ ლიზიც.

მიუხედავად ამისა ურთიერთობა მაინც უჭირდათ. ისინი ერთმანეთს შორდებოდნენ, შემდეგ კვლავ რიგდებოდნენ. ასე შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო, მაგრამ ბარტონს ჯანმრთელობამ უმტყუნა.

სიკვდილამდე ლიზმა მას უთხრა: „ხომ იცი, რომ ერთმანეთი ყოველთვის გვეყვარება, ჩვენ სიკვდილიც ვერ დაგვაშორებს". ბარტონმა უპასუხა: „მე სმას გავაგრძელებ და მისგან მოვკვდები. შენ მე გადამიტან, იმიტომ, რომ შენ შენი სამყარო გაქვს. ძლიერი ხარ, საკმაოდ ძლიერი!"

მაგრამ როდესაც ის გარდაიცვალა, ლიზისთვის ცხოვრებამ აზრი დაკარგა. თავდავიწყებას სხვა მამაკაცებთან ურთიერთობაში ცდილობდა, მაგრამ ბარტონის გულიდან ამოგლეჯა მაინც ვერ მოახერხა.

ვისთან აღარ ამყარებდა ურთიერთობას: – მილიარდერებთან, პოლიტიკოსებთან, იურისტებთან, ჟურნალისტებთან... სატვირთო მანქანის მძღოლთან, ვინმე ლერრი ფორტენსკისთანაც კი ჰქონდა ურთიერთო-

---



ლია ჭავჭავაძე

## სხალთის ტაძართან ნაპოვნი იის

28 სხალთის ტაძართან ნაპოვნი იის,
ჩუმი ყვავილის, პატარა იის,
ჩუმი სინაზე, სინაზე ი ის,
სხალთის ტაძართან ნაპოვნი იის,
გულს რად მიძგერებს სწორედ ისევე,
ვით შემოხედვა მზის ბეთანიის?

## „ამოანათეშს მზე პონტოსი"

### შავი ყაყაჩოები

თანდათანობით გამოჩნდა ჩალმა,
შეტრუსა გული წითელმა ალმა,
გამოჩნდა შავი ნახევარმთვარე,
ნათურქალ ქალებს ჩამოჰყვათ დაღი,
აყვავებული შეტოკდა პალმა,
როგორ შეშფოთდა მაისი ლაღი,
და შავი, შავი ყაყაჩოები,
ამოიწვერნენ დიდგორის ველზე.

### წამოვა იგი

ჟამითი ჟამად
წამოვა წვიმად,
წამოვა წვიმა – სახელად ვაჟა
და საქართველოს გვალვას შეუტევს...

### ილია, 1997

სველი კლდეები აჭარისა – ჩემი ნაწილი,
მესმის ქვითინი განუწყვეტლივ,
გულისდამწველი.
მე ეს ქვითინი არ მასვენებს მღვიძარს და
მძინარს,
იგია, იგი, რაც ასველებს ამ კლდეებს ტინის
–
ჩემი სამშობლო წინამურთან დაჭრილი
მძიმედ,
ტირის, ტირის.

### არ მიუშვირო საამბოროდ იუდას შუბლი

არ მიუშვირო საამბოროდ იუდას შუბლი,
შენ ქრისტეს ფეხის მკვნეტელებთან
იყავი უბრი,
არ დაივიწყო, რომ შვილი ხარ
ბულბულთა უბნის,
არ მიუშვირო საამბოროდ იუდას შუბლი.

მავანს და მავანს ყველაფრისა კი აქვს
უფლება,
სხვა „სანატრელზე" გაყიდული
თავისუფლება,
ანუ წესია, იგი, წესი მიეთმოეთის,
მაგრამ იუდას არ აკოცებს ნაღდი პოეტი.



ბა. ლიზი ცდილობდა, გაეწვრთნა „მძღოლი – ალფონსი“, მაღალი წრის მანერები, ელეგანტური წესები ესწავლებინა, ლიტერატურული გემოვნება განევითარებინა მისთვის, მაგრამ ამაოდ. ლერრი უპირატესობას ფლეიბოის და მძიმე როკს ანიჭებდა, ლიზის გემოვნებას მეგობრები დასცინოდნენ. გაოცებულები იყვნენ: როდემდე უნდა უთმინოს ამ არარაობას, რომელსაც ჭკუის ნატამალიც არ გააჩნია?! ახლობლები ვერც კი ხვდებოდნენ, რომ ამ გაწამებულ და განადგურებულ ქალს ჩვეულებრივი, ადამიანური ბედნიერება უნდოდა.

1995 წელს ტეილორმა თეძოზე სამჯერ გაიკეთა ოპერაცია და ინვალიდის სკამს მიეჯაჭვა. ლერრი იძულებული გახდა, ავადმყოფისთვის მოევლო, ხელით ეჭმია. ძიძის როლი, რა თქმა უნდა, გულზე არ ეხატებოდა. სანამ უბედური, უსუსური მეუღლე დღეებს ინვალიდის სავარძელში ატარებდა, ლერრი ლალატობდა ლიზის, თან იქვე, მათი საწოლი ოთახის ფანჯრებთან. 1996 წელს ტეილორი ლერრი ფორტენსკის ოფიციალურად გაეყარა.

ლიზისთვის ეს მერვე ქორწინება იყო. მსახიობის ცხოვრება ისევ აირია. დაიწყო სმა, ნარკოტიკების მიღება. მსახურებს ღამღამობით მისი ოთახიდან გულისმომკვლელი ხმები ესმოდათ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლიზი მაგიდაზე მისთვის ძვირფასი ადამიანების სურათებს აწყობდა და ესაუბრებოდა, ხან იცინოდა, ხან ტიროდა.

იმ პერიოდში ტეილორის ჯანმრთელობაზე 11 ექიმი ზრუნავდა. გამოჯანმრთელებული, ბიზნესსა და ქველმოქმედებას ეწეოდა. უამრავ თანხას იხდიდა გაჭირვებაში ჩაცვივნული ბავშვებისათვის და ავადმყოფებისათვის. ირონიულად იხსენებდა ახალგაზრდობის იმ წლებს, როცა მატერიალურ ღირებულებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მასზე შეყვარებული მამაკაცები წავის ქურქებს, ბრილიანტებს, იმპრესიონისტების ნახატებს, მანქანებს და სახლებს ჩუქნიდნენ. დღეს ყველაფერი ეს არარაობად მიაჩნდა. ის მარტო დარჩა. ბავშვები გაიზარდნენ, ოჯახები შექმნეს. უამრავი ახლობელი ადამიანი გარდაეცვალა.

## ქმარი – ნაპოლეონი

1997 წლის დასაწყისში ტეილორს ექიმებმა თავის სიმსივნე აღმოუჩინეს. მსახიობი ბედს დამორჩილდა, გამოიძახა ადვოკატები და ანდერძი შეადგინა. ლიზი სიცოცხლეს გამოეთხოვა და ოპერაციაზე ისე გავიდა, მაგრამ ისევ გადარჩა და თითქოს ხელმეორედ დაიბადა.

„მე მომბეზრდა თამაში. დაე, მსოფლიომ დაინახოს, რომ მოხუცებული და ჭაღარა ვარ. აღარ მინდა თმების შეღებვა, სახის გადაჭიმვა. მინდა ისე ვიცხოვრო, როგორიც სინამდვილეში ვარ. წარმოუდგენლად ძლიერ მინდა სიცოცხლე! ახლა ყოველი წუთი ჩემთვის ძვირფასია. არ მინდა, ვინაღვლო წარსულზე. საშინელმა განცდებმა გამომაწრთეს, უკვდავი გამხადეს“. – ამბობდა ლიზი და განაგრძობდა: „თუ თქვენ გაიგებთ, რომ მე გათხოვებას ვაპირებ, არ დაიჯეროთ, უფრო მეტიც – სახეში გამარტყით!“

და მერე რა? დაუბრუნდა თუ არა ცხოვრებას, ლიზს გულმა ისევ სიყვარულისკენ უბიძგა. ამჯერად ძალიან გაუმართლა: „ჰოლივუდის უკანასკნელი ქალღმერთის“ რჩეული, გამოჩენილი მსახიობი – როდ სტაიგერია. დიდი მასშტაბის პიროვნება, ინტელექტუალი, რომლის მსახიობური თამაში დახვეწილი ფსიქოლოგიური მანერებითა და იუველირის ოსტატობით გამოირჩევა. მისი ერთ-ერთი საუკეთესო როლია – ნაპოლეონი – სერგეი ბონდარჩუკის ფილმში „ვატერლოო“, იგი რიჩარდ ბარტონის ღირსეული მემკვიდრეა.

27 თებერვალს ლიზს 66 წელი შეუსრულდა, სტაიგერს 14 აპრილს – 73. მაგრამ სიყვარულმა ასაკი არ იცის. შეყვარებულებმა დაქორწინება გადაწყვიტეს და ეს სურვილი მთელ მსოფლიოს აუწყეს.

## რა აშრიალებს ჩემს ჩუმ კაეშანს?

გამომეღვიძა წვიმის შრიალში,
მღვიძავს ღვთისმშობლის ეკლესიის
მწუხარე ზარში,
შრიალა თმები, შრიალა წვიმა.
შრიალა ღამე. ფოთლები ღამით.

ის, რაც შრიალებს, მოგონებაა,
თითქოს წარსულის შრიალი ვიცან
ჭრიალებს ლერძი წუთისოფლისა,
შრიალებს ჩემი ტკივილი ჩუმად.

გამომეღვიძა, ტკივილი ვიგრძენ,
რად გამახსენდი ისევ და ისევ,
დაისი ისევ ზღვაში ჩაეშვა
და აშრიალდა საწუთრო, ლეგი,
რა აშრიალებს ჩემს ნაზ კაეშანს,
თუ არა შენი ჩუმი შეხება?

## ამოუშვი ვარდი, სულო

ჟამი, ჟამი უსახური,
იწყევლება, იგინება,
ნაბილწული ჭკნება გული,
ჯოჯოხეთში იძირება.

სხივი თუ არ დაანათლეს,
ამა ქვეყნად რა დარჩება,
ნაბილწული რა ანათებს?
ზღაპარია გადარჩენა,

არა მონა სატანასი,
არა მონა, მონა ვერცხლის,
კაცი უნდა იყოს კაცი,
მადლი ღვთისა უნდა ეცხოს,

...ბინდიანში შემოსულო,
მარად სევდის ნებიერო,
უბედურო ჩემო სულო,
სულო ჩემო ბედნიერო,

წუთისოფლის გსუსხავს სუსხი,
არ იცვალო შენ იერი,
სილამაზით მონუსხულო,
დარჩი, დარჩი მშვენიერი,

შენ გატანა უნდა შესძლო,
გესმის ტანჯულ გულთა ფეთქვა?
შენ ატანა უნდა შესძლო
ტკივილების მდინარეთა.

წუთისოფლის გვსუსხავს სუსხი,
არ იცვალო შენ იერი,
სიყვარულით მონუსხულო,
დარჩი, დარჩი მშვენიერი.

არც ფითრი, არც გველის სურო,
არც ჭინჭარი, ეკალ-ბარდი,
ამოუშვი ვარდი, სულო,
ვარდი ამოუშვი, ვარდი!

## მონატრება

სულის ჩუმო ხანძარო,
თითქოს ცეცხლში ვწვები,
სულიწმიდის ტაძარო,
როგორ მენატრები.

ქარმა თითქოს დასძალა,
ჩემი წმინდა თმები,
სულიწმიდის ტაძარო,
როგორ მენატრები.

ხან პონტო ხარ ტკბილ-მწარევ,
ხან გრძნეული მთები,
სულიწმიდის ტაძარო,
როგორ მენატრები.

მე სულ შენსკენ მოვფრინავ,
ანთებული ფრთებით,
რა ვარდები მომფინე,
როგორ მენატრები.

სულ სხივების ხიზანო,
სულ სხივების ფრთებით,
– ლეგი, შენ ხარ სიზმარი,
და მეც სიზმრად ვრჩები!

ალბათ, უნდა მაწამო,
უცხო, უცხო შვებით,
სულიწმიდის ტაძარო,
როგორ მენატრები.
XXX
წმინდა გიორგის,
ხელთ უპყრია მახვილი მძიმე,
დაჰკარ, გააპე,
ეს სალათა,
ეს შავი ძილი.



# სული მაღალი



ეს პატარა წიგნი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, უაღრესად არაორდინალური ბედისა და ბუნების ახალგაზრდის, არჩილ გედევანიშვილის დაუმთავრებელი ნაშრომია. მისი ავტორი არც ისტორიკოსი იყო და არც რომელიმე მომიჯნავე დარგის სპეციალისტი. ეს ბიჭუნა დაბადებიდან კუნთების განლევის უკურნებელი სენით იყო დაავადებული. მან, მცირეწლოვანმა ბავშვმა, დაიწყო ფიქრი სიკვდილზე და სიცოცხლეზე, წარმავალ და მარადიულ ღირებულებებზე, სულის უკვდავებასა და რწმენაზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა რელიგიის, კერძოდ, ქრისტიანობისა და მისი ისტორიისადმი. სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო თავისი ჩანაფიქრის მთავარი, ალბათ, ავტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის ჩაწერა, ნაკვეთისა, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში რწმენის მნიშვნელობას უნდა შეხებოდა. ამის გამო ნაშრომის სათაური იმ მასალის მიხედვით შევარჩიეთ, რომელიც მას უკვე ქაღალდზე ჰქონდა გადატანილი მეტად ძნელად გასარჩევი ხელით, ვინაიდან ყოველი სიტყვის ჩაწერა მისგან წარმოუდგენელ ფიზიკურ დაძაბულობას მოითხოვდა. როცა არჩილის თანატოლები პირველად იგებდნენ, თუ რა სიხარული მოაქვს ფეხბურთის თამაშს, მას კიბეზე ფეხის ადგმა უჭირდა, ხოლო როცა ისინი სკოლაში ონავრობდნენ, არჩილი საკლასო ოთახამდე ხელში აყვანილი მიჰყავდათ... ცოტა ხნის შემდეგ კი მას უკვე საკუთარ ბინაში გადაადგილებაც აღარ შეეძლო. არჩილმა თავისი მეტად ხანმოკლე ცხოვრების დიდი დრო საავადმყოფოებში დაჰყო, აქაც, საზღვარგარეთაც. რუსეთში მას უმძიმესი ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ უშედეგოდ, სენი განუკურნებელი იყო. და სწორედ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში გამომჟღავნდა მისი დიდი ადამიანური ბუნება და ღირსებები: მას უკვე მოესწრო ჩამოყალიბება საოცრად მამაც, ბრძენ და კეთილშობილ პიროვნებად, რომელიც დაჯილდოვებული იყო იუმორის საკვირველი გრძნობით. მისი კეთილი განწყობილება სხვა ადამიანებისადმი, მათი სისუსტეების მიმართ შემწყნარებლობა და მიმტევებლობა მართლაც უსაზღვრო იყო. ალბათ,

# შილერი და პერიკლე

გამოჩენილი გერმანელი მწერალი ფრიდრიხ შილერი არამარტო შესანიშნავი დრამატურგი, არამედ თავისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო ისტორიკოსი იყო. შილერის სახით საქმე გვაქვს ფართო დიაპაზონის მეცნიერთან, რომლის შრომები შეეხება ძველ, შუა საუკუნეებისა და ახალ ისტორიას.

შილერის დამოკიდებულება ძველი საბერძნეთის ისეთი თვალსაჩინო პოლიტიკოსისადმი როგორიც პერიკლეა, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა. შილერის დაინტერესება პერიკლეს მოღვაწეობით შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად იმით იყო განპირობებული, რომ პერიკლეს დროს (ქრისტეს შობამდე 444-429) ათენის დემოკრატია თავისი ძლიერების პიკს აღწევს.

პერიკლეს მოღვაწეობისადმი შილერის დამოკიდებულების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ნაშრომის „ლიკურგის და სოლონის კანონმდებლობის მიხედვით“.

შილერის ამ ნაშრომის დასასრული პერიკლეს მოღაწეობის პანეგერიკია. შილერმა კარგად დაინახა, რომ სოლონის რეფორმების დროს დაწყებული ისტორიული პროცესი პერიკლეს დროს გასრულდა. „ყველაფერი მიემართებოდა პერიკლეს ბრწყინვალე საუკუნისაკენ“. შილერის ამ სიტყვებში კარგად ჩანს დამოკიდებულება პერიკლესადმი. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რით იყო გამოწვეული პერიკლეს მოღვაწეობისადმი შილერის ასეთი მიდგომა? ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი რომ მივიღოთ, მიზანშეწონილი იქნებოდა, მოკლედ გადაგვეხედა პერიკლეს მოღვაწეობისათვის. მის შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის პლუტარქე თავის ნაშრომში „პარალელური ბიოგრაფიები“, რომელსაც ემყარებიან პერიკლეს ბიოგრაფები, მათ შორის, მისი ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფი გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი აკად. ვ. ბუზესკული.

რა თქმა უნდა, პერიკლეს მოღვაწეობა ცარიელ ნიადაგზე არ დაუწყია. მას კლისთენეს, არისტიდეს, თემისტოლეს და განსაკუთრებით კი ეფიალტეს სახით თავისი წინამორბედები ჰყავდა. პერიკლეს უმთავრესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან კარგად აუღო ალღო ათენის სახელმწიფოს განვითარების პროცესს, რაც უპირველეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ უფრო მტკიცედ აიღო კურსი დემოკრატიულ ორიენტაციაზე და ამით თავის სამშობლოს – ათენს კარგა ხნის მანძილზე საბერძნეთის სამყაროში დიდი გავლენა მოუპოვა.

როგორც ვ. ბუზესკული ვარაუდობს, პერიკლეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა იწყება 469-467 წლებს შუა. ინგლისელი ისტორიკოსის გროტის თქმით სწორედ დემოკრატიულ პარტიას მიუძღვნა მან „თავისი ნიჭი, თავისი მაღალი მდგომარეობა და თავისი სუფთა ხასიათი“. პერიკლე, უთუოდ, არ იყო დიდი მხედართმთავარი, მაგრამ იგი შესანიშნავი ორატორია. როგორც ჯერ კიდევ პლუტარქე შე-

სწორედ ამ თვისებების გამო ის ყველას უყვარდა. მეგობრებისთვის კი მასთან ურთიერთობა და საუბრები ყოველთვის დიდი სიხარულის მომგვრელი იყო. მაგრამ იმას, რომ თავისთვის ჩანაწერებს აკეთებდა ქრისტიანობის ისტორიაზე, არავის უმხელდა თავისი დის, ნინოს გარდა. არჩილის გარდაცვალების შემდეგ ნინომ მოუყარა თავი და გაშიფრა მისი ფრაგმენტული ჩანაწერები.

არჩილ გედევანიშვილის ცხოვრება ღირსეშანიშნავი და სამაგალითო იყო იმით, რომ მიუხედავად ფიზიკური ძალების უწყვეტი გამოფიტვისა, მან თავისი ნებისყოფისა და გონებრივი უნარის არაჩვეულებრივი დაძაბვით მოახერხა მაღალი ინტერესებითა და გონითი ცხოვრებით შეევსო დროის ის მცირე მონაკვეთი, რომელიც მისთვის ბედისწერამ ასე ძუნწად გაიმეტა. ამაში მას დიდი თანადგომა აღმოუჩინეს ახლობლებმა და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დედამ, ქალბატონმა მარინე ნანეიშვილმა, რომელმაც თავისი ცხოვრება მთლიანად არჩილს მიუძღვნა და რამდენიმე წლით მას სიცოცხლე უდავოდ გაუხანგრძლივა.

არჩილმა თავისი ცხოვრება საინტერესო და სავსე გახადა კითხვითა და მუსიკასთან ზიარებით. მას შესანიშნავი ლიტერატორული გემოვნება ჩამოუყალიბდა. კითხულობდა მხოლოდ ნამდვილ ლიტერატურას, თუმცა ზოგჯერ გვერდის გადაფურცვლა უჭირდა. უსმენდა მხოლოდ საოპერო და სიმფონიურ მუსიკას, თუმცა მას არც დანადგარის კითხვა შეეძლო. უფრო მოგვიანებით ისტორიის მიმართ ჩაესახა ინტერესი და მალე თავდავიწყებით დაიწყო ისტორიული წყაროების შესწავლა. მაგრამ მხოლოდ პასიური კითხვა მას თავისი ცხოვრების ბოლო წლებში აღარ აკმაყოფილებდა. არჩილში თანდათან ილვიძებდა რაიმეს კეთების, შექმნის მოთხოვნილება. მასში თანდათან მომწიფდა შეხედულება, რომლის თანახმადაც ადამიანის ცხოვრების აზრი შემოქმედებით ძიებებშია. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ დაიწყო მან თავისი პირველი ჩანაწერების კეთება ქრისტიანობის ისტორიაზე, რომლის შესახებაც მას უკვე ბევრი ჰქონდა წაკითხული და ნაფიქრი. მაგრამ განგებამ ისე ინება, რომ არჩილმა თავისი შემოქმედებითი ძალების პირველი მოსინჯვა ვერ დაასრულა. მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტეთ მისი ფრაგმენტული ჩამანწერების შეკრება და გამოცემა, რათა ჩვენი მეხსიერებიდან არასდროს წაიშალოს ის საოცარი ამბავი, რომ ჩვენს შორის ცხოვრობდა ერთი შესანიშნავი, დიდი ბუნებითა და ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა, რომელიც ფიზიკურად უმოწყალოდ დაავადდა და დათრგუნა ბედისწერის უკულმართობამ, მაგრამ მის ცხოვრებას აზრი ვერ დააკარგვინა, ვინაიდან მისი მაღალი სული ვერ გატეხა.



**მიხეილ ბეჟუაშვილი**

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ფილოსოფიის ინსტიტუტის
დირექტორის მოადგილე

---

ნიშნავდა: სწორედ თავის სიტყვას უნდა უმადლოდეს პერიკლე იმ დიდ გავლენას, რომელსაც ის ახდენდა თავის თანამედროვეებზე. მოკლედ შევჩერდეთ პერიკლეს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

პლუტარქე მიუთითებდა, რომ პერიკლემ პირველ რიგში კურსი აიღო ელინთა შორის მშვიდობის დამყარებაზე. ამ მიზნით პერიკლემ წამოაყენა ათენში პანელინისტური კონგრესის შექმნის პროექტი, რომელიც ათენის თავკაცობით ელადაში უზრუნველყოფდა მშვიდობას, მაგრამ სპარტა და ზოგიერთი სახელმწიფოები ათენის გაძლიერებას მტრულად შეხვდნენ და პერიკლეს წამოწყება ჩაიშალა. სამაგიეროდ პერიკლეს დიდ წარმატებას წარმოადგენდა ატიკადელოსის კავშირის ათენის სამფლობელოდ გადაქცევა.

პერიკლეს საშინაო პოლიტიკა შედგებოდა სამი მთავარი კომპონენტისაგან: 1. ღარიბი მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. 2. საზოგადოებრივი შენობების აგებითა და კლერუქიების განსახლებით ღარიბი მოქალაქეებისათვის სამუშაოს და საარსებო საშუალების გამოძებნა. 3. ათენის საერთო-საწარმოო ცენტრად გადაქცევა.

საინტერესოა, პერიკლეს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის შედეგადაც მისი მმართველობის პერიოდში ათენი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო ცენტრად მოგვევლინა. მის მთავარ ნავსადგურში პირეუსში საიდან არ შემოდიოდნენ ხომალდები. პირეუსის გერმანელი მკვლევარი ვახსმუთი პირდაპირ უწოდებს საბერძნეთის უდიდეს ზღვისპირა ბაზარს. საიდან შემოდიოდა ასეთი სიმდიდრე? პერიკლეს დროს ათენის სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, როგორც წყაროებიდან ვგებულობთ, წარმოადგენდა ხარკი და სხვადასხვა სახის გადასახადები. ამას ემატებოდა აგრეთვე სავაჭრო ბაჟები, რომლის შეგროვების უფლება შესყიდვით კერძო პირებს ანდა კომპანიებს გააჩნდათ.

ხელისუფლების სათავეში პერიკლეს მოსვლის შემდეგ არისტოტელეს თქმით, „ათენის სახელმწიფო წყობილება კიდევ უფრო დემოკრატიული შეიქმნა“. და კიდევ: „ვიდრე პერიკლე ედგა სათავეში დემოსს, პოლიტეის საქმეები უკეთესად იყო“. მისი მოღვაწეობის შესახებ ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე აღნიშნავს „სიტყვით ეს დემოკრატია იყო, საქმით კი პირველი მამაკაცის ბატონობაო“.

ის მაღალი შეფასება, რომელსაც შილერი აძლევდა პერიკლეს მოღვაწეობას, სავსებით კანონზომიერია, თუმცა, შესაძლოა, იგი ცოტათი აჭარბებდა პერიკლეს ისტორიულ დამსახურებას და იქნებ მისი მოღვაწეობის იდეალიზაციისაკენ იხრება? აღსანიშნავია, რომ ამ ტენდენციას უკვე ანტიკურმა ისტორიკოსებმა ჩაუყარეს საფუძველი და მან ფართოდ მოიკიდა ფეხი XIX-XX საუკუნის ევროპულ ისტორიოგრაფიაში. ისინი ათენის ისტორიის ამ მონაკვეთს „პერიკლეს ოქროს ხანას“ უწოდებენ.

ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობს, თავი დააღწიოს პერიკლეს კულტს, მაგრამ მეორე უკიდურესობაში ვარდება და მისი მოღვაწეობის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს. პერიკლეს დამსახურების უგულვებელყოფა უმართებულო იქნებოდა.

**მერაბ კალანდაძე**

# კროსვორდი




1. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი. 2. თურქი კინომსახიობი ქალი. 3. სპორტული ცურვის ერთ-ერთი სახეობა. 4. მოხეტიალე პოეტი – მომღერალი შუა საუკუნეებში პროვანსში (სამხ. საფრანგეთი). 5. საზოგადოების ზედა ფენა, „რჩეული" საზოგადოება. 6. ქსოვილზე (კაბაზე, საყელოზე, და სხვ.) სპეციალური მანქანით ან უთოთი გამოყვანილი წვრილი, ერთმანეთზე მილაგებული ნაკეცები; 7. პორტის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე. 8. XIX ს-ის ინგლისელი მწერალი. 9. ცხოველთა სამყარო. 10. შოკოლადის ხე. 11. ევროპელთა სიტყვა ხმარებაში: ძველი ფეოდალური ჩინეთის უმაღლესი სახელმწიფო მოხელე. 12. იტალიელი კინორეჟისორი. 13. ზღაპრული შინაარსის იგავი. 14. აგურის სახით დაპრესილი რაიმე ფხვიერი მასალა (მაგ. ნახერხი, ჩაი, ნაყინი და სხვ.) 15. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. 16. ერთ-ერთი წვრილი ხმა სიმღერაში. 17. თანამედროვე ცირკის მოედანი, სადაც ნახერხია დაყრილი. 18. საღარავი. 19. ერთგვარი ხემიანი საკრავი. 20. საქართველოს მდინარე. 21. რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი. 22. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი. 23. სიყვარულის ღვთაება. 24. ბავშვების სათამაშო, ჰაერში ასაშვები მოწყობილობა. 25. ძვირფასი ქვა, მრავალწახნაგად თლილი ალმასი. 26. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში. 27. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში. 28. ქართველი კინორეჟისორი. 29. გაბატონებული ეკლესიისაგან განდგომილი რელიგიური ჯგუფი. 30. ფილმ „დიდი მანევრების" დამდგმელი ფრანგი კინორეჟისორი, კინოდრამატურგი, პოეტი, ჟურნალისტი და მსახიობი. 31. ქართველი მწერალი, ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 32. მოქალაქე, ლატაკთა წოდების წარმომადგენელი ძველ რომში. 33. ქვეყნის პარლამენტის სახელწოდება ნიდერლანდში. 34. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში. 35. მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავებით, წვერის, ულვაშის დაწებებით და ა.შ. 36. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი. 37. სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია კონკურსზე, გამოფენასა და მისთანებზე პრემიების, ჯილდოების მისანიჭებლად. 38. XIX ს-ის ფრანგი მწერალი. 39. სასტუმრო. 40. ჯამის ფორმის ღვინის სასმისი.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა

# მაიკო ქაჯაია



თითქოს გუშინ იყო... მაიკო სამხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდებს რომ აბარებდა, მის მიერ შესრულებულმა საგამოცდო ნამუშევრებმა იმთავითვე გაიბრწყინა. მაიკოს აკადემიამდე დამთავრებული ჰქონდა ი. ნიკოლაძის სამხატვრო სკოლა, სადაც მას ასწავლიდა ბიჭიკო გაბუნია. მასწავლებელი მოწაფეს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. სამხატვრო აკადემიაში, დაზგური გრაფიკის ფაკულტეტზე მაიკო ქაჯაიას პედაგოგები იყვნენ ცნობილი მხატვრები დიმიტრი ერისთავი, ლორეტა შენგელია, ისინი დღესაც აღფრთოვანებულები იხსენებენ მის ნამუშევრებს.

აკადემიის დამთავრების შემდეგ მხატვარმა ბევრი საინტერესო ნამუშევრებით გაახარა ხელოვნების თაყვანისმცემლები. მონაწილეობა მიიღო 1989, 1990, 1998 წლების საგაზაფხულო საშემოდგომო გამოფენებში, საბერძნეთის დღეებთან დაკავშირებით მოწყობილ გამოფენაზე, მაიკოს ნამუშევრებმა კვლავ დიდი მოწონება დაიმსახურა.

მაიკო ქაჯაიას გაფორმებული აქვს ი. გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები, კლასიკოსი და თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსთა კრებულები, საბავშვო ჟურნალი „ანო და ვანო". მის ნამუშევართა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გრ. რობაქიძის „გველის პერანგის" ილუსტრაციები.

ახალგაზრდა შემოქმედის წარმატებები მარტო მხატვრობით როდი შემოიფარგლება. იგი სამი შვილის დედაა: ბესოსი, გუგასი, ნუცასი.

ჰფარავდეთ მათ ღვთისმშობლის მადლი.

**„დროშა" №5-6-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 5. პლანეტა. 6. სტატორი. 10. „მწირი". 11. დიდრო. 12. რეზიდენტი. 15. სორდი. 16. ანგარია. 17. ლიფტი. 20. ადანი. 22. სფინქსი. 23. „რეკორდი". 24. ქვიშა. 28. მისია. 29. ტროლოპი. 31. კასტა. 34. აკვატორია. 35. კურსი. 36. ლანჟი. 37. ემულსია. 38. ჭიანური.

**შვეულად:** 1. კლაიპედა. 2. ინგირი. 3. სტუდია. 4. ტრადიცია. 6. ტანზანია. 8. ტრანზიტი. 9. გადია. 13. პოლიფონია. 14. სტანდარტი. 18. კასკა. 19. კვესი. 21. ალი. 24. ქარავანი. 25. ასპარეზი. 26. დიაგრამა. 27. ჰაბანერა. 30. ლიტრი. 32. პაოლი. 33. სალონი.

**„დროშა" №9-10-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 3. პოლიტიკოსი. 8. მომენტი. 9. ბააზოვი. 11. ალია. 13. რედუქცია. 14. პიუპიტრი. 15. მალი. 17. ვაიცმანი. 20. ცელიბატი. 23. ტერილენი. 25. კრეშენდო. 27. აისი. 28. ესკალოპი. 30. ინტუიცია. 32. მილო. 34. მიხაელი. 35. იორდანე. 36. ატრაქციონი.

**შვეულად:** 1. „სოხნუთი". 2. ისრაელი. 4. ისიდა. 5. კობრა. 6. კონტური. 7. ყვირილა. 10. სერვანტესი. 12. პრეისტორია. 15. „მინდია". 16. იცხაკი. 18. ცური. 19. ალოე. 21. ლეთე. 22. ბეზე. 24. რეაქცია. 26. ნაილონი. 29. პატენტი. 31. ნევრონი. 32. მაინა. 33. ოფისი.


გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა

ტექრედაქტორი იამზე შარიქაძე

გარეკანის პირველსა და მეოთხე გვერდებზე:
**ზამთარი.** მხატვარი ელენე ახვლედიანი





მხატვარი მაიკო ქაჯაია.

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“
ილუსტრაციები.





ეროვნული ბიბლიოთეკა